პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

№ 1 იანვარი № 1

27
1946

თბილისი

გამომცემლობა „კომუნისტი"
1946

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის
ყოველთვიური თეორიული
და პოლიტიკური ჟურნალი

გამოცემის XVII წელი

№ 1 იანვარი 1946

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ჟორესის, № 5
ტელეფონი № 3-73-05

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლენინ-სტალინის დიადი დროშით—ამხ. გ. თ. ალექსანდროვის მოხსენება 1946 წლის 21 იანვარს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXII წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე 1

პ. გუგუშვილი—საქართველოს სსრ მძიმე მრეწველობა 1921—1946 წლებში 18

ლ. გორგილაძე—ლენინი და სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის წარმოშობა ამიერკავკასიაში 49

ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემის შესახებ 64

ყ 9572

ლენინ-სტალინის დიადი დროშით

ამხ. გ. თ. ალექსანდროვის მოხსენება 1946 წლის 21 იანვარს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXII წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე

ამხანაგებო! ყოველწლიურად ამ დღეს და ამ საათს ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის მოწინავე ადამიანები პატივს სცემენ ისტორიის უდიდესი ადამიანის—ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნას.

წარსულმა ხალხთა გონებრივ ცხოვრებაზე, სახელმწიფოთა განვითარების მაგალითად დიდი ადამიანების თვალსაჩინო ზეგავლენის ცოტა მაგალითი როდი იცის. ზოგიერთ ამ მოღვაწეთაგანს დიდი მიღწევა აქვს მეცნიერებაში. მათი სახელები ნიშანსვეტებია, რომლებითაც ისტორია აღნიშნავს თავის თვალსაჩინო მონაპოვარს. სხვა მათგანი თავიანთი მოღვაწეობით დადებით გავლენას ახდენდნენ თავისი ქვეყნების განვითარებაზე, სერიოზულად უწყობდნენ ხელს თავისი ხალხების პროგრესულ განვითარებას. ასეთი მოღვაწეების სახელები მიჯნებია, რომლებითაც ისტორია აღნიშნავს ხალხების ძისწრაფებას თავი დააღწიონ ჩამორჩენილობას და წინ წაიწიონ.

ლენინისა და ბოლშევიკებისათვის საქმე ეხებოდა გაცილებით უფრო დიდ რამეს. ყოველი ისტორიული მაგალითი მკრთალია, როცა ლაპარაკობენ

დიდი ლენინის მოღვაწეობისა და მოძღვრების, მისი სულის დაუცხრომელი რევოლუციური ძალის, ხალხთა განვითარებაზე მისი დიდი გარდამქმნელი გავლენის შესახებ.

ლენინმა, ბოლშევიკებმა ამოცანად დაისახეს სოციალისტურ საზოგადოებად გარდაექმნათ მოსახლეობის უმცირესობის მიერ უმეტესობის ჩაგვრაზე და ექსპლოატაციაზე დამყარებული საზოგადოება, ძირფესვიანად შეეცვალათ რუსეთის განვითარების ისტორიული გზა, ჩამორჩენილი გზიდან დაეყენებინათ იგი პროგრესისა და ცივილიზაციის გზაზე, სოციალიზმის გზაზე. მხოლოდ ამ გზით შეეძლო რუსეთს ჩამდგარიყო მოწინავე, უძლიერეს სახელმწიფოთა რიგებში და გაესწრო მათთვის თავის წინსვლაში. ამისათვის რუსეთის ძველი, ბურჟუაზიულ-მემამულური საზოგადოებრივი წყობილება უნდა შეცვლილიყო სხვა, უფრო მაღალი და მოწინავე წყობილებით—სოციალისტური წყობილებით, ძირფესვიანად გარდაქმნილიყო ადამიანთა წინანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობა. ეს უდიდესი ამოცანა ყველა იმ ამოცანათაგან, რომლებიც ოდესმე დაუსახავს კაცობრიობას, მარტო გაბედულად გამოცხადებული და მეცნიერულად დასაბუთებული როდი იყო. იგი განხორციელებულ იქნა. ამით ლენინიზმმა გაიმარჯვა, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების უმაღლესმა მიღწევამ, ხოლო ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე აგებულმა საბჭოთა საზოგადოებამ ყველა განსაცდელს გაუძლო და დამკვიდრდა როგორც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე უფრო მოწინავე, სრულყოფილი და მტკიცე სისტემა.

I. ლენინიზმის გამარჯვება

მოწინავე მეცნიერულ მსოფლმხედველობას, რომლითაც ხელმძღვანელობს ბოლშევიკების პარტია თავის საქმიანობაში, საუკუნოვანი ისტორია აქვს. ასი წლის წინათ მარქსმა შეჰქმნა ახალი მსოფლმხედველობა. მაგრამ მარქსს არ დასცალდა ენახა მეცნიერული სოციალიზმის პრინციპების განხორციელება.

ორი საუკუნის — XIX - XX — მიჯნაზე მარქსიზმი, როგორც თეორია, დიდი გამოცდის წინაშე იდგა. დამთავრდა ძველი ეპოქა. იწყებოდა ახალი. ხალხთა პოლიტიკურ, ეკონომიურ და გონებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ღრის წესრიგში პრაქტიკულად დადგა თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებად გარდაქმნის საკითხი. მარქსის მიერ წარსული საუკუნის შუა წლებში გამოთქმული ზოგიერთი დებულება არ შეიძლებოდა გადატანილი ყოფილიყო ახალ ეპოქაში სერიოზული ცვლილებისა და განვითარების გარეშე. მუშათა კლასის მეცნიერული მსოფლმხედველობის ფუძემდებელნი მარქსი და ენგელსი მუდამ დასცინოდნენ ნაკითხ ასოკირკიტა აღამიანებს, რომლებიც ცდილობდნენ რევოლუციური თეორია დოგმების კრებულად მიეჩნიათ. მარქსისა და

ენგელსის აზრით, მოწინავე თეორია სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო მსოფლიოს შემოქმედებითი შეცვლისათვის, რევოლუციური მოქმედებისათვის. განვითარების ახალ ეპოქაში ნამდვილი მარქსისტობა მარქსისტული თეორიის წინწაწევას, განვითარებას ნიშნავდა. სწორედ ამიტომ იმპერიალიზმის ეპოქაში, პროლეტარული პარტიის პოლიტიკური ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების ეპოქაში მოვლენების სწორად გაგებისათვის, მარქსიზმის დედაარსის ერთგულად დაცვისათვის სრულიადაც საკმარისი არ იყო XIX საუკუნის შუა წლებში მარქსის მიერ შემუშავებული ყველა დებულების შეუცვლელად მიღება. საკითხი ასე იდგა: ან მარქსიზმი განვითარდებოდა, გამდიდრდებოდა ახალი გამოცდილებით, ახალ-ახალი დებულებითა და აღმოჩენებით და მაშინ იგი შენარჩუნებულ იქნებოდა და განმტკიცდებოდა როგორც ცოცხალი, განვითარების უნარიანი მეცნიერება, ხოლო მუშათა კლასის პარტია შესძლებდა თავისი პოლიტიკა მის პრინციპებზე დაყრდნობით აეგო; ანდა მარქსისტული თეორიის ცალკეული დებულებანი გაიყინებოდნენ და გაქვავდებოდნენ, მისი მოძველებული ფორმულები შებოჭავდნენ მუშათა კლასის პარტიის საქმიანობას ახალ პირობებში, ამით ეს პარტია მარქსიზმის შემოქმედებითს გაგებას დაშორდებოდა და მაშინ იგი თეორიულად ჩამორჩენილი, უმწეო აღმოჩნდებოდა და ვერ შესძლებდა აეგო თავისი პოლიტიკა მეცნიერულ საფუძვლებზე. ამრიგად, საქმე ეხებოდა მარქსიზმის ბედს. და შეიძლება თამამად ითქვას, რომ თუ მარქსიზმმა ღირსეულად ჩააბარა ახალი გამოცდა და სავსებით შეინარჩუნა თავისი სასიცოცხლო მნიშვნელობა, ეს იმიტომ მოხდა, რომ მარქსიზმის დროშა მისი შემოქმედის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა მტკიცე და საიმედო ხელში, ლენინისა და მისი პარტიის ხელში. ლენინი იყო ნამდვილი მარქსისტი, რომელმაც შემოქმედებითად გაიგო მარქსის მოძღვრების რევოლუციური არსი, სრულყოფილად დაეუფლა მარქსიზმის თეორიას. ლენინი, როგორც მარქსის მოძღვრების შემოქმედებითი გაგების წარმომადგენელი, პირველი დაადგა მარქსიზმის შემდგომი განვითარების, მთელი რიგი მისი დებულებების გაუმჯობესების, მარქსისტული თეორიის იმ ახალი დასკვნებით შევსების გზას, რომლებიც ახალი ვითარებიდან და ახალი ამოცანებიდან გამომდინარეობდნენ. ეყრდნობოდა რა თვითონ მარქსიზმის მოთხოვნას, ლენინი ავითარებდა იმ აზრს, რომ მარქსისტებს არ შეუძლიათ მიაჩნდეთ მარქსის თეორია დასრულებულ და ხელუხლებელ რამედ. ამ თეორიამ, ამბობდა ლენინი, მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უნდა განავითარონ ყველა მიმართულებით, თუ კი მათ არ სურთ ჩამორჩნენ ცხოვრებას.

განაგრძობდნენ რა მეცნიერული კომუნიზმის თეორიის შემუშავებას, ლენინი და სტალინი იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ თეორია უნდა შეიცავდეს ახალ ისტორიულ გამოცდილებას, მუდამ მდიდრდებოდეს ამ გამოცდილებით, გარდამქმნელ გავლენას ახდენდეს საზოგადოების განვითარე-

ბაზე. ისინი იქიდან გამომდინარეობდნენ, რომ მხოლოდ ასეთი ცოცხალი და შემოქმედებითი თეორიით შეიძლება ხელმძღვანელობა ბოლშევიკების პარტიის პრაქტიკულ საქმიანობაში, რადგან ეს თეორია დამრაზმველ და მაორგანიზებელ გავლენას ახდენს საზოგადოების მოწინავე ძალებზე, შესაძლებლობას იძლევა გავითვალისწინოთ საზოგადოების ისტორიული განვითარების გზები და საზოგადოებრივი კლასების ბრძოლის შედეგები.

ლენინი და სტალინი, ბოლშევიკები ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს ეუბნებოდნენ რუსეთის მუშათა კლასსა და ხალხებს: როცა მუშათა მოწინავე წარმომადგენლები შეითვისებენ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს, როცა ეს იდეები ფართოდ გავრცელდებიან და მუშათა კლასი შეჰქმნის ძლიერ მებრძოლ პარტიას, რომელიც მუშათა დაქსაქსულ ეკონომიურ ომს შეგნებულ კლასობრივ რევოლუციურ ბრძოლად გარდაქმნის, მაშინ რუსეთის მუშათა კლასი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტებს, დაამხობს ცარიზმს და წავა აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით ხელისუფლების დაპყრობისაკენ, დიდი სახალხო რევოლუციისაკენ, რომელიც გააცამტვერებს მუშებისა და გლეხების ჩაგვრაზე დაფუძნებულ დამპალ წყობილებას.

რუსეთის განვითარება ისე წარიმართა, როგორც ლენინიზმი გვასწავლიდა.

ლენინი და სტალინი, ბოლშევიკები დიდი საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთის ხალხებს ეუბნებოდნენ: ამიერიდან დგება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში. დიდი ოქტომბრის რევოლუციამ უნდა გამოიწვიოს და გამოიწვევს კიდეეაც სოციალიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში. საბჭოების რესპუბლიკის შექმნა ბოლოს მოუღებს ჩვენი მეურნეობის საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას, პრაქტიკულად გვიჩვენებს ახალი, სოციალისტური საზოგადოების აგების გზას, ძველ რუსეთს მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გარდაქმნის.

საბჭოთა რესპუბლიკის განვითარება ისე წარიმართა, როგორც ლენინიზმი გვასწავლიდა.

ლენინი და სტალინი, ბოლშევიკები ეუბნებოდნენ ხალხს: სოციალისტურ საზოგადოებას, როგორც ყველაზე უფრო მოწინავე და პროგრესულ საზოგადოებას, მოეპოვება დიდი და უძლეველი ძალა. იგი ავითარებს და ამაღლებს თავის ძლიერებას ხალხის ინტერესებისათვის. სოციალისტური საზოგადოება აგებულია მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის კავშირზე, ყველა ხალხთა მეგობრობაზე, საბჭოთა საზოგადოების მშრომელების ურთიერთდახმარებაზე. საზღვარგარეთის რეაქციის ძალები შეეცდებიან სამხედრო ჩარევის გზით გახადონ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები მემამულის მათრახისა და ფაბრიკანტის თვითნებობის მსხვერპლი. მაგრამ არ შეიძლება იმ ხალხის დამარცხება, რომელმაც იგემა თავისუფლების ნაყოფი, შეიცნო სოციალიზმის შედეგები, შეჰქმნა მძლავრი საბჭოთა სა-

ხელმწიფო. დაღუპვა ელის ყველას, ვინც ხელჰყოფს ჩვენი სამშობლოს წმიდათა-წმიდა მიწა-წყალს.

ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა ის, რასაც ამბობდნენ ბოლშევიკები.

ლენინიზმი არის მოძღვრება, რომელსაც ზედიზედ მოჰქონდა და მოაქვს ტრიუმფი ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა ხალხისათვის. მხოლოდ ცოცხალ, მძლავრ შემოქმედებითს მოძღვრებას შეეძლო მოეცა ესოდენ დიდი შედეგები.

უკვე საუკუნეები გავიდა მას შემდეგ, რაც ადამიანებმა შესძლეს დაეშორჩილებინათ ბუნების მრავალი მოვლენა, წარემართათ ისინი თავიანთი ინტერესებისათვის, მაგრამ საზოგადოების სამსახურში ხალხებისა და სახელმწიფოების ისტორიული განვითარების კანონების ჩაყენებისათვის ადამიანი უძლური იყო საზოგადოების განვითარებაზე მეცნიერულ შეხედულებათა წარმოშობამდე და ბოლშევიკების პარტიის მიერ ამ შეხედულებათა განხორციელებამდე. მხოლოდ ბოლშევიკების პარტიამ გადასჭრა ეს დიადი ამოცანა. ლენინიზმის მეოხებით, პარტია, საბჭოთა ადამიანები, ეყრდნობიან რა საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნას, უნარიანად მართავენ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს ხალხის ინტერესებისათვის. ამრიგად, ლენინის მოძღვრება სინამდვილის შეცნობის არა მარტო გენიალური იარაღი, არამედ მისი პროგრესული გარდაქმნის უდიდესი საშუალებაც აღმოჩნდა.

ოცი წლის წინათ ამხანაგი სტალინი ლენინის პარტიის იდეური მონაპოვრის შესახებ ამბობდა:

„ჩვენი პარტიის ყველა მონაპოვართაგან ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი და ძვირფასი მონაპოვარი არის მისი იდეური მონაპოვარი, მისი იდეური ბაგაჟი, მისი პრინციპული ხაზი, მისი რევოლუციური პერსპექტივები". (ამხანაგ სტალინის სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1926 წლის 26 ოქტომბერს).

ისტორიაში უმაგალითოა ის დიადი მისია, რომელიც წილად ხვდა ლენინიზმს, წილად ხვდა ჩვენი პარტიის დამაარსებელსა და ბელადს დიდ ლენინს. უკვდავია ლენინის მოძღვრება, უკვდავია მისი საქმე. მუდამ ამაყად იფრიალებს ლენინის დროშა, რომელიც მტკიცე ხელში უჭირავს მის ერთგულ და უახლოეს მეგობარს ამხანაგ სტალინს. **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

II.

ლენინისა და სტალინის მიერ დაარსებული საბჭოთა საზოგადოების დიადი ძალა

ჩვენი საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება შექმნილია ლენინისა და სტალინის გეგმით და ხელმძღვანელობით.

არ შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ისტორიაში არ ყოფილა სო-

ციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების ცდები. ასეთი ცდები იყო, მაგრამ მათგან არაფერი გამოსულა ან მათი უტოპიურობის გამო, ანდა იმის გამო, რომ ბევრი სოციალისტი მხოლოდ სიტყვით იყო სოციალისტი, მათ არ ჰქონიათ და არცა აქვთ სერიოზული და მტკიცე განზრახვა სოციალისტურ საზოგადოებად გარდაქმნან ბურჟუაზიული საზოგადოება, როგორც ამას ვხედავდით ამ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე იმ ქვეყნებში, სადაც სოციალისტები არა ერთხელ ჩასდგომიან სათავეში ხელისუფლებას.

ბოლშევიკური პარტია პირველი პარტია იყო, რომელმაც პრაქტიკულად გადასჭრა საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანა. ამიტომ ბოლშევიკების პარტიის, მისი დამაარსებლებისა და ბელადების საქმიანობა ახალ ეპოქას მოასწავებს კაცობრიობის ისტორიაში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლენინმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უწოდა ჩვენს სახელმწიფოს. საბჭოთა რესპუბლიკას რომ უწოდებდა, ლენინი იმას აღნიშნავდა, რაც უკვე მოპოვებული ჰქონდათ პარტიასა და ხალხს; სოციალისტურ რესპუბლიკას რომ უწოდებდა, ლენინი აღნიშნავდა არა იმდენად მის აწმყოს, რამდენადაც მის მომავალს. როგორც სიახლის ბრძენი განმჭვრეტი და შემოქმედი, ლენინი ხედავდა, რომ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის არა კმაროდა ხალხის უმრავლესობის დარწმუნება ამ წყობილების სამართლიანობასა და სარგებლიანობაში; ცოტაა აგრეთვე მტრის დამარცხება სამოქალაქო ომში და ახალი საზოგადოების საფუძვლების დაცვა გარედან თავდასხმისაგან; საჭიროა კიდევ ახლებურად, ე. ი. სოციალისტურად მოეწყოს ათეულმილიონობით ადამიანის ცხოვრება. ეს კი ყველაზე რთული, ყველაზე დიდი, მაგრამ აგრეთვე ყველაზე კეთილშობილური ამოცანაა, ვინაიდან, ამბობდა ლენინი, „მხოლოდ მისი **გადაჭრის** (უმთავრესად და ძირითადად) **შემდეგ** შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი **გახდა** არა მარტო საბჭოთა, არამედ სოციალისტური რესპუბლიკაც“. (ვ. ი. ლენინი, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები. თხზ., ტ. XXII, გვ. 442).

ლენინი ოცნებობდა იმ დროზე, როცა ახალი, სოციალისტური წყობილების ყლორტები გაიფურჩქნება და მოიცავს ხალხის ცხოვრების, ყოფის ყველა მხარეს... სწორედ ასეთ ამოცანას უსახავდა პარტიას ლენინი:

> „ამჟამად საქმე ეხება იმას, — სწერდა ლენინი, — რომ ყოველ მხრიდან შევუდგეთ იმ შენობის პრაქტიკულად აგებას, რომლის გეგმაც უკვე დიდი ხანია მოხაზული გვაქვს, რომლის ნიადაგისთვის საკმაოდ ენერგიულად ვიბრძოდით და საკმაოდ მტკიცედ მოვიპოვეთ, რომლისთვისაც მასალა საკმაო რაოდენობით დავაგროვეთ; ახლა მას ხარაჩო უნდა შემოვარტყათ, ჩავიცვათ სამუშაო ტანსაცმელი, რათა არ გვეშინოდეს, რომ გაგვესვრება იგი სხვადასხვა დამხმარე მასალით, ზუსტად შევასრულოთ პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელ პირთა განკარგულებანი და ეს შენობა ვაშენოთ, ვაშენოთ და ვაშენოთ“. (ვ. ი.

ლენინი, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები. თხზ., ტ. XXII, გვ. 422).

რუსეთმა მაშინ ცარიზმიდან და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილებიდან გიგანტური ნახტომი გააკეთა საბჭოებისაკენ. ჩვენი პარტიის ბელადი —ლენინი საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისაკენ ჩვენი სამშობლოს ხალხთა ამ ისტორიული მობრუნების ორგანიზატორი და ბრძენი მესაჭე იყო.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ გავიდა 22 წელი, რომელთაგან თვითეული წინ გადადგმული ახალი ნაბიჯი იყო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. ხელმძღვანელობდა რა ლენინის მოძღვრებით ერთ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აგების შესაძლებლობისა და გზების შესახებ, პარტიამ მჩქეფარე საქმიანობა გააჩაღა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, შეაკავშირა და დარაზმა მთელი ხალხი ახალი საზოგადოების ასაშენებლად, მოაწყო ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია, გააცამტვერა სხვადასხვა გამცემლური ელემენტები პარტიაში და მის გარეთ, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალათ ლენინური გეგმის შესრულება. სოციალიზმის აგების ამ გზაზე სერიოზული საფრთხე და დიდი სიძნელეები იყო. პარტია, ხალხი თავისი მასწავლებლის — ლენინის ღირსნი აღმოჩნდნენ. მათ წარმატებით გაიარეს ეს გზა. საშიშროებანი ლიკვიდირებულ იქნა, სიძნელეები დაძლეულ და გადაჭრილ იქნა. მხედველობიდან არ გამოპარვიათ არც ერთი შესაძლებლობა, ყველაფერი გამოყენებულ იქნა სოციალიზმისათვის. რასაც ლენინი ოცნებობდა, ასრულდა — ჩვენი ქვეყანა ფაქტიურად, ცხოვრებაში გახდა არა მარტო საბჭოთა ქვეყანა, არამედ სოციალისტური რესპუბლიკაც.

ახლა ჩვენი სოციალისტური საზოგადოება ეითარდება საკუთარ საფუძველზე. საბჭოთა ხალხმა შეჰქმნა თავისი სოციალისტური ინდუსტრია, სოციალისტური სოფლის მეურნეობა. საბჭოთა საზოგადოება ყოველდღე სულ უფრო და უფრო მზარდი მოცულობით წარმოქმნის ადამიანთა სოციალისტურ ურთიერთობას, წარმოების იარაღს, საწარმოო გამოცდილებას და შრომის ახალ ჩვეულებს. ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე მრავალგზის გაიზარდა 1917 წელთან შედარებით და შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს სიმდიდრე თითქმის მთლიანად შექმნილია საბჭოთა ეპოქაში. სოციალისტური საზოგადოების სახალხო შემოსავალი 1940 წლისათვის ექვსჯერ აღემატებოდა რუსეთის 1913 წლის სახალხო შემოსავალს. იგი 21 მილიარდიდან 128,3 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა. ჩვენი საბჭოთა საზოგადოების განვითარების დახასიათებისათვის დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე მხედველობაში ვიქონიოთ, რომ 193 მილიონი კაციდან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობენ, 100 მილიონამდე დაიბადა 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ.

მას შემდეგ, რაც ლენინისა და სტალინის პარტიამ სოციალისტური გადატრიალება მოახდინა, ჩამორჩენილი ქვეყანა რუსეთი, რომელსაც წარსულ-

ში არა ერთი სამხედრო დამარცხება განუცდია, მოწინავე, აღმავალი და ძლევამოსილი ქვეყანა გახდა. პარტიამ და ხალხმა კარგად იციან, რომ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის ეს ძირითადი ცვლილება, მისი გამარჯვებანი მტერთან სამხედრო შეტაკებებში მიღწეულ იქნა მხოლოდ იმის მეოხებით, რომ განხორციელდა ლენინურ-სტალინური თეორია ერთ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აგების შესაძლებლობის შესახებ, სოციალიზმის მშენებლობის გზებისა და საშუალებათა შესახებ. როგორც ცნობილია, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი და ამხანაგი სტალინი გვასწავლიან, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხს ორი სხვადასხვა მხარე აქვს, რომელთაგან ერთი მოიცავს საშინაო ურთიერთობის დარგს, მეორე—საგარეო ურთიერთობის დარგს. ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა საზოგადოების განვითარების მსვლელობამ გადალახა დაბრკოლებანი სოციალიზმის აგების გზაზე: დაძლეულია რუსეთის სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობა, დამარცხებული და გაკაპიტალისტებულია ექსპლოატატორული კლასები, მოგვარებულია მუშათა კლასისა და გლეხობის ძმური თანამშრომლობა, შექმნილია საბჭოთა საზოგადოების მტკიცე მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომელმაც მკაცრი გამოცდა გაიარა. ახლა ჩვენს ქვეყანაში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაფერხოს სოციალიზმის შემდგომი განვითარება და კომუნისტურ საზოგადოებაზე თანდათანობით გადასვლა. მაგრამ, როგორც ლენინიზმი გვასწავლის, ერთ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აგება ჯერ კიდევ არ არის სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება, ეს იგი გამარჯვება, რომელიც თავისუფალია გარედან სამხედრო თავდასხმისა და კაპიტალიზმის აღდგენის ცდების საშიშროებისაგან. მეორე მსოფლიო ომის დაწყების ცოტა ხნით ადრე ამხანაგი სტალინი იძლეოდა გაფრთხილებას: სასაცილო და სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, „რომ ჩვენი გარეშე მტრები, მაგალითად, ფაშისტები, თუ მათ შემთხვევა მიეცათ, არ შეეცდებიან მოახდინონ სამხედრო თავდასხმა სსრ კავშირზე. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ ბრმა ბაქიებს ან ფარულ მტრებს, რომელთაც სურთ მიაძინონ ხალხი. არანაკლებ სასაცილო იქნებოდა იმის უარყოფა, რომ სამხედრო ინტერვენციის სულ მცირე წარმატების შემთხვევაში ინტერვენტები შეეცდებიან დაანგრიონ საბჭოთა წყობილება მათ მიერ დაკავებულ რაიონებში და აღადგინონ ბურჟუაზიული წყობილება. განა დენიკინი ან კოლჩაკი არ აღადგენდნენ ხოლმე ბურჟუაზიულ წყობილებას მათ მიერ დაკავებულ რაიონებში? რით სჯობიან ფაშისტები დენიკინს ან კოლჩაკს?“. (ამხ. ივანოვის წერილი და ამხანაგ სტალინის პასუხი, გვ. 16-17, პარტგამომცემლობა, 1938 წელი).

სწორედ ამასთან დაკავშირებით დააყენა და დაამუშავა ამხანაგმა სტალინმა საკითხი სოციალიზმისა და კომუნიზმის დროს სოციალისტური სახელმწიფოს უდიდესი როლის შესახებ, სოციალისტური საზოგადოების განვითარების მსვლელობაში სოციალისტური სახელმწიფოს უპირველი

განმტკიცების შესახებ იმ პირობებში, როცა სოციალიზმმა გაიმარჯვა მარტო ცალკე აღებულ ერთ ქვეყანაში.

საჭიროა გავიხსენოთ ამასთან დაკავშირებით, რომ წარსულ საუკუნეში მარქსისტული მეცნიერება ემყარებოდა ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ქვეყნებში სოციალიზმის ერთსა და იმავე დროს გამარჯვების წანამძღვარს. ამიტომ მარქსისტულ ლიტერატურაში აღიარებული და ფართოდ გავრცელებული იყო თითქმის ასი წლის წინათ გამოთქმული დებულება სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისას სახელმწიფოს კვდომის შესახებ. სანამ სოციალიზმი მომავლის შორეული ოცნება იყო, ამ საკითხს არ ჰქონდა გადამწყვეტი პრაქტიკული მნიშვნელობა. მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა, როცა ლენინმა დაამტკიცა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პრაქტიკული შესაძლებლობა, როცა საბჭოთა კავშირში აგებულ იქნა სოციალისტური საზოგადოება. ამ ახალ პირობებში სოციალიზმის განვითარების უმაღლეს საფეხურზე სახელმწიფოს კვდომის ამ თეორიით ხელმძღვანელობა, რომელიც წინათ გაერცელებული იყო მარქსისტულ წრეებში, ნიშნავდა საბჭოთა საზოგადოების განიარაღებას მისი მოსისხლე მტრების წინაშე. დიდმა სამამულო ომმა, რომელიც საბჭოთა კავშირის გამარჯვებით დამთავრდა, ცხადჰყო, რომ საბჭოთა სახელმწიფომ გადამწყვეტი როლი შეასრულა მტრის განადგურებაში. ამხანაგმა სტალინმა თეორიულად შეიმუშავა და განავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პირობებში, გვიჩვენა, რომ არ შეიძლება საერთაშორისო ვითარებისაგან მოწყვეტა, რომ სოციალისტურ ქვეყანას „უნდა ჰქონდეს თავისი საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო,—იმისათვის, რომ საშუალება ჰქონდეს დაიცვას სოციალიზმის მონაპოვარნი გარედან თავდასხმისაგან“ (ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც. გვ. 747).

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პირობებში სოციალიზმისა და კომუნიზმის დროს სახელმწიფოს განვითარებისა და განმტკიცების იდეამ, ამხანაგ სტალინის მიერ განვითარებულმა და დასაბუთებულმა, შეაიარაღა ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი და ლენინიზმის უდიდესი თეორიული და პოლიტიკური მონაპოვარი გახდა.

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ლენინური თეორიის შინაარსი მოითხოვდა, რომ სოციალისტურ სახელმწიფოს ჰყოლოდა ძლიერი, კარგად გაწვრთვნილი თანამედროვე არმია, ჰქონოდა შემუშავებული საბჭოთა სამხედრო მეცნიერება გარეშე მტრებისაგან სოციალისტური სახელმწიფოს დაცვის შესახებ.

გარეშე მტრებისაგან სოციალისტური საზოგადოების დაცვასთან შეფარდებით სამხედრო მეცნიერება ლენინისა და სტალინის ნაშრომებამდე შემუშავებული არ ყოფილა. რამდენადაც მარქსისა და ენგელსის ეპოქაში მუშათა კლასს კიდევ არ ჰქონდა თავისი სახელმწიფო და არ ჰყავდა თა-

ვისი არმია და ამასთან მარქსი და ენგელსი ფიქრობდნენ, რომ სოციალიზმი გაიმარჯვებდა ერთსა და იმავე დროს უმრავლეს ქვეყნებში, სამხედრო საკითხებს მარქსისტული მეცნიერების ფუძემდებელნი თავიანთ ნაშრომებში მთავარ ყურადღებას არ უთმობდნენ. მართალია, სამხედრო საკითხებზე მუშაობდა ენგელსი, მაგრამ ეს საკითხები ენგელსის ნაშრომებში დეტალურად დამუშავებული არ არის და, ამასთან, ჩვენი დროისათვის ენგელსის ზოგიერთი სამხედრო ნაშრომი ძალიან მოძველებულია. საბჭოთა სამხედრო მეცნიერების უქონლობას შეეძლო ჩვენი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების განვითარების შეფერხება, მისი შესუსტება მძიმე სამხედრო განსაცდელის წინაშე. ლენინმა და სტალინმა სოციალისტური სახელმწიფოს ასეთი სამხედრო მეცნიერების შემუშავება დაიწყეს ჯერ კიდევ სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის პერიოდში. ლენინმა და სტალინმა ჯერ კიდევ იმ წლებში საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა სამხედრო მეცნიერებას, იდეოლოგიურად, მორალურად შეაიარაღეს პარტია და საბჭოთა ხალხი, შეჰქმნეს და აღზარდეს ჩვენი სახელოვანი წითელი არმია და წითელი ფლოტი. იმ დროიდან პარტია, ამხანაგი სტალინი დაუღალავად განაგრძობდნენ საბჭოთა სამხედრო მეცნიერების განვითარებას. შემუშავებულ იქნა საკითხები საბჭოთა საზოგადოების შეიარაღებული ძალების მშენებლობის შესახებ, პოლიტიკური და ეკონომიური პირობების შესახებ, რაც უზრუნველჰყოფდა სოციალისტური სახელმწიფოს გამარჯვებას მის მტრებზე, შემუშავებულ იქნა თანამედროვე ომის წარმოების სტრატეგია და ტაქტიკა, ომის მსვლელობაში მტერზე უპირატესობის განუხრელად მოპოვების გზები, მოპოვებული გამარჯვების სამხედრო და დიპლომატიური განმტკიცების გზები, მიღწეულ სამხედრო წარმატებათა განმტკიცების გზები. სამხედრო მეცნიერების, სამხედრო იდეოლოგიის საკითხები შემუშავებულ იქნა მთლიანად საზოგადოების ცხოვრებისა და განვითარების შესახებ ლენინიზმის მოძღვრების თვალსაზრისით.

პარტიის ამ მუშაობის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა განსაკუთრებული სიცხადით გამომჟღავნდა, როცა გერმანიის ფაშიზმმა სცადა საბჭოთა სოციალისტური წყობილების განადგურება იარაღით და ჩვენს ქვეყანაში მონათმფლობელური იმპერიალიზმის რეაქციული წყობილების დამკვიდრება. ცნობილია, თუ რა სავალალოდ დამთავრდა ფაშიზმისათვის ეს ცდა. სოციალისტურმა საზოგადოებამ არა მარტო ღირსეულად გაუძლო ომის განსაცდელს, მან გვიჩვენა შესანიშნავი უნარი — ომის კრიზისულ მომენტში, მომაკვდინებელი საფრთხის მომენტში ეპოვნა ხალხის შემოქმედების დამატებითი წყაროები, თავისი ძლიერების ზრდის წყაროები. სოციალიზმის პოლიტიკურმა და შეიარაღებულმა ძლიერებამ აჯობა და გასრისა გერმანიის იმპერიალიზმის — ევროპული რეაქციის ცენტრის პოლიტიკური ძლიერება. საბჭოთა სამხედრო მეცნიერებამ, სამხედრო იდეოლოგიამ გვიჩვენა თავისი უდიდესი უპირატესობა თანამედროვე ომში. ახლა ყვე-

ლასათვის ცხადია, ეს იმიტომ მოხდა, რომ საბჭოთა ხალხს თავისი საზოგადოების სათავეში ჰყავს ნაცადი ბელადი და უდიდესი მხედართმთავარი გენერალისიმუსი სტალინი **(მთელი დარბაზის მჭუხარე ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან).** ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა. სამხედრო ხელოვნების უდიდეს ნიმუშებს წარმოადგენენ ოპერაციები სტალინგრადის, კორსუნ-შევჩენკოვსკის, იასი-კიშინიოვის გარშემოსარტყმელად, გერმანიის არმიების გარშემორტყმა ბელორუსიაში, აღმოსავლეთ პრუსიასა და ბერლინის რაიონში. სამხედრო მეცნიერებაში შესანიშნავ განძს წარმოადგენს ოპერაციები მტრის ფრონტის გასარღვევად და დასამსხვრევად, რაც წითელმა არმიამ განახორციელა ომის მსვლელობაში. ამხანაგმა სტალინმა მოგვცა სამხედრო მეცნიერების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემების კონკრეტული გადაწყვეტა, რაც დაკავშირებულია ჯარების გვარეობათა გამოყენებასთან და თანამოქმედებასთან, რომლებიც წარმოიშვნენ თანამედროვე სამხედრო ტექნიკის განვითარების საფუძველზე. ამხანაგმა სტალინმა, მეთაურობდა რა საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს, ჩვენი ქვეყანა მიიყვანა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი ხალხის ბრძოლის ისტორიაში ყველაზე უფრო დიდ გამარჯვებამდე.

სამამულო ომის შედეგს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის განვითარების პერსპექტივებისა და განმტკიცების თვალსაზრისით. ახლა შეიძლება ითქვას, რომ, თუმცა სოციალისტურ სახელმწიფოს არა აქვს სრული გარანტია, რომ მის წინააღმდეგ გარედან სამხედრო თავდასხმა არ მოხდება, მაგრამ სამამულო ომმა გვიჩვენა, რომ საერთაშორისო რეაქციის მეორე ცდაც — დაემარცხებინათ საბჭოების რესპუბლიკა გარეშე სამხედრო ძალის დახმარებით, იძულებულეყოთ ჩვენი ხალხი გადაეხვია განვითარების სოციალისტური გზიდან — დამთავრდა რეაქციული ძალების უმაგალითო განადგურებით. მაშასადამე, სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ ჩვენი საზოგადოების განვითარების პერსპექტივები ამჟამად კიდევ უფრო განმტკიცდა არა მარტო შინაგანი, არამედ გარეშე პირობების თვალსაზრისითაც. ყველაფერი ეს ცხადჰყოფს, რომ საბჭოთა ქვეყანა წარმოადგენს მზარდს, აღმავალ სახელმწიფოს, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას თავისი თავი და მოიგერიოს ყოველგვარი მტერი.

ლენინი და სტალინი ასწავლიან ჩვენს პარტიას — არ გაიტაცოს იგი გამარჯვებამ, კი არ შეამციროს, არამედ, პირიქით, გააძლიეროს ენტუზიაზმი შრომაში, იყოს გამჭრიახი და ფხიზელი ჩვენი სამშობლოს ინტერესების დაცვაში, მტკიცედ შეინარჩუნოს გამარჯვების შედეგები. მაგრამ გამარჯვების შენარჩუნება, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი მეურნეობის კიდევ უფრო გაძლიერებას, ჩვენი კულტურის კი-

დევ უფრო ამაღლებას. მშვიდობიანი მშენებლობის ხანაში, რომელშიც იმყოფება ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო აღადგენს მეურნეობას იმ რაიონებში, სადაც შემოჭრილი იყო და მძვინვარებდა მტერი, და მიაღწევს საბჭოთა ხალხების მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში ახალ აღმავლობას, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის, კეთილდღეობის აღმავლობას. ლენინიზმი ჩვენს ხალხს უჩვენებს ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი აყვავების ნათელ გზას, კომუნიზმისაკენ მისი შემდგომი წინსვლის გზას.

ახლა მთელი ხალხისათვის ცხადია, რომ ულენინოდ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი პარტიის მიერ განვლილი მთელი ეს გზა ერთადერთი სწორი, ისტორიულად სავსებით გამართლებული გზაა კომუნიზმისაკენ. მაგრამ საბჭოთა ადამიანებმა იციან, რაოდენ ძნელი, რთული იყო ეს გზა, რა დიდი საფრთხე ელოდა საბჭოთა რესპუბლიკას ყოველ ნაბიჯზე. ამ ძნელ წლებში რომ საბჭოთა ქვეყანა დავაჟკაცებული, მტკიცე გაეხადათ, რომ განეხორციელებინათ გიგანტური ნახტომი ჯერ კიდევ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკიდან გამარჯვებული სოციალიზმის მძლავრი სახელმწიფოსაკენ, ბოლშევიკების პარტიას, ლენინის მოწაფეებს მოეთხოვებოდათ ჰეშმარიტად ტიტანური ენერგია, გონების დიდი ძალა და შეუდრეკელი ნებისყოფა. და ლენინის პარტიის ეს თვისებები მთლიანად გამოვლინდა. პარტია წარმატებით, დარწმუნებით ახორციელებდა ლენინურ იდეებს და ამჟამად წინ მიდის ლენინის გზით, ბრძნულად, ოსტატურად წარმართავს რა მას საყვარელი ბელადი, ლენინის ერთგული თანამებრძოლი ამხანაგი სტალინი. **(მჭუხარე ტაში).**

III

ზაბჭოთა დემოკრატია ლენინიზმის იდეების განხორციელებაა

ლენინი გვასწავლიდა, რომ საბჭოთა წყობილების ყველაზე ძლიერი მხარე საზოგადოების ცხოვრების წინანდელ ფორმებთან შედარებით, არის მთელი ხალხის მონაწილეობა ახალი საზოგადოების მშენებლობაში, რომ სოციალიზმი იმარჯვებს მოსახლეობის უმრავლესობის დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედების დროს. ლენინიზმმა მოგვცა სოციალისტური საზოგადოების განვითარების ამ თავისებურების მეცნიერული ახსნა. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა წარსული წყობილება წარმოიშვებოდა ხოლმე ხალხის მასების შეგნებული მონაწილეობის გარეშე. მაგალითად, ბურჟუაზიული წყობილების განვითარება არ მოითხოვდა მასების შეგნებულ შემოქმედებას ან რომელიმე პარტიის ორგანიზატორულ მუშაობას, რადგან ეს წყობილება სტიქიურად წარმოიშვა ჯერ კიდევ ფეოდალური საზოგადოების წიაღში. სოციალიზმი კი წარმოიშობა და ვითარდება არა თავისთავად, არა სტიქიურად, მას შეგნებულად, გეგმით აშენებს მთელი

ხალხი კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელობით. გასაგებია, რომ ახალი საზოგადოების აგება შეგნებულად, მთელი ხალხის ხელით, მრავალი მილიონი ადამიანის ცხოვრების საფუძვლების გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ ხალხის მთელი შემოქმედებითი ძალების, ენერგიისა და ტალანტების გაშლით. აქედან გასაგებია ლენინის იდეა იმის შესახებ, რომ რამდენადაც ხალხის მასები ჩაბმული არიან აქტიურ ცხოვრებაში, ისტორიულ შემოქმედებაში, უნდა გაიზარდოს მოსახლეობის იმ მასის მოცულობაც, რომელიც წარმოადგენს შეგნებულ ისტორიულ მოღვაწეს. სწორედ საბჭოთა დემოკრატია გამოხატავს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ საბჭოთა ხალხი გახდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების შეგნებული შემოქმედი. ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ ხალხთა და სახელმწიფოთა ბედი სწყდება ახლა, უწინარეს ყოვლისა, და უმთავრესად, მშრომელთა მილიონიანი მასების მიერ.

„მუშები და გლეხები, რომელნიც უხმაუროდ და უაურზაურო აშენებენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, მაღაროებსა და რკინიგზებს, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, ჰქმნიან ცხოვრების ყველა სიკეთეს, აჭმევენ და აცმევენ მთელ მსოფლიოს, — აი ვინ არიან ახალი ცხოვრების ნამდვილი გმირები და ნამდვილი შემოქმედნი". (ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 527).

საბჭოთა საზოგადოებაში, სადაც არ არიან ერთმეორისადმი მტრული კლასები და არ არის ერების ჩაგვრა, ხოლო სახელმწიფო სდგას ყველა მშრომელის ინტერესების სადარაჯოზე, ხალხი ნამდვილად ჰქმნის პოლიტიკას და ახორციელებს მას თავის შემოქმედებითს საქმიანობაში. საბჭოთა დემოკრატიის ამ თავისებურებით აიხსნება, თუ რატომ არის საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების კანონი მისი სულ უფრო და უფრო მზარდი წინსვლა. ის ფაქტი, რომ საბჭოთა მუშებსა და გლეხებს, ინტელიგენციას შეგნებული აქვთ, რომ მათ ქვეყანას არ შეუძლია იდგეს ერთ ადგილას, რომ იგი განუწყვეტლივ უნდა ვითარდებოდეს, ის ფაქტი, რომ მთელი ჩვენი ხალხი ისწრაფვის თავისი შრომით დაეხმაროს მთელი საზოგადოების ამ წინსვლას, წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების უდიდეს შინაგან ძალას. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ განუწყვეტლივ ზარდონ შრომის ნაყოფიერება, რადგან სოციალიზმის პირობებში საზოგადოების სიმდიდრის გადიდება ნიშნავს ამავეთან ყველა მისი წევრის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ზრდას. მართალია, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ მძიმე ომის პირობებში ჩვენი ქვეყანა ხალხის არსებობისა და მისი სოციალისტური მონაპოვრების დასაცავად იძულებული იყო მთელი ძირითადი საშუალებანი და ძალები მოეხმარებინა არმიისა და ფრონტის საჭიროებისათვის. ამ წლებში ცხოვრება ძნელი იყო, ყველა იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ აუცილებელით და განეცადა გაჭირვება. მაგრამ ეს ომის სიძნელეები ქარბად იქნა გამოსყიდული. ჩვენმა ხალხმა დაიცვა თავისი სიცოცხლე, თავისუფლება,

სოციალისტური წყობილება, თავისი საბჭოთა დემოკრატია. ამით მან დაიცვა მთავარი პირობა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მოკლე ვადაში სწრაფად წასწიოს წინ ქვეყნის მთელი განვითარება, მნიშვნელოვნად აამაღლოს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე.

ამრიგად, ლენინის იდეა თვით ხალხის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების შეგნებული შემოქმედების შესახებ პრაქტიკულ განხორციელებას პოულობს ჩვენს ქვეყანაში. სწორედ ამაში მდგომარეობს საბჭოთა საზოგადოების უძლეველი აღმავალი განვითარების საფუძველი, საბჭოთა სახელმწიფოს შინაგანი ძალა, ხალხური საბჭოთა დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი პირობა და გამოვლინება. ამაშივე მდგომარეობს ლენინის მითითების ღრმა აზრი იმის შესახებ, რომ საბჭოთა დემოკრატია ამაღლებს, ზრდის, წრთვნის მშრომელი კლასების მთელ გაგანტურ მასას, „რომელიც აქამდე მთლიანად იდგა პოლიტიკური ცხოვრების გარეშე, ისტორიის გარეშე“ (ვ. ი. ლენინი—„შეინარჩუნებენ თუ ვერა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?“ თხზ. ტ. XXI, გვ. 258).

ჩვენი საბჭოთა დემოკრატიის ეს თავისებურება იწვევს დემოკრატიის გაფართოებისა და განვითარების მიხედვით საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივ განმტკიცებას. აქამდე პოლიტიკური განვითარების ისტორიული გამოცდილება, კერძოდ, იმაში მდგომარეობდა, რომ ხალხთა მასებს უხდებოდათ ბრძოლა ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან, რათა შეენარჩუნებინათ და დაეცვათ უკვე მოპოვებული დემოკრატიული უფლებები. საბჭოთა საზოგადოებაში ხალხი და მისი სახელმწიფო ერთნაირად არიან დაინტერესებული დემოკრატიის გაფართოებითა და აყვავებით მშრომელებისათვის, რადგან, რაც უფრო ფართოდ იქნება ჩაბმული ყველა მშრომელი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მით უფრო მტკიცე, უფრო მძლავრი ხდება საბჭოთა სახელმწიფო. საბჭოთა საზოგადოების ეს თავისებურება შესაძლებლობას იძლევა მუდმივად განვავითაროთ და ყოველნაირად გავაფართოოთ საბჭოთა დემოკრატია სოციალიზმის განვითარების მსვლელობაში.

უკანასკნელ ხანს თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების არც ერთ საკითხს არ გამოუწვევია იმდენი სხვადასხვაგვარი მსჯელობა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრში, როგორც საკითხს დემოკრატიის შესახებ. მაგრამ ამ მსჯელობისას ძალიან იშვიათად იღებდნენ მხედველობაში იმ უბრალო, მაგრამ გადამწყვეტ გარემოებას დემოკრატიის აზრისა და ხასიათის გასაგებად, რომ ყოველი დემოკრატიის შემოწმება უნდა ხდებოდეს საზოგადოებაზე მისი გავლენის, მასში ძირითადი სოციალური საკითხების გადაჭრაზე გავლენის ნამდვილი, ფაქტიური შედეგების მიხედვით. საბჭოთა დემოკრატიის სხვადასხვა მტრები და ორგულნი ამჯობინებენ დუმილს საქმის ამ უნიშვნელოვანესი მხარის შესახებ, რადგან დემოკრატიაზე ყველა მათი მსჯელობისაგან პირდაპირ კვალიც კი არ რჩება, თუ ფაქტებს მივმართავთ.

ავიღოთ ყოველი დემოკრატიის ძირითადი საკითხი—საკითხი მშრომელი ადამიანის პოლიტიკური უფლებების შესახებ. ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულია ის უსამართლო წესი, რაც დამახასიათებელია კაპიტალისტური საზოგადოებისათვის, რომლის დროსაც ქარხნები, ფაბრიკები ეკუთვნიან არა იმათ, ვინც იქ მუშაობს, მიწა არის არა იმის განკარგულებაში, ვინც მას ამუშავებს, არამედ ეკუთვნის მას, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს. საბჭოთა დემოკრატიის ძირითადი ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მშრომელი ადამიანები, ხალხის მასები თვითონ ფლობენ წარმოების ყველა საშუალებებს, მთელ სიმდიდრეს, რომელსაც ისინი ჰქმნიან. გასაგებია, რომ თუ მშრომელ ადამიანებს მიაჩნიათ ასეთი წყობილება ნამდვილ დემოკრატიულად და სამართლიანად, მაშინ იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ სხვების შრომით, იგივე წყობილება არ სურთ სცნონ დემოკრატიულად. მაგრამ სწორედ ეს ააშკარავებს ნამდვილი დემოკრატიის მტრებს, რომლებიც თავიანთ ანგარებიან ინტერესებს აყენებენ ხალხის, საზოგადოების ინტერესებზე უფრო მაღლა.

ავიღოთ მეორე საკითხი. როგორც ცნობილია, არც მეფის რუსეთში, არც თანამედროვე სახელმწიფოებში საზღვარგარეთ ნაციონალური საკითხი არ იყო პროგრესულად გადაწყვეტილი. ბევრ საზღვარგარეთულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ერების ურთიერთობა ხშირად წესრიგდება ხიშტითა და მათრახით, ხოლო თვით ასეთი სახელმწიფოები აგებული არიან გაბატონებული ერის მმართველი კლასების მიერ ყველა დანარჩენი ერების ჩაგვრასა და დამცირებაზე. საბჭოთა ხელისუფლებამ კი მოსპო ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა, რაც სტანჯავდა რუსეთის განაპირა ქვეყნების ხალხებს, დაეხმარა და ეხმარება მათ მეურნეობისა და კულტურის ამაღლებაში ჩვენი ქვეყნის მოწინავე ცენტრალური ოლქების დონემდე, ეს ხალხები სრულუფლებიანებად გახადა. წინათ ჩაგრული განაპირა მხარეები ახლა გახდნენ დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები განვითარებული ეკონომიკითა და კულტურით. საბჭოთა ხელისუფლებამ ისტორიაში პირველად შესძლო საბჭოთა კავშირში შეექმნა ყველა ხალხთა გულწრფელი მეგობრობისა და ძმური სოლიდარობის ვითარება. საბჭოთა ხელისუფლების მიერ ათობით მილიონი ადამიანის ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლება დემოკრატიის უდიდესი მიღწევაა. ცნობილია, რომ ომი არის ერებს, ხალხებს შორის დამყარებული კავშირის სიმტკიცისა და გულწრფელობის სერიოზული შემოწმება. და აი სამამულო ომის დროს ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვან ხალხებს შორის ურთიერთობა ერთიანი მეგობრული ოჯახის წევრების ურთიერთობას ჰგავდა. განვლილ ომში ჩვენი ქვეყნის ხალხთა მისწრაფება ურთიერთთანამშრომლობისა და ერთობლივი ბრძოლისაკენ სამშობლოს გადასარჩენად, ყველა ხალხთა მზადყოფნა ერთიმეორის დასაცავად გამოვლინდა უდიდესი სიცხადითა და მომხიბვლელობით. საბჭოთა კავშირის ხალხებმა დაანახ-

ვეს მსოფლიოს ერთიმეორისადმი ძმური ერთგულებისა და თავდადების უბადლო მაგალითები. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები დაირაზმნენ რუსი ხალხის, როგორც თავიანთი უფროსი ძმის, გარშემო და საერთო, ერთსულოვანი ღონისძიებებით დაამარცხეს მტერი.

ასეთია საბჭოთა დემოკრატიის დიადი ნაყოფი.

აქედან სჩანს, რა ფასდაუდებელი პოლიტიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ლენინისა და სტალინის მიერ შემუშავებულ თეორიას, ყველა ერის ძმურ თანამშრომლობაზე, ხალხთა შეგნებულ და გულწრფელ მეგობრობაზე დამყარებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის თეორიას.

დემოკრატიის ნამდვილი და არა მოჩვენებითი განხორციელება გულისხმობს აგრეთვე მთელი ხალხის ინტერესთა ერთიანობას, მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. მშრომელი მასების ასეთი ერთიანობა ლენინს მიაჩნდა სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად თავისებურებად. „ჩვენი წარმოდგენით,—ამბობდა ლენინი, — სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით, იგი ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, როცა მათ შეუძლიათ ყველაფერზე იმსჯელონ და ყველაფერი შეგნებულად მიიღონ“. (ლენინი — სრული კრებული, ტ. XXII, გვ. 18). განაზოგადებდა რა რუსეთის პოლიტიკური ისტორიის გამოცდილებას, ლენინი აღნიშნავდა აგრეთვე, რომ რაც უფრო მეტია პოლიტიკური თავისუფლება ქვეყანაში, რაც უფრო მტკიცე და დემოკრატიულია მისი წარმომადგენლობითი დაწესებულებანი, მით უფრო იოლია ხალხის მასებისათვის პოლიტიკის შესწავლა, ხოლო პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ სახელმწიფოს საქმეებში მონაწილეობაა. სახელმწიფოს მართვაში ჩვენი ხალხის მონაწილეობის გამოცდილება და სამამულო ომში ხალხის მიერ საბჭოთა ხელისუფლების თავდადებული დაცვა მოწმობს მოწინავე საბჭოთა იდეების სულისკვეთებით, სოციალიზმის სულისკვეთებით ლენინის პარტიის მიერ აღზრდილი ჩვენი საბჭოთა საზოგადოების მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობას და მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობას, რაც სულ უფრო და უფრო მტკიცდება.

ისტორიამ იცის მეცნიერებისა და კულტურის დიდი მოღვაწეების თავიანთი იდეებისადმი კეთილშობილური ერთგულების მრავალი მაგალითი. ვერც მუქარამ, ვერც უდიდესმა ტანჯვამ ვერ შესძლეს იძულებულყოთ ისინი—ხელი აეღოთ მოწინავე რწმენაზე. მაგრამ ისინი ცალკეული პიროვნებები იყვნენ. არც წარსულმა ისტორიამ. არც საზოგადოების თანამედროვე განვითარებამ არ იცის მაგალითი, როცა მთელი ხალხი, ამასთან დიდი ხალხი, როცა მთელი საზოგადოება, ამასთან მრავალმილიონიანი საზოგადოება იბრძოდეს ერთი მოწინავე მსოფლმხედველობის დროშით და იყოს პოლიტიკურად ერთიანი. ახლა ისტორიას აქვს ასეთი მაგალითი. ამ მაგალითს იძლევა

საბჭოთა საზოგადოება. ამაშია საბჭოთა წყობილების სიმტკიცე, სოციალიზმის ცხოველსუნარიანობა და უძლეველობა.

სწორედ ყოველივე ამით აიხსნება, თუ რატომ იცავენ თავგამოდებით საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც თვითონ შეიქმნეს ცხოვრების დემოკრატიული წესი, თავიანთ დემოკრატიას, თავიანთ ხელისუფლებას, რატომ არ ანებებენ ვისმეს შელახოს იგი და რატომ მიაჩნიათ ეს დემოკრატია თავიანთი სასიცოცხლო ინტერესების საუკეთესო და ყველაზე უფრო სრულ გამოხატულებად. ამითვე აიხსნება, თუ რატომ წარმოადგენს საზღვარგარეთის ბევრ სახელმწიფოში არჩევნები, ეთქვათ, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები, შეძლებულ კლასებს შორის ვაჭრობის საგანს, მაშინ როცა საბჭოთა კავშირში უმაღლესი საბჭოს არჩევნები წარმოადგენენ საყოველთაო სახალხო დღესასწაულს, თავისი პარტიისადმი, თავისი მთავრობისადმი, თავისი ძვირფასი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი ხალხის გულწრფელი ერთგულების, მადლობისა და უაღრესი ნდობის გამოხატულებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჯერ კიდევ ახსოვს ყველას, თუ წარსულ არჩევნებში რა შეთანხმებულად, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას. მაშინ ამომრჩევლებმა თავიანთი ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკს. მას შემდეგ რვა წელი გავიდა. და ჩვენი ხალხი კიდევ და კიდევ დარწმუნდა, რომ ისეთ პარტიას, როგორიც არის ბოლშევიკების პარტია, შეიძლება თამამად დაენდო—იგი დაიცავს ხალხის ინტერესებს, რომ ისეთ მთავრობის პოლიტიკას, როგორიც არის ჩვენი საბჭოთა მთავრობა, ყველა საბჭოთა ადამიანს შეუძლია თამამად მისცეს ხმა, ვინაიდან ეს პოლიტიკა აგებულია ხალხის სასარგებლოდ, სოციალიზმისათვის. ჩვენი საბჭოთა ადამიანები ამბობენ აგრეთვე: მთელი ამ წლების მანძილზე ჩვენ მტკიცედ ვიდექით ლენინის—ჩვენი საბჭოთა წყობილების მამის დროშის ქვეშ. ეს იყო ბათელ ლენინურ გზაზე სამუდამოდ დამდგარი ხალხის სახელოვანი შემოქმედებითი შრომისა და თავდადებული ბრძოლის წლები. ამ გზამ აამაღლა ჩვენი სამშობლო და გაამრავლა მისი ძალები. ჩვენ ვამაყობთ და ბედნიერი ვართ იმით, რომ ეს გზა გამოვიარეთ ჩვენ, რომელთაც ბრძნულად წარგვმართავდა ჩვენი ბელადი ამხანაგი სტალინი. **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).**

ცოცხლობდეს და ჰყვაოდეს ჩვენი დიადი სამშობლო, ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება! **(ხანგრძლივი ტაში).**

დიდება ბოლშევიკების პარტიას და საბჭოთა ხალხს, რომლებიც იმარჯვებენ ლენინიზმის დროშით! **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ლენინიზმს! **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის დიდ ბელადს, ხალხის მასწავლებელს, ლენინის საქმისა და მოძღვრების განმგრძობს ჩვენს ამხანაგ სტალინს! **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში, რაც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან. სხდომის მონაწილენი ფეხზე მდგომნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“).**

---

2. „ბოლშევიკი“ № 1.

პ. გუგუშვილი

საქართველოს სსრ მძიმე მრეწველობა 1921-1946 წლებში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცდახუთი წლისთავისათვის ქართველი ხალხის ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ მიღწევას წარმოადგენს უახლესი ტექნიკით შეიარაღებული მძიმე მრეწველობა, რაც ერთგვარი ქვაკუთხედია საერთოდ მთელი ქვეყნის ინდუსტრიულ-აგრარული განვითარებისა.

საქართველოში ძველთაგანვე ცნობილი იყო მრეწველური წარმოების განვითარებული დარგები. მზადდებოდა ლითონის ძვირფასი ნაკეთობანი, საფეიქრო და ქვების პროდუქტები და შენდებოდა ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანი. მტერთა ხშირი შემოსევა მეტწილად მთლიანად ანადგურებდა საზოგადოებრივი წარმოების მიღწევებს, მაგრამ შრომისმოყვარე ქართველი ხალხი აღადგენდა და კვლავ ავითარებდა მას.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ცარიზმის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკა აფერხებდა საქართველოში მრეწველობის განვითარებას. რუსეთის კაპიტალიზმს ჩვენი ქვეყანა უპირატესად სჭირდებოდა როგორც ცენტრალური ინდუსტრიული რაიონებისათვის ნედლეულის ბაზა და მზა ნაწარმთა გამსაღებელი ბაზარი.

მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც საქართველოში საკმაო სისწრაფით განვითარდა კაპიტალისტური წარმოება. ნელ-ნელა ფეხი მოიდგა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობამ, ჩაისახა და განვითარდა სამთამადნო სარეწები, გაყვანილ იქნა შავი და კასპიის ზღვის, ე. ი. ევროპისა და წინა აზიის დამაკავშირებელი რკინიგზა; აშენდა შავი ზღვის ნავსადგურები. მიმოსვლისა და კავშირგაბულობის საშუალებათა გაუმჯობესებამ ერთმანეთს დაუახლოვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები და საერთოდ საქართველო კაპიტალისტური რუსეთისა და ევროპის ეკონომიური ცხოვრების სფეროში ჩააბა.

მრეწველობა მეფის რუსეთში, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, ჩამორჩენილი იყო. მაგრამ ამ მხრივ საქართველო, ცხადია, თვით რუსეთსაც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა.[1] 1913 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა: 1. საერთოდ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებიდან რუსეთში—78 მანეთი, ხოლო საქართველოში—19 მანეთი, ე. ი. ოთხჯერ ნაკლები; 2. გამომუშავებული ელექტროენერგია რუსეთში—13,7 კვტ. საათი, საქართველოში—7,9 კვტ. საათი; მოპოვებული ქვანახშირი რუ-

[1] იხ. Ленин, Сочинения, т. XXVI, 191.

სეთში—209 კგრ., საქართველოში—28,4 კგრ., ხოლო მექანიკური ძრავების სიმძლავრე ერთ სულზე რუსეთში ათჯერ მეტი იყო, ვიდრე საქართველოში.

საერთოდ „საქართველოს მრეწველობა ცარიზმის დროს ჩანასახ მდგომარეობაში იყო. ამიერკავკასიის რკინიგზების სახელოსნოებს გარდა თბილისში არ იყო არც ერთი ცოტად თუ ბევრად მსხვილი საწარმო თანამედროვე ტექნიკით. იყო მხოლოდ წვრილი შინამრეწველური ან ნახევრად-შინამრეწველური საწარმონი წარმოების ძველთაძველი წესებით".[1] ამასთანავე მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მრეწველური (მანქანათმშენებლობის, ლითონის და სხვ.) და პირადი მოხმარების საგნების წარმოება საქართველოში სრულებით არ იყო.

პირველმა მსოფლიო ომმა მოშალა როგორც რუსეთის, ისე განსაკუთრებით საქართველოს სუსტად განვითარებული სამეურნეო ორგანიზმი. საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობა და განსაკუთრებით მრეწველობა კიდევ უფრო გაჩანაგდა მენშევიკების ბატონობის წლებში.

მეურნეობის პროგრესული დაშლისა და დაქვეითების ფაქტს არ უარყოფდნენ თვით მენშევიკური მთავრობის მესვეურნიც. მაგალითად, 1920 წ. 13 ოქტომბერს თბილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში შემდგარ ეკონომიურ თათბირზე გამოსული ნოე ჟორდანია აღიარებდა: „ამ რამოდენიმე წლის წინად ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურის მხრივ ჩვენ კატასტროფისაკენ მივისწრაფით. შემდეგ ეს რამდენჯერმე იქნა განმეორებული, ასე რომ ამ სიტყვებს კიდეც შეეჩვივნენ თითქოს და არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ. მაგრამ დღეს ეს სიტყვები უკვე გამართლებულია: დღეს თვითეული ჩვენგანი გრძნობს, თვითეული მწუაველი განიცდის იმ სინამდვილეს, რომ ჩვენ არა თუ მიუდგებართ კატასტროფისაკენ, — ჩვენ უკვე მივედით იქამდეო".

შემდეგ მას მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ დაეცა შრომის ნაყოფიერება მუშათა ყოფაცხოვრების მკაცრი და თანდათანი გაუარესების შედეგად. მაგალითად, თუ რკინიგზის მთავარი სახელოსნოების,—და ეს კი მენშევიკურ საქართველოში ყველაზე დიდი საწარმო იყო,—1914 წლის დონეს ასად მივიღებთ, მაშინ, პროცენტულად, შრომის ნაყოფიერება 1920 წელს უდრიდა: ქვაბების საამქროში—41, სამჭედლოში—42, ხოლო ვაგონ-სარემონტო საამქროში—41. ამგვარად, აქ შრომის ნაყოფიერება პირველი მსოფლიო ომის წინადროინდელ დონესთან შედარებით 2,5-ჯერ დაცემულა.

ამავე თათბირზე გამოსული კარლ კაუცკიც, აღნიშნავდა რა საქართველოში შრომის ნაყოფიერების სასტიკი დაცემისა და მოსახლეობის ეკონომიური გაღატაკების ფაქტს, მენშევიკურ მთავრობას ურჩევდა გაედიდებინა გლეხებზე გაწერილი გადასახადები, აეღო სესხი კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან და მოეწვია უცხოელი კაპიტალისტები. „რომ ყოველივე ეს სოციალისტური მთავრობისათვის არაა სასიამოვნო—ეს ცხადზე უცხადესია, მაგრამ სხვა გამოსავალი თქვენ არ გექნებათო",—უცხადებდა იგი მენშევიკებს, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს, რათა საქართველო მოეწყვიტათ რუსეთისაგან და გადაექციათ ჯერ გერმანელებისა და შემდეგ დასავლეთ ევროპის სხვა იმპერიალისტების სათარეშო მოედნად და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი რეაქციის პლაცდარმად.

---

[1] ლ. ბ. ბერია—„ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება", 1936, გვ. 24.

ასეთს პირობებში მოქცეული მენშევიკური საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების ბრწყინვალე ანალიზს იძლეოდა ამხანაგი სტალინი 1920 წ. 20 ნოემბერს გაზეთ „პრავდაში“:

„საქართველოს კატასტროფული მეურნეობრივი და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რომელსაც ახლანდელი საქართველოს გამგებელნიც კი აღნიშნავენ. საქართველო, რომელიც გაება ანტანტის ხაფანგში და ამიტომ დაპკარგა ბაქოს ნავთიცა და ყუბანის პურიც, საქართველო, რომელიც გადაიქცა ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად და ამიტომ დაადგა იგი საბჭოთა რუსეთთან მტრული დამოკიდებულების გზას, — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის. ტყუილად კი არ მოხდა, რომ მომაკვდავი მეორე ინტერნაციონალის გახრწნილმა ბელადმა, რეეოლუციის ტალღით ევროპიდან გადმოტყორცნილმა ბატონმა კაუცკიმ თავშესაფარი ჰპოვა დამყაყებულ, ანტანტის ბადეში გაბმულ საქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-მიკიტნებთან. განა საეჭვოა, რომ გაჭირვების ჟამს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა“.[1]

1920 წელს მრეწველურ საწარმოთა დიდი ნაწილი სრულებით დაუტვირთავი იყო ან მცირე დატვირთვით მუშაობდა. წარმოების ტექნიკურ შეიარაღებას არაფერი შემატებია, პირიქით, შენარჩუნებული მოწყობილობაც არსებითად გაცვეთილი იყო. ხოლო მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ მენშევიკების შრომის მინისტრის მოადგილე ერაძე აღიარებდა: „საქართველოს მუშათა კლასი ამჟამად მძიმე და მწვავე ეკონომიურ კრიზისს განიცდის. მისმა სიღარიბემ და გაჭირვებამ მიაღწია უკიდურეს საზღვარს, რომლის შემდეგ უწმდა მოველოდეთ ჩვენში მუშათა კლასის ფიზიკური გადაშენების სწრაფ და ძლიერ პროცესს“.[2]

მენშევიკების ბატონობის სამი წლის განმავლობაში დაირღვა საქართველოს სახალხო მეურნეობა, ხოლო „1920 წლის შემოდგომისათვის სამეურნეო-ეკონომიურმა კრიზისმა უკიდურეს საზღვარს მიაღწია. მარაგი, რომელიც საქართველოში ყოფილი მეფის არმიის საინტენდანტო სამმართველოსაგან დარჩა, შეიჭამა. ფაბრიკებისა და ქარხნების უმრავლესობა არ მუშაობდა. რკინიგზის ტრანსპორტი სავსებით მოიშალა. საქართველოს სოფელი გაპარტახებას და გაღატაკებას განიცდიდა“.[3] სახალხო მეურნეობისა და კერძოდ მრეწველობის გაჩანაგება, მემამულეებისა და სპეკულანტ-კაპიტალისტთა თავისუფალი პარპაში, მუშათა კლასისა და საერთოდ მშრომელი მასების უკიდურესი სიღატაკე—აი რა მოუტანეს ქართველი ხალხის მოღალატე მენშევიკებმა ჩვენს ქვეყანას.

ასეთი იყო საქართველოს ეკონომიური ვითარება, როდესაც აქ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ დროიდან ახალი, ბრწყინვალე ხანა დაიწყო ქართველი ხალხის ისტორიაში. მიწა-წყალი, წიაღისეული, მთელი უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები გადავიდა სოციალისტური სახელმწიფოს ხელში. მოხდა მსხვილი და საშუალო მრეწველობის, ტრანსპორტის, კრედიტის ნაციონა-

---

[1] ი. სტალინი, „მდგომარეობა კავკასიაში“, 1936, თბილისი, გვ. 9—10.

[2] ციტირებულია ლ. პ. ბერიას წიგნიდან, „ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება“, 1936, თბილისი, გვ. 25.

[3] ლ. პ. ბერია, „ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება“, 1936, თბილისი, გვ. 24.

ლიზაცია, რაც დარღვეული სახალხო მეურნეობის აღორძინება-განვითარების ერთადერთ გზას წარმოადგენდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე **ლენინი** უდიდეს ყურადღებას აქცევდა მისი ეკონომიური დაწინაურების საქმეს. საქართველოს კომუნისტებისაგან ის მოითხოვდა ადგილობრივი პირობების შესაბამისს და ღრმად მოფიქრებულ ღონისძიებათა გატარებას სამეურნეო ცხოვრებაში, ფართო მასშტაბის ელექტროფიკაციის, ირიგაციისა და სხვ. მშენებლობათა განხორციელებას.[1]

საკ. კ. პ. (ბ) XII ყრილობაზე (1923 წ. აპრილი) ყოფილ ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში მრეწველობის განვითარების აუცილებლობის შესახებ **ი. სტალინი** ამბობდა: „... ჩვენი მხრით ჭეშმარიტი, სისტემატური, გულწრფელი, ნამდვილი, პროლეტარული დახმარებაა საჭირო კულტურულად და მეურნეობრივად ჩამორჩენილ ეროვნებათა მშრომელი მასებისათვის... აუცილებლად საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ამ რესპუბლიკებში მოეწყოს მრეწველობის კერები. ამ მხრივ ზოგიერთი ცდა უკვე გაკეთდა. საქართველომ ერთი ფაბრიკა წაიღო მოსკოვიდან, და იგი, ალბად, ახლო მომავალში ამუშავდება...“ [2] საქართველოს სახალხო მეურნეობის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა აღმოფხვრა და დიდი რუსი ხალხის დახმარებით მისი ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაქცევა თვით ოქტომბრის რევოლუციის ბუნებიდან გამომდინარეობდა.

ამხანაგი **სტალინი** ჯერ კიდევ 1921 წ. ნოემბერს გაზეთ „პრავდაში“ აღნიშნავდა, რომ ყოფილი განაპირა ქვეყნებს მრეწველობისა და სამხედრო თვალსაზრისით ჩამორჩენილობის გამო „არ ძალუძთ ცენტრალური რუსეთიდან სამხედრო-მეურნეობრივი დახმარების გარეშე დაიცვან თავიანთი დამოუკიდებელი არსებობა, ისე როგორც ცენტრალურ რუსეთსაც არ ძალუძს შეინარჩუნოს თავისი სამხედრო-მეურნეობრივი სიმძლავრე განაპირა ქვეყნების მხრივ საბობ-ნედლეულისა და სასურსათო დახმარების გარეშე“.[3] ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის არსი, როგორც ამხანაგი **სტალინი** გვასწავლის, „იმაში მდგომარეობს, რომ მოვსპოთ ეროვნებათა ის (მეურნეობრივი, პოლიტიკური, კულტურული) ჩამორჩენილობა, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობად გადმოგვეცა წარსულისაგან, რომ საშუალება მივცეთ ჩამორჩენილ ხალხებს დაეწიონ ცენტრალურ რუსეთს სახელმწიფოებრივადაც, კულტურულადაც და მეურნეობრივადაც“.[4] ცნობილია, რომ ამ დიდი ისტორიული ამოცანის გასაღებს **სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია** წარმოადგენს.

1921 წლის დასაწყისიდან შემოღებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიზანი იყო საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენება. საქართველოს ბოლშევიკები ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე შეუდგნენ სახალხო მეურნეობის და, კერძოდ, მრეწველობის აღდგენას. ამიერკავკასიის ერთა შორის ეროვნული შუღლის საბოლოოდ აღმოფხვრისა და მტკიცე მეგობრობის დამყარების, თავდაცვის გაძლიერების მიზნით 1922 წ.

---

[1] იხ. პ. გუგუშვილი, „ლენინი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური განვითარების შესახებ“ („ბოლშევიკი“, 1944, № 10—11).

[2] ი. სტალინი, „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, 158.

[3] ი. სტალინი, „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, 84.

[4] იქვე, გვ. 104.

შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია, რაც წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს ამ ქვეყნების სწრაფი ეკონომიური აღორძინებისათვის.

სახალხო მეურნეობის აღორძინება, რასაკვირველია, არ გულისხმობდა 1914 წლის დონის უბრალო მიღწევას, იგი მოასწავებდა სოციალისტური მეურნეობის განვითარებას, რაც კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში უნდა განხორციელებულიყო. აღდგენითი პერიოდის მანძილზე ამუშავდა არა მხოლოდ წინათ არსებული, მაგრამ ჩამქრალი ანდა ნახევრად ჩამქრალი მრეწველობა, არამედ მიმდინარეობდა აგრეთვე ახალ საწარმოთა მშენებლობა და ამუშავება. ყოველივე ამის მეოხებით პირველი სტალინური ხუთწლედის დასაწყისისათვის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა პირველ მსოფლიო ომამდე არსებულ დონეს და 1927-28 წელს შეადგენდა 76 მილიონ მანეთს (1926-27 წლის უცვლელ ფასებში) და 69 პროცენტით აღემატებოდა 1913 წლის დონეს.[1]

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელებით საქართველოში დიდი გაქანებით გაჩაღდა ახალი სამრეწველო მშენებლობა, რაშიც დიდი ენტუზიაზმით ჩაება მთელი მოსახლეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელ ორგანოებში გამძვრალი მტრული ელემენტები ამახინჯებდნენ პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკას, ამტკიცებდნენ ამიერკავკასიაში ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შეუძლებლობას და სხვა,—ქართველმა ხალხმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მაინც შესძლო მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის მიეღწია. დიდი სტალინის უშუალო მითითებათა საფუძველზე დასახულ იქნა ხსენებულ დამახინჯებათა აღმოფხვრისა და მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ბოლშევიკური პროგრამა. სკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილება წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს მოვლენას როგორც მთელი ამიერკავკასიის, ისე საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიურ განვითარებაში.

მთელ სახალხო მეურნეობაში, კერძოდ მრეწველობაში იმთავითვე განუხრელად ძლიერდებოდა სოციალისტური სექტორი. მიუხედავად ამისა **პირველ ხუთწლედამდე** კაპიტალისტური ელემენტები, კერძო მრეწველობის სახით, მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. 1930 წლისათვის კერძო მრეწველობას მნიშვნელობა თითქმის საერთოდ დაეკარგა და მთელი სამრეწველო წარმოება არსებითად სოციალისტურმა მრეწველობამ მოიცვა. მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის უკვე 99,3 პროცენტი სახელმწიფო (91%) და კოოპერაციულ (8,3%) ორგანიზაციათა საწარმოებზე მოდიოდა.

აღსანიშნავია მრეწველობის პროდუქციის ზრდის მაღალი ტემპი. 1923-24 წლიდან 1931 წლამდე საქართველოს ცენზიანი მრეწველობის პროდუქციამ (1926-27 წ. წ. უცვლელ ფასებში) 23 მილიონ მანეთიდან 192 მილიონ მანეთს მიაღწია: ამგვარად იგი 8 წლის განმავლობაში რვაჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. მრეწველობის მთლიანი პროდუქციიდან 1927-28 წლებში მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა 27 მან., ხოლო 1930 წელს—55.9 მან., ე. ი. ორჯერ და უფრო მეტი. ამასთანავე, ამხანაგი **ლ. პ. ბერია** საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე **დამახასიათებლად** სთვლიდა ცნობებს, რომლებიც გამოხატავდნენ საქართველოს **მძიმე და მსუბუქი მრეწველობის** ზრდის შე-

[1] „Грузинская ССР за 20 лет". (статистич. сб.), 1941, Тб. стр. 31.

ფარდებას. ეს შეფარდება კი გვიჩვენებს, რომ მრეწველობის მთლიან პროდუქციაში მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონა 1923-24 წელს უდრიდა 26,2 პროც., ხოლო 1929-30 წელს უკვე—52.2 პროცენტს.[1]

ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო დარაზმულმა ქართველმა ხალხმა შესძლო პირველი ხუთწლედის გეგმა 4 წელსა და 3 თვეში შეესრულებინა. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ძლევამოსილი განვითარების პროცესში სახალხო მეურნეობაში განადგურებულ იქნენ კაპიტალისტური ელემენტები; მოისპო უმუშევრობა; დაიწყო მრეწველობის ყველა დარგის გაშლილი ტექნიკური რეკონსტრუქცია, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესება.

მეორე ხუთწლედის მანძილზე ძირითადად დამთავრდა მრეწველობის ყველა დარგის ტექნიკური რეკონსტრუქცია. უჩვეულოდ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რაშიაც უდიდესი როლი ითამაშა გაშლილმა სტახანოვურმა მოძრაობამ, რაც „მოედო მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშათა პოზიციებს".[2] ორჯერ და უფრო მეტად ამაღლდა მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონე. აშენდა და ამუშავდა დიდძალი ახალი მსხვილი საწარმო. შეიქმნა საკუთრივ ახალი დარგები მრეწველობისა: მანქანათმშენებლობა, ფეროშენადნობის, ცემენტის, ნავთობის, საფეიქრო, კვების, იშვიათ ლითონთა, ბარიტის, გუმბრინის და სხვანი, ხელახლა რეკონსტრუირებულ იქნა მარგანეცისა და ქვანახშირის მრეწველობა.[3]

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია აუცილებელი საფუძველი იყო მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმოშობა-განვითარებისათვის, კოლექტივიზაციის წარმატებებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა (ტექნიკური კულტურები) წარმოადგენს უმთავრეს და ძირითად დარგს და დიდი გაქანებითაც ვითარდება, მრეწველობა მაინც უპირატეს როლს იკავებს. თუ სახალხო მეურნეობაში საერთოდ მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1931 წ. 46 პროცენტს შეადგენდა, უკვე 1933 წელს მრეწველობის ხვედრითი წონა 59.3 პროც. აღწევდა.

ამასთანავე 1934 წელს საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე ამხანაგი **ლ. პ. ბერია** უკვე აღნიშნავდა, რომ საქართველოში „მრეწველობის უპირატესი როლი შემდეგში კიდევ უფრო გაძლიერდება. რამდენადაც ჩვენ გვაქვს სხვადასხვა სამთო სიმდიდრენი (მარგანეცი, ნავთი, ნახშირი, რკინა, ფერადი ლითონები, დარიშხანი, ბარიტი და სხვ.). ჩვენი სამთო სიმდიდრეების შესწავლა ჩვენს წინაშე შლის სრულიად ახალ ობიექტებს (იშვიათი ლითონები—მოლიბდენი, ოქრო და სხვ.). რომელთაც უდიდესი საკავშირო მნიშვნელობა აქვთ".[4]

საერთოდ, მეორე ხუთწლედში მსხვილი მრეწველობის წლიური მთლიანი პროდუქცია (1926-27 წ. წ. უცვლელ ფასებში) 827 მილიონიდან გაიზარდა

---

[1] **ლ. ბერია**, „საქ. კომპარტიის (ბ) მორიგი ამოცანები", 1932. თბილისი, გვ. 25.

[2] **ლ. ბერია**, „საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის 1935 წ. დეკემბრის პლენუმის შესახებ", 1936, თბილისი, გვ. 17.

[3] **ლ. ბერია**, „ჩვადავაქციოთ ამიერკავკასიის ფედერაცია საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკად", 1934, თბილისი, გვ. 8—9; **ლ. ბერია**, „ამიერკავკასიის ბოლშევიკები საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის ბრძოლაში", გვ. 6-7; **ლ. ბერია** „ქართველი ხალხი ლენინ-სტალინის დროშით ეგებება უმაღლესი საბჭოს არჩევნებს", 1938, თბილისი, გვ. 9-10.

[4] **ლ. ბერია**, „საქ. კომპარტიის (ბ) ც. კ-ის ანგარიში", 1934, თბილისი, გვ. 11.

908,6 მილიონ მანეთამდე, ე. ი. 112,5 პროცენტით. 1937 წ. ამ პროდუქციის ღირებულება 20,2-ჯერ აღემატებოდა 1913 წლისას (45 მილიონ მან.) [1] საქართველო გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად, სადაც მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 1937 წელს უკვე 75,2 პროცენტამდე ავიდა. ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის საფუძველზე ძირითადად დამთავრდა სოციალისტური საზოგადოების აშენება. „ამიერკავკასიის ფედერაციამ დიდი როლი ითამაშა... სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის“ [2] და, ამგვარად, შეასრულა თავისი ისტორიული როლი, რის შემდეგაც იგი ლიკვიდირებულ იქნა. საქართველო იქცა ერთ-ერთ მოკავშირე რესპუბლიკად.

საქართველოს ბოლშევიკებმა **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით გამოავლინეს და გაანადგურეს საბჭოთა ხალხის მტრები — ტროცკისტები, ბუხარინელები და კაპიტალისტური გარემოცვის ყველა სხვა ჯურის დაქირავებული აგენტები. [3] ქართველი ხალხი დაირაზმა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო მესამე ხუთწლიანი გეგმის კიდევ უფრო წარმატებით შესრულებისათვის. **მესამე ხუთწლედის** მხოლოდ პირველი სამი წლის განმავლობაში მრეწველობის ხაზით დაბანდებულ იქნა 794,4 მილიონი მანეთი, ე. ი. მთელ პირველ ხუთწლედში დაბანდებულ თანხაზე 146 პროცენტით მეტი. მესამე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 908,7 მილიონ მანეთიდან (უცვლელ ფასებში) გაიზარდა 1209,1 მილიონ მანეთამდე, ე. ი. 33%-ით. გაფართოვდა და გაღრმავდა სტახანოვური მოძრაობა; წარმოიშვა მისი ახალი ფორმები — პროფესიათა შენაცვლება და მრავალდაზგოსანთა მოძრაობა.

1941 წლის დასაწყისს საქართველოს მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი 7,5-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის სათანადო რიცხვს. მხოლოდ 1927-28—1939 წლებში მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი თითქმის ხუთჯერ გაიზარდა.

საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავი მუშაობის შედეგად 1941 წლის დასაწყისისათვის მზხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია თითქმის ოცდაშვიდჯერ აღემატებოდა 1913 წლისას. მაგრამ ყველაზე მთავარი ამ დიად გამარჯვებაში ისაა, რომ შექმნილ იქნა სრულებით ახალი ტიპის მრეწველობა — **სოციალისტური ინდუსტრია.**

1921-1940 წლების განმავლობაში მთელ სახალხო მეურნეობაში სულ დაბანდებული იყო 6.014.934,0 ათასი მანეთი, აქედან მრეწველობაში—35,7 პროცენტი ანუ ერთ მესამედზე მეტი. 1938-40 წ. წ. მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა საშუალო წლიური ოდენობა 37-ჯერ და უფრო მეტად აღემატებოდა 1921-27 წლების ამავე მაჩვენებელს. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა წყობილება სულ მზარდი ტემპით ეწეოდა ახალ მშენებლობას და, ამრიგად, ახორციელებდა მრეწველობის წარმოებითი აპარატის განახლებისა და მისი მოცულობის გადიდების გეზს.

---

[1] „Грузинская ССР за 20 лет“, стр. 31.

[2] ლ. ბერია, „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და ამიერკავკასიის ფედერაცია“, 1936, თბილისი, გვ. 21.

[3] ლ. ბერია, „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები“, 1936, თბილისი („პრავდა“, 1936 წ. 19 აგვისტო).

მრეწველობაში კაპიტალის დაბანდების ზრდის ტემპი საქართველოში უფრო სწრაფი იყო, ვიდრე სსრ კავშირში. ასე, მაგალითად, სსრ კავშირში მეორე ხუთწლედის მანძილზე მრეწველობაში კაპიტალდაბანდებები პირველ ხუთწლედთან შედარებით შეადგენდა 265,2 პროცენტს, საქართველოს მრეწველობაში კი — 303,4 პროცენტს. საქართველოში ახალი სამრეწველო მშენებლობის უფრო სწრაფი ტემპი, სსრ კავშირის საერთო საშუალო ტემპებთან შედარებით, ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩვენებელია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებისა, რომელიც მიმართული იყო წინათ ჩამორჩენილი მხარეებისა და რესპუბლიკების უფრო სწრაფი ტემპით ინდუსტრიალიზაციისაკენ, მათი ჩამორჩენილობის დაჩქარებით აღმოფხვრისაკენ.

ამის ნათელი ილუსტრაციაა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს მრეწველობის პროდუქციის ზრდას საბჭოთა რესპუბლიკების მიხედვით.[1]

	რამდენჯერ გადიდდა			
	პროდუქცია მთელი მრეწველობისა 1937 წელს 1913 წელთან შედარებით	ელექტროენერგიის გამომუშავება 1936 წ. 1928 წელთან შედარებით	ლითონდამუშავების პროდუქცია 1937 წ. 1913 წელთან შედარებით	ქვანახშირის მოპოვება 1937 წელს 1913 წელთან შედარებით
საბჭოთა კავშირში . .	7,3	6,5	19,0	4,40
რუსეთის სფსრ . . .	7,8	6,6	24,3	8,80
უკრაინის სსრ	6,9	6,9	19,8	3,04
საქართველოს სსრ . .	18,6	10,4	23,7	5,70

როგორც ვხედავთ, შედარებით მთელ საბჭოთა კავშირთან და კერძოდ რუსეთის სფსრ-სთან და უკრაინასთან, რომელთაც რევოლუციამდე მრეწველობის დონის მხრივ საქართველო დიდად ჩამორჩებოდა, საბჭოთა წყობილების პერიოდში თითქმის ორნახევარჯერ და უფრო სწრაფად მიმდინარეობს საქართველოს სსრ საერთო სამრეწველო დაწინაურება, ამასთანავე საბჭოთა საქართველოში ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე საერთოდ სსრ კავშირში, ეითარდება კერძოდ მძიმე მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა ქვანახშირის მოპოვება და ლითონდამუშავებისა და ელექტრონის მრეწველობა.

უკვე 1939 წელს საქართველოს მრეწველობის პროდუქციაში ახალ საწარმოთა პროდუქციის ხვედრითი წონა 80,6 პროცენტს შეადგენდა, ხოლო მრეწველობის პროდუქციის მთელი ასი პროცენტი გამოშვებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ აშენებულ და მთლიანად რეკონსტრუირებულ ფაბრიკა-ქარხნებში.[2] რასაკვირველია, მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიცაა შავი მეტალურგია, ნავთობის, ცემენტის, საფეიქრო, შაქრის და სხვა — პროდუქციის მთელ მასას მხოლოდ ახალი საწარმოები იძლევიან.

[1] Е. Л. Грановский, „Материально-производственная база социализма", 1945 г., Москва, стр. 21.

[2] „Грузинская ССР за 20 лет", стр. 32.

ცხადია, მრეწველობის ესოდენ დიდი განვითარების შესაბამისად გადიდდა მასში ჩაბმულ მუშათა რაოდენობაც. 1913 წელს მსხვილ მრეწველობაში სულ ჩაბმული იყო 11 ათასი მუშა, 1940 წელს კი — 82.700-მდე. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საფუძვლით ახალი დარგების შექმნას არა თუ ჩამორჩებოდა ახალი **ნაციონალური კადრების** შექმნა, არამედ, ხშირად, ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკას უკვე აღრეული ჰყავდა. ანდა, შესძლო დროულად გამოენახა იმ ადამიანთა საკმარო რაოდენობა (მრეწველობის კვალიფიციური მუშები, ტექნიკური ინტელიგენცია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სპეციალისტები, ეკონომისტები და სხვ.), რომელთაც შესძლეს არა მხოლოდ აეთვისებინათ ჩვენი ქვეყნისათვის ახალი წარმოების დარგების რთული ტექნოლოგია, აღრიცხვა, დაგეგმვა და ა. შ., არამედ ამ მხრივ ზოგან საფუძვლით ახალი მეთოდებისა და ხერხების გამომუშავებასაც მიაღწიეს, რითაც გაამდიდრეს მეცნიერება ცოდნის შესაბამის დარგებში.

დიდად გაიზარდა და გაუმჯობესდა მრეწველობის მუშათა ტექნიკური შეიარაღება. მხოლოდ 1932-1939 წლებში შრომის ელექტროშეიარაღება 890 კილოვატსაათიდან გაიზარდა 5.331 კილოვატსაათამდე, ე. ი. 7 წლის განმავლობაში ექვსჯერ.[2] აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ საერთოდ სსრ კავშირში შრომის ელექტროშეიარაღება 1928-1937 წლებში, ე. ი. ათი წლის განმავლობაში გაიზარდა 3.3-ჯერ.[3]

მრეწველობის ყველა დარგში განხორციელდა შრომისა და წარმოების პროცესების ფართო მექანიზაცია. შრომის სოციალისტური ფორმების განვითარების, მრეწველობის უახლესი ტექნიკით შეიარაღებისა და ამ ტექნიკის მზარდი ათვისების საფუძველზე უჩვეულო ტემპით გადიდდა **შრომის ნაყოფიერება.** საქართველოს მსხვილ მრეწველობაში 1939 წელს შრომის ნაყოფიერება 5-ჯერ აღემატებოდა 1913 წლისას და დაახლოებით 10-ჯერ და მეტად —1920 წლის დონეს. მხოლოდ 1927-28—1939 წ. წ. მანძილზე მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება 3,6-ჯერ გადიდდა.[4]

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საქართველოს ინდუსტრიალიზაციის განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაფიო მაჩვენებელია **მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდა და ამ ზრდის ტემპები.** 1913 წელს საქართველოს მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია (1926-27 წ. წ. უცვლელ ფასებში) შეადგენდა 45 მილიონ მანეთს. 1920 წლისათვის იგი სულ დიდი 25 მილიონ მანეთამდე თუ აღიოდა. 1940 წელს მსხვილი მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ მიაღწია 1.203,5 მილიონ მანეთამდე,[4] ე. ი. 29-ჯერ და უფრო მეტად გაეზარდა 1913 წლის დონეს და დაახლოებით 50-ჯერ მაინც 1920 წლის დონეს. მსხვილი მრეწველობის პროდუქციის ასეთი გიგანტური ტემპებით გადიდება მხოლოდ მეურნეობის სოციალისტური სისტემის დროს შეიძლებოდა. აქვე უნდა აღინიშნოთ, რომ 1940 წელს სსრ კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქცია 10,9-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის დონეს. **მაშასადამე, საქართველოში მსხვილი მრეწ-**

---

[1] „Грузинская ССР за 20 лет", стр. 34.
[2] „Экономика Социалистической промышленности", 1940, Москва, стр. 308.
[3] „Грузинская ССР за 20 лет." стр. 33.
[4] იქვე, 31.

ველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი ორჯერ და კიდევ უფრო მეტად სწრაფი იყო, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში.

საქართველოში განხორციელდა მრეწველობის სოციალისტური განლაგება. 1921 წლამდე საქართველოში მრეწველობა უმთავრესად თბილისსა, ჭიათურასა, ბათუმსა და ტყიბულში იყო თავმოყრილი. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ რაიონებში მრეწველობის აღმავლობის პარალელურად შეჰქმნა ინდუსტრიული ჭუთაისი, გაავითარა მრეწველობა ბათუმსა, სოხუმსა და ატალიანში. ჩაის ათობით ფაბრიკით მოიფინა დასავლეთ საქართველოს რაიონები. დიდი სამრეწველო საწარმოები შეიქმნა გორში, კასპში, ახალციხეში, წითელწყაროში, ზესტაფონში და სხვა რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინურ-სტალინური პოლიტიკის განუხრელად გატარების შედეგად საქართველო საბჭოთა ხელისუფლებამ დროის უმოკლეს მანძილზე გადააქცია მოწინავე **ინდუსტრიულ-აგრარულ** რესპუბლიკად. 1924-25 წლებში[1] მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის პროდუქციაში არ აღემატებოდა 13,2%, ხოლო 1937 წელს იგივე მაჩვენებელი 75,2% შეადგენდა, და ეს მაშინ, როდესაც ადგილი ჰქონდა საერთოდ სოფლის მეურნეობისა და განსაკუთრებით ძირფესვიანი ტექნიკური და სტახანოვიკული კულტურების სწრაფ აღმავლობას. სახალხო მეურნეობის მთელ ფონზე ყველაზე უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა მრეწველობა და სამუდამოდ დამკვიდრდა **ინდუსტრიის წამყვანი ადგილი** მთელ საზოგადოებრივ წარმოებაში. ამით განპირობებული იქნა საზოგადოებრივი შრომის ხასიათი ტექნიკით შეიარაღება. შრომის ნაყოფიერების გაუცხარა ტემპით ზრდა და როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოში შეიქმნა მეტად ხელსაყრელი აღმავლობის პროცესში მყოფი. დიდი მანევრირების ღრმანიანი ინდუსტრიული სახალხო სამეურნეო ორგანიზმი. საბჭოთა კავშირის მრეწველობამ, მათ შორის საქართველოს ინდუსტრიამ, სახელოვნად შეასრულა თავისი ისტორიული მისია საბჭოთა ხალხის მიერ დიდ სამამულო ომში ვერაგ და ძლიერ მტერზე მრწყინვალე ეკონომიური და სამხედრო გამარჯვების მოპოვების საქმეში.

სამამულო ომის პირობებში საქართველოში დაიწყო მძიმე მრეწველობის არსებულ საწარმოთა დიდი გაფართოება და აგრეთვე საფუძველი ჩაეყარა მთელ რიგ ახალ, უდიდეს მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოებს, რომლებიც სულ მალე ეროვნული ეკონომიკის რიგს შეასრულებენ როგორც საერთოდ სახალხო მეურნეობის სწრაფ წინსვლაში, ისე კერძოდ მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონის შემდგომს ზრდაში.

საერთოდ, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის მანძილზე, როგორც ამხანაგი **კ. ნ. ჩარკვიანი** აღნიშნავს, „ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობამ, ხისმა მრეწველობამ და მიწათმოქმედებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს.

საკმაოა ითქვას, რომ საქართველოს მარტო მსხვილი მრეწველობის წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება 1928 წლიდან 1944 წლამდე განვლილ პერიოდში 33-ჯერ, ე. ი. 3.300 პროცენტით გადიდდა".[2]

საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ზემოაღნიშნულ

---

[1] ლ. ბერია. „საკ კომპარტიის (ბ) მორიგი ამოცანები", 1932, თბილისი, გვ 24.

[2] „კომუნისტი", 1946 წ. № 21.

წარმატებათა ნათელ ილუსტრაციას წარმოგვიდგენს, კერძოდ, მძიმე მრეწველობის ცალკე დარგების განუხრელი განვითარების მიმოხილვა.

* * *

ელექტრომრეწველობა. 1921 წლამდე საქართველოს უხვი ჰიდროენერგეტიკული რესურსები თითქმის სრულიად გამოუყენებელი იყო. 1913 წელს ყველა ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრე 8,0 ათას კვტ. შეადგენდა. თითქმის ყველა ძალური დანადგარი გაცვეთილი იყო. ეს გარემოება მეტის-მეტად სცემდა ელექტროენერგიის გამომუშავებას. 1913 წელს სულ გამომუშავებულ იქნა 20 მილიონი კილოვატსაათი. რასაკვირველია, ასეთი მცირე ელექტროენერგიით არავითარი საწარმოო მოთხოვნილების ნორმალური დაკმაყოფილება არ შეიძლებოდა, მეტიც: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი და სხვა ქალაქები თითქმის სრულიად ჩაბნელებული იყო. 1913 წელს ელექტროენერგიის საშუალო წლიური წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე 7,9 კვტ. საათს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ „ელექტრონით განათება ფუფუნებია საგანს წარმოადგენდა და მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზიისათვის იყო ხელმისაწვდომი“ (ლ. ბერია).

პირველი მსოფლიო ომისა და ხალხის უბოროტესი მტრების — მენშევიკების ბატონობის პერიოდში არც ერთი ელექტროსადგური არ აგებულა და არსებული ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე რამდენადმე კიდეც შემცირდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით საფუძველი ჩაეყარა მძლავრი ელექტროენერგეტიკული მეურნეობის შექმნას და სწრაფი ტემპით განვითარებას. **ლენინისა** და **სტალინის** პირადი მითითებითა და ინიციატივით დაიწყო საქართველოს დიდი ჰიდრავლური რესურსების საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევა. წერილში კავკასიის კომუნისტებისადმი 1921 წლის 14 აპრილს ლენინი მიუთითებდა მათ, აუცილებელია ყოველნაირად „განავითაროთ მხარის მდიდარი საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი და შეუდგეთ დიდ სამუშაოებს ელექტროფიკაციის დარგში“.[1] ლენინის ეს გენიალური მითითებანი გადაიქცა საქართველოს ბოლშევიკების საბრძოლო პროგრამად.

ამხანაგ ლ. ბერიას ინიციატივით ჩატარებულმა ჰიდროლოგიურმა შესწავლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ამიერკავკასიის მდინარეთა საშუალო წლიური საერთო პოტენციალური სიმძლავრე უდრის 20 მილიონზე მეტ ცხენის ძალას, რომლის 70% თავმოყრილია საქართველოში, აქედან 50% მხოლოდ დასავლეთ საქართველოში. კიდევ მეტი: მხოლოდ მტკვრისა და რიონის კოორდინირება გვაძლევს მთელი საქართველოს ჰიდრავლური რესურსების 55%-ს. ჰიდრავლური რესურსების ასეთი შემჭიდროვებულობა იშვიათი მოვლენაა. ჰიდროენერგეტიკული რესურსების ტერიტორიულ ერთეულზე კონცენტრაციის თვალსაზრისით საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. საშუალო წლიური ხვედრითი სიმძლავრე ჰიდრავლური რესურსებისა 1 კვ. კილომეტრზე საქართველოში უდრის 200 ცხენის ძალას, მაშინ როდესაც მთელ საბჭოთა კავშირში საშუალოდ იგი მხოლოდ 12.4 ცხენის ძალას აღწევს.

ჰიდროლოგიურმა პირობებმა შექმნეს აუცილებელი წანამძღვრები

[1] Ленин, Сочинения, XXVI, 192.

მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ფართოდ გაშლისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე (1922 წ.) წელსვე დაიწყო მდ. მტკვარზე ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესი) მშენებლობა, რომლის პირველი რიგი (13 ათასი კვტ.) ექსპლოატაციაში გადაეცა 1927 წელს. 1923 წელს მდ. აბაშაზე დაიწყო მეორე ჰიდროელექტროსადგურის (აბჰესი) მშენებლობა — 1,1 ათასი კვტ. სიმძლავრით, და იგი ექსპლოატაციაში შევიდა 1928 წელს. ამავე 1923 წელს დაიწყო მდ. აჭარის წყალზე დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (აწჰესის) მშენებლობა. რთული და განსაკუთრებით არახელსაყრელი გეოლოგიური პირობების გამო, იგი საექსპლოატაციოდ გადაეცა მხოლოდ 1937 წელს. 1928 წელს მდ. რიონზე დაიწყო მშენებლობა სტალინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურისა (რიონჰესი), რომელიც 48 ათას კვტ. სიმძლავრით ექსპლოატაციაში შევიდა 1933 წელს. სტალინური ხუთწლედების პერიოდში კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა ელექტროსადგურების მშენებლობა, რაშაც ძალზე დააჩქარა ელექტროენერგეტიკული მეურნეობის შემდგომი ძლავრი აღმავლობა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებაში აღნიშნა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გამრავლებისა და გაძლიერების აუცილებლობა და მიუთითა მშენებლობის ტემპების დაჩქარების საჭიროებაზე. საქართველოს ელექტროენერგეტიკული მეურნეობის განვითარების კონკრეტული გზები მეცნიერული ზედმიწევნილობით განისაზღვრა ამ დადგენილებით, რომელიც გახდა ბრძოლისა და გამარჯვების გაშლილი პროგრამა და რომლის წარმატებით განხორციელების საფუძველზე საქართველოს მშრომელებმა უზრუნველჰყვეს მეურნეობის ამ დარგის შემდგომი აღმავლობა. საკმარისია ითქვას, რომ ექსპლოატაციისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობის თვალსაზრისით, თბილისის თბოელექტროცენტრალი შეუდარებლად მაღალ დონეზე დგას. მარტოოდენ რიონჰესის სიმძლავრე 6-ჯერ აღემატება 1921 წლამდე საქართველოში არსებული ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრეს, ხოლო 1941 წელს მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია (288,8 მილიონ კვტ. საათი) 14-ჯერ და უფრო მეტად აღემატება ყველა ელსადგურის გამომუშავებას 1913 წელს.

ამასთანავე, ელექტროსადგურების სიმძლავრეთა რაციონალური ექსპლოატაციის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენი ელექტროსადგურების საშუალო წლიური მუშაობის ხანგრძლივობა 6.500-7.000 საათამდე აღწევს, მაშინ როდესაც ამერიკის შ. შ. იგი არ აღემატება 3.000-3.500 საათს, ხოლო ინგლისში 1.800-2.000 საათს. ელექტროსადგურების სიმძლავრის ზრდისა და მათი მაქსიმალურად გეგმაზომიერი გამოყენების პარალელურად, განუხრელად იზრდება აგრეთვე ელექტროენერგიის გამომუშავება. 1913 წელთან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა: 1927-28 წელს დაახლოებით 2-ჯერ, 1932 წელს—6-ჯერ და უფრო მეტად, 1937 წელს

—25-ჯერ და უფრო მეტად, 1940 წელს—37-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო 1941 წელს—დაახლოებით 41-ჯერ.[1]

კიდევ უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა რაიონული ელექტროსადგურების გამომუშავების ხვედრითი წონა ელექტროენერგიის გამომუშავების საერთო მასაში. 1939 წელს ყველა ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებულ ენერგიის საერთო რაოდენობაში ახალი, საბჭოთა პერიოდში აგებული ელსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგიის ხვედრითი წონა შეადგენდა 98,2%-ს. „საქართველოს მთის სწრაფ მდინარეთა მეიდარი ჰიდრო-ენერგეტიკული რესურსები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნა ასე ფართოდ გამოყენებული".[2]

ელექტროენერგიის საერთო გამომუშავების ზრდასთან ერთად იზრდებოდა აგრეთვე ელექტროენერგიის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე, რაც 1913 წელს შეადგენდა 7,9 კვტ. საათს, ხოლო 1940 წელს—205 კვტ. საათს და, მაშასადამე, 1913 წლისას აღემატებოდა 26-ჯერ. ყოფაცხოვრებითს სფეროში ელექტროენერგიის გამოყენების გაერცელებამ საგრძნობლად გაზარდა ამ ენერგიის მოხმარება ქალაქის მოსახლეობის ყოველ სულზე და 1934 წელს მან მიაღწია 65 კილოვატ საათს, ნაცვლად 56 კვტ. საათისა 1931 წელს. ამჟამად კი მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერგიის მოხმარება შეუდარებლად მაღალ დონეზე დგას.

სოციალისტური წარმოების წესის მეოხებით შესაძლებელი შეიქნა ელექტროსადგურების სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენება რამდენიმე სადგურის დარკალებისა და ერთ ჯაგში (ჯგუფში) გაერთიანების გზით. მხოლოდ „საქენერგოს" სისტემაში, 1945 წლის დასასრულისათვის, გაერთიანებული იყო 7 ელექტროსადგური, რომლებიც მუშაობდნენ მაღალვოლტიან ელექტროგადამცემ საერთო ქსელზე. გარდა ამისა, მცირეწყლიანობის პერიოდში სისტემის საერთო ქსელზე მუშაობენ აგრეთვე მთელი რიგი სამრეწველო და კომუნალური ელექტროსადგურები.

საქართველოს ტერიტორია დასერილია ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზების ფართო ქსელით. ყველაზე მთავარია: რიონჰეს-ზაჰეს და რიონჰეს-ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურთა გადამცემი ხაზები.

ამჟამად მშენებლობის პროცესშია მძლავრი ელექტროსადგურები: **ჰიდროელექტროსადგურები:** 1. ხრამჰესი (90 ათასი კვტ.)—პირველი სადგური მდ. ხრამის ჩანჩქერზე. ხრამჰესს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ელექტროენერგეტიკული მეურნეობის სისტემაში, როგორც მარეგულირებელს, რომელმაც ენერგიის წარმოების სეზონური რხევის ლიკვიდაციით უნდა გაასწოროს ელექტროსადგურების ექსპლოატაციის გრაფიკი; 2. მდ. გუმისტაზე სოხუმჰესი; 3. მდ. მტკვარზე დერიგაციული ხასიათისა. **თბოელექტროსადგურები:** 1. ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატის თბო-

---

[1] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის **ეკონომიკის ინსტიტუტის** მასალებიდან: „საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921—1946 წ.წ." კრებული. სადაც ნაჩვენები არაა ფაქტიურ მონაცემთა წყარო, ეგმყარებით ხსენებული მასალების იმ ნაწილს, რომელიც დამუშავებულია ამზანაგების: ი. ბაჯაძის, ნ. დგებუაძისა და ნ. ტყეშელაშვილის მიერ.

[2] **ლ. ბერია**, „ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება", 1936, გვ. 32.

ელექტროცენტრალი; 2. ფართოვდება ტყვარჩელის სრეს, სადაც იდგმება მეორე აგრეგატი, რომელიც მოწყობილობის მთელი კომპლექტით უზრუნველყოფილია.

ამ მშენებლობათა დამთავრება გათვალისწინებულია უახლოეს პერიოდში. მშენებლობის პროცესშია აგრეთვე მრავალი შედარებით წვრილი ელექტროსადგური. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, საქართველოს ენერგეტიკოსთა გმირული შრომის საფუძველზე, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეოთხედი საუკუნის მანძილზე შეიქმნა მძლავრი ელექტროენერგეტიკული მეურნეობა. „საქართველოს ბუნებრივი რელიეფი ბოლშევიკთა ხელში იაფი ელექტროენერგიის უმდიდრეს წყაროდ გადაიქცა“ (ლ. ბერია). ამ ფაქტმა არსებითად განსაზღვრა მრეწველობის მთელი რიგი ენერგოტევადი დარგების აღმოცენება და განვითარება, რამაც სერიოზული ცვლილებები შეიტანა საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურაში.

იაფი ელექტროენერგიის ბაზაზე, ისეთი კომპონენტის არსებობის პირობებში, როგორიც არის ჰიათურის მარგანეცი, აღმოცენდა ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა საკავშირო მნიშვნელობის ქარხანა. დიდძალი ელექტროენერგიის მომხმარებლებია ქ. თბილისი მთელი თავისი მძიმე, მატბუქი, ხე-ტყის დამმუშავებელი და გემოკვების მრეწველობის მრავალრიცხოვანი მსხვილი სამრეწველო საწარმოებით; ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროწევის დარგი (რკინიგზის ელექტროფიკაციამ გადაჭრით გაატმჯობესა რკინიგზის მუშაობა და შესაძლებელი გახადა რამდენიმე ათეული ათასი ტონა საწვავი მასალის ეკონომია წლიურად); ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის შახტები; ჰიათურის მარგანეცი; კასპის ცემენტის ქარხანა და სხვ. დასახელებული ობიექტები მოიხმარენ „საქენერგოს“ სისტემით გაცემული მთელი ელექტროენერგიის 80-85%-ს. საქართველოს თითქმის ყველა სამრეწველო საწარმო და რკინიგზის ელექტროფიცირებული უბანი გადაყვანილია ელექტროენერგიით ცენტრალიზებულ მომარაგებაზე.

მიუხედავად ელსადგურების სიმძლავრეთა და გამომუშავების განუხრელი ზრდისა, სახალხო მეურნეობაში პირველი ხუთწლედის დასასრულიდან მაინც იგრძნობა ამ ენერგიის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რაც აიხსნება, ერთი მხრივ, ძირითადი ჰიდროელექტროსადგურების სეზონურობით და, მეორე მხრივ, საქართველოს სოციალისტური სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით ენერგოტევადი მრეწველობის დარგთა განვითარების სწრაფი ტემპებით, როცა ელექტროსადგურების მშენებლობის ტემპი, ამ დარგის სპეციფიკურობის გამო, ერთგვარად ჩამორჩება მშენებლობის საერთო ტემპებს. მაგრამ მშენებლობისა და გაფართოების პროცესში მყოფი 5 მსხვილი ელექტროსადგურის ექსპლოატაციაში გადაცემით, ელექტროსადგურების სიმძლავრეთა სრული გამოყენებითა და ელექტროგადამცემ ქსელში ენერგიის დანაკარგის მინიმუმამდე დაყვანით 1947-1948 წლიდან ელექტროენერგიის ეს დეფიციტი მთლიანად იქნება ლიკვიდირებული. ამასთანავე, 2-3 წლის შემდეგ რომ კვლავ არ წარმოიშვას ელექტროენერგიის დეფიციტი, ამთავითვე ნავარაუდევია ახალი მძლავრი ჰიდროელსადგურების მშენებლობა.

საქართველოს მთელი ტერიტორია დასერილია მთის პატარა მდინარეთა ქსელით. „საქართველოს ბუნებრივი რელიეფი, მთის მრავალი პატარა

მდინარის არსებობა შესაძლებლობას იძლევა ფართოდ გავშალოთ გამარტივებული ტიპის პატარა სასოფლო ჰიდროსადგურების მშენებლობა". (ლ. ბერია).

საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია აღმოცენდა მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის პერიოდში. თავდაპირველად მიმდინარეობდა უმთავრესად საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაცია, ხოლო შემდეგ ამან მოიცვა კოლმეურნეობები, მტს-ები და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებიც. 1933-1945 წ. წ. სულ აგებულ იქნა ამ ტიპის 27 ჰიდროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 8.192 ცხენის ძალას შეადგენს.

ელექტროსადგურებისა და გადამცემი ხაზების მშენებლობაზე კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობა, ფაქტიური ღირებულებით, აღდგენითს პერიოდში შეადგენდა 29,8 მილიონ მანეთს, პირველ სტალინურ ხუთწლედში—69,8 მილიონ მანეთს (ე. ი. გაიზარდა 134, 2%-ით), ხოლო მეორე სტალინურ ხუთწლედში—229,9 მილიონ მანეთს (ე. ი. პირველ ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 229,3 პროცენტით). მესამე სტალინური ხუთწლედის მარტო პირველი სამი წლის განმავლობაში ამ დარგში დაბანდებულ იქნა 116,5 მილიონი მანეთი, 1921 წლიდან 1943 წლამდე კი სულ დაბანდებულ იქნა 503,1 მილიონი მანეთი, რამაც არსებითად განაპირობა მძლავრი ელექტროენერგეტიკული მეურნეობის შექმნა.

ქვანახშირის მრეწველობა. პირველი ცნობები საქართველოს (ტყიბულის) ქვანახშირზე 1830-იან წლებს ეკუთვნის. შედარებით დაწვრილებითი შესწავლა ტყიბულის ქვანახშირის საბადოებისა 1845 წელს მოხდა. ამავე წლიდან დაიწყო მისი მტაცებლური ექსპლოატაცია უპირატესად სამხედრო მიზნით. ქვანახშირის მოპოვება არასისტემატურად სწარმოებდა და ხშირად წყდებოდა კიდეც, ხოლო ერთგვარად გაფართოვდა 1886 წლიდან, მაღაროებამდე რკინიგზის გაყვანის შემდეგ. პირველი მსოფლიო ომისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში ქვანახშირის ამოღება მკვეთრად შემცირდა.

საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი საზრუნავი საგანი იმთავითვე გახდა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის აღდგენა და შემდგომი გაფართოება. საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებით განხორციელების ამოცანა გადაჭრით აყენებდა საკითხს ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის განვითარებისა და ქვანახშირის მრეწველობის იმ ახალი კერების შექმნის შესახებ, რომელთაც სერიოზული როლი უნდა ეთამაშნათ საქართველოს სათბობის ბალანსში და ხელი შეეწყოთ მრეწველობის დანარჩენი, განსაკუთრებით თბოტევადი დარგების შექმნა-განვითარებისათვის.

სტალინური ხუთწლედები გადაიქცა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის აყვავებისა და აღორძინების პერიოდად. დიდი კაპიტალური დაბანდებების შედეგად განხორციელდა ტყიბულის ქვანახშირის შახტების გაფართოება და ძირფესვიანი ტექნიკური რეკონსტრუქცია; შეიქმნა აგრეთვე ახალი სამრეწველო კერები ტყვარჩელსა და სხვ. საკმარისია ითქვას, რომ 1921 წლიდან 1945 წლამდე კაპიტალური დაბანდება ქვანახშირის მრეწველობის დარგში, ლიმიტგარეშე დაბანდებისა და კაპიტალური რემონტის ჩათვლით, ფაქტიური ღირებულებით შეადგენს 302,2 მილიონ მანეთს. მარტოოდენ 1938-1939 წ. წ. კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობამ მიაღწია 43,4 მილიონ მანეთს, რაც 33,1%-ით აღემატება მთელი პირველი ხუთწლედის დაბანდებას. პირველი და მეორე ხუთწლედის პერიოდში მხოლოდ

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების გაფართოება-რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა დაახლოებით 33 მილიონი მანეთი, ხოლო ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობაში დაბანდებულ იქნა დაახლოებით 75 მილიონი მანეთი.

ამ დიდ კაპიტალურ დაბანდებათა შედეგად ქვანახშირის მრეწველობის დარგში შეიქმნა მძლავრი საწარმოო ობიექტები — ტყიბულში მოეწყო და 1941 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ასეულ ათასი ტონობით წლიური სიმძლავრის სტალინის სახელობის შახტი, რომლის მშენებლობა დაახლოებით 20 მილიონი მანეთი დაჯდა; ასეულ ათასი ტონობით წლიური სიმძლავრის ლენინის სახელობის შახტი, რომლის მშენებლობა დაახლოებით 22 მილიონი მანეთი დაჯდა; ათეულ ათასობით ტონა წლიური სიმძლავრის გელათის შახტი საექსპლოატაციოდ გადაეცა 1939 წელს; მის მშენებლობაზე დაიხარჯა 3,5 მილიონი მანეთი და სხვ.

პირველ და მეორე ხუთწლედებში შეიქმნა ქვანახშირის მრეწველობის ახალი მძლავრი კერა ტყვარჩელში. აქ აგებულია მსხვილი ობიექტები: სტალინის სახელობის შახტი № 1, რომლის მშენებლობაზე (1929-1935 წ. წ.) დაიხარჯა 67 მილიონ მანეთზე მეტი; № 2 შახტის მშენებლობა დაიწყო 1938 წ. და იგი საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1946 წლის დამდეგს. 1938 წელს ამუშავდა ქვანახშირის გამაუხვებელი ქარხანა 750 ათასი ტონა წლიური საპროექტო სიმძლავრითა და რკინიგზის ვაგონში ნახშირის ჩატვირთვისათვის საჭირო ბუნკერებით. 1935 წელს აკარმარიდან კვეზანამდე ამოქმედდა (9,5 კმ.) ქვანახშირის სჭაიარო ბაგირგზა ლითონის საყრდენზე, რომლის ორი ხაზის წლიური გამტარუნარიანობა 1 მილიონ ტონას შეადგენს. 1943 წელს გაყვანილ იქნა 1 კილომეტრიანი ბაგირგზა სამრეცხაოდან თბოელექტროსადგურამდე; 1935 წელს ამუშავდა თბოელექტროსადგური. ამას გარდა ელექტროსადგურების საკავშირო სახალხო კომისარიატმა 1938 წელს დაამთავრა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობის პირველი რიგი. 1935 წელს გაიხსნა ოჩამჩირე - კვეზანის რკინიგზის შტო (24 კმ.), რომელიც ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებს, საბაგირო გზის დახმარებით, აკავშირებს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ მაგისტრალთან და საზღვაო ტრანსპორტთან. 1929-1945 წ. წ. გაყვანილ გზატკეცილთა სიგრძე აღწევს 46 კილომეტრს. აგებულია აგრეთვე მთელი რიგი დამხმარე საწარმოები: ელექტროდეპო, ელექტრო-მექანიკური სახელოსნოები, კირის, აგურის, ალებასტრის ქარხნები და სხვ.

ტყვარჩელის, ხოლო ტექნიკური რეკონსტრუქციის შემდეგ ტყიბულის ქვანახშირის შახტებიც წარმოადგენენ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აგებულ მძლავრ სამრეწველო საწარმოებს, სადაც ფართოდაა გამოყენებული მძიმე ტიპის საყელავი მანქანები, ელექტრობურღები, პნევმატური სანგრევი, საბურღავი ჩაქუჩები, კონვეიერები, ლენტისებრი ტრანსპორტიერები, ელმავლები და სხვ. ოდესღაც მძიმე, აუტანელი ხელით შრომა ტყიბულის სარეწებში შეიცვალა მოწინავე ტექნიკაზე დამყარებული სოციალისტური შრომით.

საქართველოს ქვანახშირს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ამიერკავკასიისათვის. ამხანაგმა **სტალინმა** ჩვენს წინაშე დააყენა ამოცანა — მოვამარაგოთ საკუთარი ქვანახშირით მთელი ამიერკავკასია. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა უზრუნველჰყვეს საქართველოში ქვანახშირის მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარება და იგი საქართველოს აღმოსავლეთის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მოწინავე დარგად გადააქციეს.

ქვანახშირის მოპოვება 1913 წელს უდრიდა 70,0 ათას ტონას, ხოლო 1940 წელს ავიდა 625,1 ათას ტონამდე, ე. ი. ამ წელს 1913 წელთან შედარებით თითქმის 9-ჯერ მეტი ქვანახშირი იქნა მოპოვებული.

მარტოოდენ 1942-1944 წლებში მოპოვებულ იქნა ბევრად უფრო მეტი ქვანახშირი, ვიდრე 1895-1927 წლებში ერთად, ე. ი. მთელი 33 წლის განმავლობაში. 1913 წელს მოსახლეობის 1 სულზე მოდიოდა დაახლოებით 28,4 კილოგრამი ქვანახშირი, ხოლო 1940 წელს—168 კილოგრამი, ე. ი. 1913 წელთან შედარებით 6-ჯერ მეტი.

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში აღიზარდნენ ფართო გაქანების და ქვანახშირის ამოღების მოწინავე ტექნიკას დაუფლებული ინჟინრების, ტექნიკოსების, ათისთავების, ოსტატების, საყელავი მანქანის მემანქანეების, მნგრეველების, მებიგეებისა და სხვ. მაღალკვალიფიციური ნაციონალური კადრები, რომლებიც ჩინებულად დაეუფლნენ სამთო საქმის რთულ პროფესიებს და შეუპოვარი შრომით წინ სწევენ საქართველოს ქვანახშირის მრეწველობას.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში ერთი მუშის საშუალო წლიური ნაყოფიერება 1926-27 წლის უცვლელი ფასებით 1927-28 წელთან შედარებით 1939 წელს 4,3-ჯერ გადიდდა.

გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბრწყინვალე მაჩვენებლებს იძლევიან ქვანახშირის მრეწველობის ცალკეული სტახანოველები, რომლებიც დღიურ ნორმებს ორჯერ, ორნახევარჯერ, სამჯერ და უფრო მეტად ასრულებენ.

1938 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველოსა და უკრაინის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა სოციალისტურ შეჯიბრებას, რამაც სერიოზული როლი ითამაშა საწარმოო გამოცდილების ურთიერთ გაზიარების, გეგმების გადაჭარბებით შესრულების, ქვანახშირის ამოღებისა და შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდების საქმეში.

საქართველოს ქვანახშირის შახტების უახლესი ტექნიკით შეიარაღება და შრომის ძირითადი პროცესების მექანიზაცია გახდა შრომის ნაყოფიერების ზემოაღნიშნული სისტემატური აღმავლობის საფუძველი. წარმოების კომპლექსურმა მექანიზაციამ და ელექტროფიკაციამ საგრძნობლად შეამსუბუქა ამ დარგში მძიმე შრომა. ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტში შრომის ისეთი ძირითადი პროცესები, როგორიც არის გაბურღვა, ქვანახშირის ფენების მონგრევა, მონგრეული ქვანახშირის მიწისქვეშა და მიწისზედა ტრანსპორტირება და დატვირთვა მთლიანად მექანიზებულია, დაწყებული შახტიდან გამოზიდვით და დამთავრებული რკინიგზის ვაგონებში ჩატვირთვით. ტყიბულის შახტებში ყველა კატეგორიის ბურღვის პროცესი მექანიზებულია სრული ასი პროცენტით, ქვანახშირის მონგრევის პროცესი 85-90%-ით, ხოლო მონგრეული ქვანახშირის მიწისქვეშა და მიწისზედა ტრანსპორტირება და ჩატვირთვა—60-70%-ით. შრომის პროცესის მექანიზა-

ციის ის სწრაფი ტემპი, რომელსაც ადგილი აქვს ტყიბულის შახტებში, უახლოეს პერიოდში სავსებით უზრუნველჰყოფს მთელი ძირითადი საწარმოო პროცესების სრულ მექანიზაციას.

ქვანახშირის ამოღებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების პარალელურად, იზრდებოდა ქვანახშირის მრეწველობის მუშათა ხელფასი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ერთი მუშის საშუალო წლიური ხელფასი ტყვარჩელის შახტში 1935 წ. უდრიდა 2.835 მან., ხოლო 1940 წელს გადიდდა 5.713 მანეთამდე, ე. ი. 101,5%-ით.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში უკაცრიელი და ტყიანი იყო ადგილი, სადაც ახლა გაშენებულია ტყვარჩელის სახელმწიფო დაწესებულებებისა და მუშათა 3-5 სართულიანი ლამაზი, ხუროთმოძღვრული საცხოვრებელი სახლები. 1929-1945 წ. წ. პერიოდში აღმოცენდა კვეზანის, ჯანტუხისა და აკარმარის საცხოვრებელი დაბები, 37 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობით, რომლიდანაც 15 ათასი კვ. მეტრი ქვის შენობებია. ქვანახშირის მრეწველობის ამ ახალ რაიონს უკვე ამშვენებენ: საავადმყოფოები (სამკურნალო კომბინატი თბილ რადიოაქტიურ წყაროზე 80 საწოლით), სკოლები, ბაგები, საბავშვო ბაღები, კინო-თეატრები, კლუბები, რადიოკვანძი, ტელეფონის ორი სადგური, სამკითხველოები, ბიბლიოთეკები, პურის ქარხანა, სასადილოები, მაღაზიები, აბანოები, სამრეცხაოები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი. ტყვარჩელი უზრუნველყოფილია ელექტროგანათებით, წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელით და ახვ.

ყოველივე ამის შედეგად როგორც ტყიბულმა, ისე ტყვარჩელმაც კარგა ხანია ქალაქური დასახლების იერი მიიღეს და სათანადო ორგანოების დადგენილებითაც ისინი საქართველოს სოციალისტური ქალაქების რიცხვს შეეხატნენ.

სამამულო ომის პირობებში მეშახტეები წარმატებით სძლევდნენ ომით გამოწვეულ დროებით სიძნელეებს. ფართოდ გაიშალა ომამდე დაწყებული მრავალსანგრეოსანთა მოძრაობა, ჩამოყალიბდა ახალგაზრდობის ფრონტული ბრიგადები, საქართველოს ქვანახშირის მუშაკები დიდი აღფრთოვანებით ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მნიშვნელოვანი წარმატებებიც მოიპოვეს.

სამამულო ომის პირობებშიც მიმდინარეობდა მუშათა ბინათმშენებლობა. 1943-1944 წ. წ. ტყიბულის მეშახტეებისათვის აგებულ იქნა ბინები 41,0 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობით; ახლა ეწყობა კულტურისა და დასვენების პარკი; ხრესილში აიგება მეშახტეთა აგარაკი და სხვ.

ნავთობით საკმაოდ მდიდარი საქართველოს საბადოები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან, მაგრამ ამაოდ, იქცევდა გეოლოგების ყურადღებას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება საქართველოში ნავთობის მრეწველობის შექმნისა და განვითარების საქმეს. 1930 წ. ჩამოყალიბდა „საქნავთობის“ ტრესტი. უკვე საქ. კ. პ. (ბ) VII ყრილობაზე ამხანაგი **ლ. ბერია** აღნიშნავდა, რომ „ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საქნავთობის განვითარებისათვის. ნავთობი არის. იგი ამოღებული იქნებაო“.[1]

ამ დროიდან მოყოლებული ფართო და მეცნიერულ ნიადაგზე გაიშალა

[1] **ლ. ბერია**, „საქ. კომპარტიის (ბ) მორიგი ამოცანები“, 1932, თბილისი, გვ. 76.

გეოლოგიური ძიებითი სამუშაოები. გამოვლინდა მთელი რიგი სრულიად ახალი ნავთობიანი საბადოები.

ამ ბაზაზე გენიალური **სტალინის** პირადი მითითებითა და ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით ჩაისახა და განვითარდა საქართველოს ნავთობის მრეწველობა. 1941 წლისათვის ნავთობის მოპოვებაში კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობამ 136 მილიონ მანეთს მიაღწია.

სწრაფად იზრდებოდა „საქნავთობის" ტრესტის საბურღავი აგრეგატების პარკი როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივადაც. სისტემატურად იზრდებოდა გაბურღვის მეტრაჟი და ჭაბურღილების რიცხვი.

მესამე სტალინური ხუთწლედის პირველი სამი წლის (1938-1940 წ. წ.) განმავლობაში ნავთობი 2-ჯერ უფრო მეტი იქნა ამოღებული, ვიდრე მთელი წინა 8 წლის (1930-1937 წ. წ.) განმავლობაში. ნავთობის გადამუშავების მრეწველობა—ბათუმის, მირზაანისა და თბილისის ნავთობსახდელი ქარხნები — საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა. 1941 წლისათვის ნავთობის მრეწველობის დარგში კაპიტალის დაბანდების საერთო მოცულობამ 70 მილიონ მანეთს მიაღწია.

„საქართველოს მძიმე მრეწველობაში დიდი ადგილი უკავია ბათუმის ნავთის გადამმუშავებელ ქარხნებს, რომლებიც აგებულია პირველი ხუთწლედის განმავლობაში (მშენებლობაზე დაიხარჯა 39 მილიონი მანეთი). ეს ქარხნები იძლევიან საექსპორტო პროდუქციას ფასეულ გამოხატულებაში 100-105 მილიონი მანეთის რაოდენობით (წლიური სიმძლავრე შეადგენს სამ მილიონ ტონა უგბილი ნავთობის გადამუშავებას"). [1]

მირზაანის ქარხანა ამუშავდა 1938 წელს. ქარხანა იკვებება მირზაანისა და პატარა შირაქის საბადოებში მოპოვებული ნავთობით. თბილისის ნავთსახდელი ქარხანა საექსპლოატაციოდ გადაეცა 1944 წელს. ეს ქარხნებიც მოწყობილია უახლესი ტექნიკით და ამზადებენ ნაირსახოვან და მაღალხარისხოვან პროდუქციას. გაყვანილია ნავთობსადენი მილი მირზაანიდან კაჭრეთამდე; მოწყობილია სპეციალური მექანიკური სახელოსნოები ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო ტექნიკურ მოწყობილობათა შესაკეთებლად და სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად.

საქართველოს ნავთობის მრეწველობის განვითარების პარალელურად განუხრელად იზრდებოდა აგრეთვე ნავთობის სამრეწველო პროდუქციის ფიზიკური მოცულობა. ბენზინის გამოშვება, 1933 წელთან შედარებით, 1940 წელს გაიზარდა 58,3%-ით. ნავთობის მოპოვებისა და მრეწველობის დარგში უახლესი ტექნიკისა და სტახანოვური მოძრაობის გაშლის საფუძველზე უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების სისტემატური აღმავლობა. ერთი მუშის საშუალო წლიური ნაყოფიერება ნატურით (მეტრობით), 1938 წელთან შედარებით, 1940 წელს გაიზარდა: ბურღვაში—140%, ნავთობის მოპოვებაში (1926-27 წლის უცვლელი ფასებით)—22,4%-ით, ნავთობის მრეწველობაში—12,4%-ით. ამის შესაბამისად განუხრელად იზრდებოდა მუშის საშუალო წლიური ხელფასიც.

სამამულო ომის წლებში ნავთობის მოპოვება კიდევ უფრო გაიზარდა. 1940 წელთან შედარებით ნავთობის ამოღება 1943 წელს გაიზარდა

---

[1] ლ. ბერია, „საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ანგარიში", 1934, თბილისი, გვ. 20.

39,3%-ით; 1942 წელთან შედარებით ნავთის წარმოება 1944 წელს გაიზარდა 57,1%-ით. მნიშვნელოვნად გადიდდა შრომის ნაყოფიერებაც, მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის მრეწველობის სპეციალისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი წავიდა სამამულო ომის ფრონტზე; ასე, მაგალითად, ერთი მუშის საშუალო წლიური ნაყოფიერება 1926-27 წ. წ. უცვლელი ფასებით ნავთობის მოპოვებაში, 1940 წელთან შედარებით 1943 წელს გაიზარდა 60,3%-ით.

წარმოებაში ახალ ჩაბმული ახალგაზრდობა შეუპოვარი შრომით ეუფლებოდა წარმოების პროცესებს და გადაჭარბებით ასრულებდა გამომუშავების ნორმებს, რითაც ამრავლებდა სტახანოველთა რიგებს. საკმარისია ითქვას, რომ მუშათა საერთო რაოდენობიდან სტახანოველთა რიცხვი 1942 წელს შეადგენდა 33,6%-ს, ხოლო 1944 წელს—37%-ს.

ამჟამად შესწავლილი და გამოკვლეული ნავთობიანი ფართობების მიზანშეწონილი ექსპლოატაცია უახლოეს წლებში სავსებით დააკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნილებას ნავთობის პროდუქტებზე. საქართველოს ნავთობის მრეწველობას შეუძლია ახლო მომავალში, მეოთხე ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელების მეოხებით, სერიოზული დახმარება აღმოუჩინოს სხვა რესპუბლიკებსაც.

სამთამადნო მრეწველობა. მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში დაიწყო ჩვენი ქვეყნის მინერალურ სიმდიდრეთა მეცნიერული და გეგმაშეწონილი შესწავლა, რომლის ინტენსიობის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო 1940-45 წლებში მარგანეცის შედარებით უკეთ შესწავლილი საბადოს გეოლოგიური მარაგი წინანდელთან შედარებით თითქმის ორჯერ გადიდდა. ქვეყნის სიმდიდრეთა კომპლექსური შესწავლის შედეგად ჩვენს წინ იშლება ახალი ღირსშესანიშნავი პერსპექტივები: ჭიათურის მადნის ბაზაზე კიბალტისა და ნიკელის წარმოების გაშლისა და რიონის დიდძალი კვარცის ქვიშისა და კირქვების გამოყენებისა, რაც კიდევ უფრო აამაღლებს ჭიათურის მრეწველობის ხვედრითს წონას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

გაეცნოთ საქართველოში სამთამადნო მრეწველობის ზოგიერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დარგს.

„ქუთაისის **ბარიტი** თავისი მაღალი ხარისხით ერთადერთია მთელ საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირის ქიმიური და ალუმინის მრეწველობის მთელი საჭიროება შეიძლება დაიფაროს ქუთაისის ბარიტით“.[1] ქუთაისის რაიონის ბარიტის პროდუქცია მთელი საბჭოთა კავშირის მრეწველობის მოთხოვნილების უკვე თითქმის 60%-ს ფარავს. 1911 წლამდე ბარიტი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მხოლოდ საქართველოში მოიპოვებოდა. 1913 წელს ბარიტის ამოღება საქართველოში 1 ათას ტონას ვერ აღწევდა, 1937 წელს კი ამოღება, 1913 წელთან შედარებით, 40-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა. ამჟამად ბარიტის მნიშვნელოვანი ნაწილის გადამუშავება სწარმოებს ქუთაისის ლიტოპონის ქარხანაში. ბარიტს ყველაზე მეტად საჭიროებს ლაქ-საღებავების მრეწველობა, მაგრამ, გარდა ამისა, იგი ძვირფასი მასალაა ქიმიური მრეწველობის სხვა დარგებისთვისაც, აგრეთვე ნავთობის, ალუმინის, რეზინის, ქაღალდის, საფეიქრო და ტყავის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობის მავნებლების საწინააღმდეგო მაღალ-აქტიური პრეპარატების წარმოებაში და, დასასრულ,

[1] ლ. პ. ბერია, „საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ანგარიში“. 1934, თბილისი, 25-26.

მედიცინაშიც. ყოველივე ამით განისაზღვრება ბარიტის მნიშვნელობა მთელი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის. ჩვენი ბარიტი დიდი სამამულო ომის წინა წლებში საზღვარგარეთაც (ჩრდილოეთ ამერიკაში) გაჰქონდათ.

საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე ამხანაგი **ლ. ბერია** სამთამადნო მრეწველობის მსხვილ დარგთა შორის საქართველოს ბოლშევიკების ყურადღებას ამახვილებდა **გუმბრინსა** და **ბარიტზე**, „რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის". საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე ამხანაგი **კ. ნ. ჩარკვიანი** აცხადებდა, რომ საქართველოს „ბარიტსა და გუმბრინზე ბევრად არის დამოკიდებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგების წარმატებითი მუშაობა, რორგორიცაა ნავთობის, ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობა".[1]

გუმბრინის მოპოვების სახით საქართველოში 1927 წლიდან შექმნილია სამთამადნო მრეწველობის სრულიად ახალი დარგი, რომელიც აკმაყოფილებს მათეთრებელ თიხაზე მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას. გუმბრინის მოთხოვნილება წლითიწლობით იზრდება. მის გადასამუშავებლად თვით საბადოზე—სოფ. გუმბრში—აგებულია კარგად მოწყობილი, სავსებით მექანიზებული ქარხანა. დანარჩენი გუმბრინი ნედლი სახით იგზავნება ნავთობის ქარხნებში. სადგურ რიონიდან საწარმოსაკენ გაყვანილია რკინიგზის 18 კილომეტრიანი შტო. გუმბრინმა სავსებით შეცვალა ფლორიდინის ტიპის თიხა, რომელიც წინათ დიდი რაოდენობით შემოგვქონდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან; გუმბრინმა ჩვენს ქვეყანას უკვე რამდენიმე მილიონი მანეთი ვალუტის ეკონომია მისცა.

მარგანეცის მრეწველობას საქართველოს სსრ ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. მეტიც, მარაგის სიდიდისა და მადნის მაღალი ხარისხის გამო ჭიათურის მარგანეცმა მისი ექსპლოატაციის დაწყებიდანვე მსოფლიოში პირველი ადგილი დაიჭირა და შემდეგშიაც, მიუხედავად ბევრი ახალი ძლიერი კონკურენტის (ინდოეთის, ბრაზილიის, ოჭროს ნაპირის) გამოჩენისა, თავისი წამყვანი ადგილი მარგანეცის მსოფლიო მრეწველობაში არ დაუკარგავს.

1921 წლამდე მარგანეცის მრეწველობა ბევრი წვრილი, დაქსაქსული საწარმოსაგან შესდგებოდა; მხოლოდ რამდენიმე მსხვილი საწარმო მუშაობდა. უცხოელ მსხვილ ექსპორტიორებს მონოპოლიური მდგომარეობა ეჭირათ. ჭიათურის მარგანეცის საბადოები 1849 წ. იქნა აღმოჩენილი. საბადოს ექსპლოატაცია 1879 წელს დაიწყო, რაშიაც მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს სახელოვან პოეტს აკაკი წერეთელს. ლითონურ მარგანეცზე მოთხოვნილების მკვეთრი ზრდა გამოიწვია ფოლადის დნობაში ბესემერის მეთოდის შემოღებამ.

გასული საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების დასაწყისს, როდესაც მარგანეცი სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი, ჭიათურის მარგანეცს მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა ეჭირა. მარგანეცის ახალი საბადოების აღმოჩენის შემდეგაც მსოფლიო მოპოვებაში ჭიათურის მარგანეცის ხვედრითი წონა ყოველთვის მაღალი იყო, ხოლო პირვე-

[1] საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში), 1940, თბილისი, გვ. 24.

ლი მსოფლიო ომის წინა წლებში 35-40 პროცენტს აღწევდა; შემდეგ კი ეს ხვედრითი წონა სულ ეცემა, ისე რომ 1918 წელს 1,59%-მდე ჩამოდის. ჭიათურაში ამოღებული მარგანეცის 98% უცხოეთში გაჰქონდათ. 1900-იან წლებში ჭიათურა ხშირად იძლეოდა მარგანეცის მსოფლიო ექსპორტის 45-50 პროცენტს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე წლიდანვე მარგანეცის ამოღება კვლავ განახლდა და ამ დროიდან იგი წლიდან წლამდე განუხრელად მატულობს.

1928 წელს დაიწყო მთელი სამრეწველო რაიონის კაპიტალური რეკონსტრუქცია, წარმოების შეიარაღება თანამედროვე სამთო და ტრანსპორტის ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით. მარგანეცის გადაზიდვაში ურემი საჰაერო ბაგირგზამ, კაბელამწეებმა და ტრანსპორტერებმა შესცვალა. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში მარგანეცის ამოღება (მონგრევა) მექანიზებულია 95-ზე მეტი პროცენტით, ხოლო მაღაროს მიწისქვეშა და მიწისზედა ტრანსპორტი, პროდუქციისა და მასალების გადაზიდვა მთლიანად მექანიზებულია. აგებულია მადნის გამაუხვებელი რამდენიმე ახალი მძლავრი ქარხანა. ამჟამად შენდება მძლავრი ცენტრალური გამაუხვებელი ქარხანა, რომლის პირველი რიგი საექსპლოატაციოდ გადაცემა 1947 წელს.

მნიშვნელოვნად გადიდდა მოქმედ საწარმოთა რიცხვი, წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რაოდენობა და გამოშვებული პროდუქციის მოცულობა. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ჩამოყალიბებიდან, ე. ი. 1928 წლიდან, 1942 წლამდე მოპოვებულია 14 მილიონ ტონაზე მეტი სასაქონლო პროდუქცია (ჩვეულებრივი, გარეცხილი მადანი და პეროქსიდი). ეს 40%-ით აღემატება იმას, რაც მარგანეცის ამოღების დაწყების დღიდან 1914 წლამდე, ე. ი. 34 წლის მანძილზე იყო მოპოვებული. მეორე ხუთწლედის ბოლოს სასაქონლო პროდუქცია 1926 წელთან შედარებით 16-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა.

სსრ კავშირის ახლად შექმნილი მძლავრი მეტალურგია ჭიათურის მარგანეცის უდიდესი მომხმარებელი გახდა. 1934 წლიდან საზღვარგარეთ ექსპორტის წილი ჭიათურის მარგანეცის გაზიდვაში სულ უფრო და უფრო კლებულობს. ჩვენი მარგანეცის უდიდესი ნაწილი მშობლიურ მეტალურგიას ხმარდება. ამავე დროს ჭიათურის მარგანეცი მაინც ექსპორტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტად რჩება. ჭიათურის მარგანეცის წარმოების ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლები დიდ მიღწევებს ააშკარავებენ. მუშების რაოდენობა წარმოებაში, მიუხედავად წარმოების თითქმის 100%-ით მექანიზაციისა, 1941 წელს 1928 წელთან შედარებით 161,5%-ით გადიდდა, რაც წარმოების მოცულობის ზრდით არის გამოწვეული.

მარგანეცის მრეწველობაში ფართოდ გაიშალა სტახანოვური მოძრაობა და მუშათა მასების ტექნიკური ცოდნის ამაღლება. სასაქონლო პროდუქცია უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საერთოდ; თითქმის 5-ჯერ გაიზარდა საშუალოდ 1 მუშის ნამუშევარი კაცდღეთა რაოდენობა. საწარმოს ტექნიკის ძირითადი ფონდების ღირებულება 33-ჯერ გაიზარდა. მუშების ტექნიკური და ენერგოშეიარაღებულობის გადიდების, წარმოების მექანიზაციის, სამუშაო დროის უფრო სრულად დატვირთვა-შემჭიდროებისა და მოკლედის აღმოფხვრის საშუალებით მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდება 3-ჯერ და უფრო მეტად.

1928 წლიდან 1944 წლამდე საწარმოში ოთხჯერ ჩატარდა მუშების ხელფასის მომატება; შემოღებულია ხელფასის პროგრესულ-პრემიული სისტემა. მუშების ხელფასის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სტახანოვური მოძრაობის საფუძველზე დადგენილი ახალი ნორმების გადაჭარბებით შესრულება ძირითადი კვალიფიკაციის მუშების მიერ.

მეტალურგია. საქართველოს პირველი უმნიშვნელოვანესი მეტალურგიული წარმოება — **ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა**—ამუშავდა 1933 წლის 1 ნოემბერს. ამ წელს ქარხანამ მოგვცა ნახშირბადიანი ფერომარგანეცის პირველი ათასი ტონა. სრული ექსპლოატაციის პირველ წელიწადს, უცხოური ფირმის მიერ დადგმულ მოწყობილობაში მთელი რიგი დეფექტების გამო, ღუმელები დიდი მოცდენით მუშაობდა. 1935 წელს დაიწყო კიდევ ორი ახალი სახის ფეროშენადნობის ათვისება. 1936 წელს, ჩვენი მეტალურგიის მოთხოვნილების შესაბამისად, იწყება ქარხნის პროფილის თანდათანობით შეცვლა: ქარხანა ძირითადად გადადის ფეროსილიციუმის წარმოებაზე და ფეროშენადნობთა ქარხანად იქცევა. იმავე წლიდან ქარხანა იწყებს ფერომოლიბდენის გამოდნობას, რომელსაც მანამდე მხოლოდ მაგარ შენადნობთა მოსკოვის ქარხანა უშვებდა.

ამრიგად, 1936 წელს საფუძველი ჩაეყარა ქარხანაში ლითონთერმიულ წარმოებას და ქარხნის პროდუქციის ასორტიმენტი ექვსი სხვადასხვა სახის შენადნობამდე გაფართოვდა: ქარხანას შეემატა მძლავრი ელექტროღუმელის ორი აგრეგატი, დაპროექტებული საბჭოთა სპეციალისტების მიერ და აგებული საბჭოთა ქარხნებში საბჭოთა მასალებისაგან; დაიწყო ელექტროდური მასის ადგილობრივ დამზადება და შესწყდა დაწნეხილი ელექტროდების საზღვარგარეთიდან შემოტანა. ქარხნის მიერ მთლიანი პროდუქციის გამოშვება წლიდან წლამდე განუხრელად მატულობს. პროდუქციის ასორტიმენტი კიდევ უფრო ფართოვდება. ფეროსილიციუმის წარმოების ზრდასთან დაკავშირებით გაჩაღდა მუშაობა აჯამეთის ხალცედონის ამოღების დარგში; 1938 წელს გაიხსნა რკინიგზის შტო აჯამეთის კარიერებიდან სადგურ რიონამდე.

1937 წელს ამუშავდა საბჭოთა მესამე ღუმელიც, რითაც დამთავრდა ქარხნის პირველი რიგის მშენებლობა. 1939 წელს ქარხანას ათვისებული ჰქონდა უკვე 12 სხვადასხვა სახის შენადნობი. 1941 წელს დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ, ქარხანამ კიდევ უფრო გააუმჯობესა მუშაობა. აქ 1936 წლიდან ალუმოთერმიული მეთოდით დაწყებული მეტალური მანგანუმის წარმოება იძლეოდა ლითონს, რომელიც შეიცავდა 88-95% მანგანუმს და მავნე მინარევების, განსაკუთრებით ფოსფორის დიდ რაოდენობას. გარდა მიღებული ლითონის დაბალი ხარისხისა, ეს მანამდე საყოველთაოდ გაბატონებული წესი ხასიათდება ალიუმინიუმის დიდი ხარჯით.

1941 წელს ამავე ქარხანამ, პირველად საბჭოთა კავშირში, აითვისა 99,85%-იანი მეტალური მანგანუმის წარმოება. ასეთი მაღალი სიწმინდის ლითონის მიღება შესაძლებელი გახდა სტალინური პრემიის ლაურეატის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ რ. ი. აგლაძის ახალი ელექტროლიტური მეთოდის გამოყენებით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ახალი ელექტროლიტური მეთოდით მანგანუმის მიღებისათვის საჭირო არ არის ისეთი დეფიციტური ლითონი, როგორიცაა ალუმინი, მაშინ როდესაც ალუმოთერმიული წესით ყოველ ერთ ტონა მანგანუმის მიღებისას 0,7 ტონა ალიუმინი იხარჯება.

სამამულო ომის წლებში ს. ი. აგლაძის მეთოდით ზესტაფონის ქარხნის მიერ გამომუშავებული მაღალი სიწმინდის მეტალური მანგანუმის საფუძველზე მიღებულმა სპეციალურმა შენადნობებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს რამდენიმე სახის იმ მრისხანე სამხედრო იარაღის დამზადებაში, რომელსაც სამამულო ომის ფრონტებზე დიდი წარმატებით იყენებდნენ საბჭოთა მეომრები ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

ელექტროლიტური მანგანუმის წარმოების შემდგომ განვითარებას დიდი პერსპექტივები აქვს. მინარევების თითქმის სრული უქონლობის გამო, მეტალურგიაში ამ ლითონის მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობა (განსაკუთრებით საავიაციო მრეწველობისათვის საჭირო სპეციალური ფოლადებისა და შენადნობთა დამზადების საქმეში) ფრიად დიდია.

ახალი ელექტროლიტური წესით მიღებული მეტალური მანგანუმი მაქსიმალურად კონცენტრული პროდუქტია, რის გამოც იგი ტრანსპორტის ხარჯებს ფრიად ამცირებს. უკანასკნელი გარემოება და ამ ლითონის მაღალი ხარისხი მისი ექსპორტის ფართო შესაძლებლობებს გვისახავს.

უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია საქართველოში ელექტროლიტური მეტალური მანგანუმის მძლავრი საწარმოს მშენებლობა. ელექტროლიტური მეტალური მანგანუმის მიღების საწარმოო ათვისება საბჭოთა ტექნიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა.

ქარხანამ საფუძვლიანად გააუმჯობესა წარმოების ტექნოლოგია და ფართო მასშტაბით დაიწყო. გარედან მოსაზიდი მასალების ნაცვლად, ადგილობრივ სახის შემცვლელთა დანერგვა. 1942 წლის სერიოზული მდგომარეობის მიუხედავად, ქარხანამ შესძლო მთელი წლიური გეგმის თითქმის მთლიანად შესრულება, ხოლო ცალკეული სახის ისეთი პროდუქციის ხაზით, რომელიც შემოსატან ნედლეულს არ საჭიროებს—გეგმის 19-20%-ით გადაჭარბებაც კი.

ყველა წარმოებითი მაჩვენებლის აღმავლობას ჰქონდა ადგილი 1944 წელსაც. გადიდდა შენადნობთა გამოშვება მარგანეცის საფუძველზე: ზოგი სახის მარგანეცის წარმოება, წინა წელთან შედარებით, ერთი სამად გადიდდა. გარდა ამისა ქარხანა განაგრძობდა ლითონური მარგანეცის წიდიდან 1942 წ. დაწყებული სალესი ქვების გამოშვებას. მოეწყო სხვა ახალი წარმოებებიც. 1944 წელსვე გაიშალა მშენებლობა ახალი საამქროსი და ახალი საკაბელო გვირაბისა „საქენერგოს“ ქვესადგურიდან სადნობ საამქრომდე. — სამსხმელო საამქროსი და ცენტრალური ქვესადგურისა საკუთარი საჭიროებისათვის. 1945 წელს განახლდა ზოგიერთი შენადნობის წარმოება.

თავისი მუშაობის 12 წლის თავზე ქარხანას აქვს 6 საამქრო, დამატებით შენდება კიდევ 2 საამქრო, 1 სამსხმელო სახელოსნო, რემონტისა და მშენებლობის ბაზა, საკმაოდ მძლავრი წყლისა, ტრანსპორტისა და ელექტრომეურნეობა. ქარხანას ათვისებული აქვს 18 სხვადასხვა სახის შენადნობი, რომელთაგან 10-ს უშვებს განუწყვეტლივ. განხილული პერიოდის განმავლობაში ქარხანამ დახარჯა 2.249,7 მილიონი კვტ. საათი ელექტროენერგია და 297,4 ათასი ტონა პირობითი სათბობი.

მუშათა რაოდენობა ქარხანაში 1945 წ. 1 იელისისათვის სამჯერ მეტი იყო, ვიდრე 1934 წელს. განუხრელად იზრდება შრომის ნაყოფიერება. ერთი

მუშის საშუალო წლიური ხელფასი 1944 წელს თითქმის ოთხჯერ მეტი იყო, ვიდრე ათი წლის წინათ.

მანქანათმშენებლობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავზე საქართველოს აქვს საკუთარი სხვადასხვა სახის მეტალურგიული წარმოება, მანქანათმშენებლობა და დაზგათმშენებლობა. მანქანათმშენებლობა საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა. მის შემადგენლობაში შეგვიძლია დავასახელოთ ორ ათეულამდე უაღრესად მნიშვნელოვანი საწარმო, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი, ორჯონიკიძის სახელობის, 26 კომისრის სახელობისა და კალინინის სახელობის ქარხნები, ლითონკონსტრუქციების, სოფლის მეურნეობის მანქანების, ინსტრუმენტალური, ნავთის საბურღავი მოწყობილობის, ფოლადისა და თუჯის ჩამომსხმელი („ცენტროლიტი") და ავტოსარემონტო ქარხნები, აგრეთვე ბათუმის მანქანათმშენებელი და მათუთიებელი ქარხნები და სხვ.

ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ ჯერ კიდევ 1934 წელს, საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე აღნიშნა, რომ ჩვენს მანქანათმშენებლობას „საქართველოს მრეწველობაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. წვრილ, ნახევრადკუსტარულ სარემონტო სახელოსნოებიდან ისინი გაიზარდნენ მსხვილ მანქანათმშენებელ ქარხნებად, სადაც მზადდება ისეთი მანქანები და მოწყობილობა, რომელიც მანამდე საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა".[1]

კიროვის სახელობის ქარხნის ძირითადი დანიშნულებაა სხვადასხვაგვარი ლითონმჭრელი ჩარხების წარმოება. ეს ქარხანა კოოპერირებულია 1935 წელს ამუშავებულ თუჯ-ფოლადის სამსხმელო ქარხანასთან. საქართველოს მანქანათმშენებლობის საწარმოთა შორის ყველაზე ძველია 26 კომისრის სახელობის ქარხანა, რომელიც 1921 წელს ამუშავდა. მის ძირითად პროდუქციას შეადგენდა ჩაის, აბრეშუმისა და საფეიქრო ფაბრიკების მოწყობილობა, რაც საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც იგზავნება.

მანქანათმშენებლობის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა რეკონსტრუირებულია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და ძირითადად უშვებს ღვინის მრეწველობისათვის საჭირო რთულ მოწყობილობას, რაც მანამდე საფრანგეთიდან შემოგვქონდა. ეს ქარხანა ამ მხრივ ერთადერთია საბჭოთა კავშირში. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა სამამულო ომის პერიოდში და განსაკუთრებით კავკასიის დაცვის დღეებში პრისხანე სამხედრო პროდუქციას უშვებდა; მის მიერ შექმნილი საომარი ტექნიკა საამჭროებიდან პირდაპირ ცეცხლის ხაზზე მიდიოდა. ახლა იგი კვლავ მეღვინეობის მოწყობილობის დამამზადებელი ქარხანაა, რომელიც თავისი პროდუქციით ამარაგებს როგორც საქართველოს, აგრეთვე მოლდავეთის, ყირიმის, ჩრდილოეთ კავკასიისა, უკრაინისა და საბჭოთა კავშირის მეღვინეობის სხვა რაიონებს.

კალინინის სახელობის თბილისის მექანიკური ქარხანა ამზადებს ელექტრომხურებელ ხელსაწყოებს, ელექტროშემდუღებელ აპარატებს, ლურსმნებს, ლითონის საწოლებს, საყალიბო მანქანებს, მხერხავ ჩარხებს. ლითონ-

[1] ლ. ბერია, „საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ანგარიში", 1934, თბილისი, გვ. 34

კონსტრუქციების ქარხანა სპეციალიზებულია ცისტერნების, აუზების, გადამცემი ხაზებისათვის რკინის რთული კონსტრუქციების, ჰიდროელსადგურებისათვის ანძებისა და სხვადასხვა ნაგებობათა დამზადებაზე. ჩვენი მანქანათმშენებლობის საწარმოები არ ჩამორჩნენ საბჭოთა კავშირის მრეწველობის წარმატებებს; მათ გაათავისუფლეს საბჭოთა კავშირი მთელი რიგი მანქანებისა და დაზგების იმპორტისაგან. საქართველოს მანქანათმშენებლობის ქარხნებში დაინერგა პირველად ტექნიკური საწარმოო-საფინანსო გეგმა.

ავტომობილის ტრანსპორტის განვითარებასთან ერთად საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ავტომობილის მრეწველობას. ჯერ კიდევ სამამულო ომამდე თბილისში აშენდა ავტოსარემონტო ქარხანა, გაფართოვდა ავტოსარემონტო სახელოსნოების ქსელი.

ქიმიური მრეწველობა. 1921 წლამდე საქართველოში, საჭირო ნედლეულის სიუხვის მიუხედავად, ქიმიური მრეწველობა ფრიად ჩამორჩენილი იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ იმთავითვე გააჩაღა დიდი მუშაობა მრეწველობის ამ დარგის აღორძინებისათვის. პირველ ხუთწლედში შეიქმნა თბილისის ქიმიური კომბინატი, რომელიც სახალხო მეურნეობის მიმდინარე საჭიროებისათვის საკმაოდ მრავალფეროვან პროდუქციას უშვებდა. შალე დაიწყო კიდევ საქართველოს ქიმიური მრეწველობის ყველაზე დიდი საწარმოს—ჭუთაისის **ლიტოპონის** ქარხნის მშენებლობა, რომელიც ამ სახის ყველაზე მძლავრი ქარხანაა მთელს საბჭოთა კავშირში. ლიტოპონი, რომლის ძირითად ნედლეულს ბარიტი წარმოადგენს, ფართოდ გამოიყენება როგორც მასალა რეზინის, პლასტმასების, ტექნიკური ქსოვილებისა და სხვ. წარმოებაში, მაგრამ იგი განსაკუთრებით ძვირფასია როგორც თეთრის საღებავი. ლიტოპონის ქარხანა ამუშავდა 1940 წელს.

მეორე სტალინური ხუთწლედის განმავლობაში აშენდა და ამუშავდა **ქიმიურ-ფარმაცევტული** ქარხანა თბილისში, ბიტუმის ქარხანა ნატანებში, რომელიც ამარაგებს ლენინგრადისა და უკრაინის ლაქსაღებავების მრეწველობას.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ქიმიური მრეწველობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დარგებად იქცნენ ლაქსაღებავებისა და ფარმაცევტული მრეწველობა, რომელთა პროდუქციით მარაგდება არა მხოლოდ საქართველო, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიც.

სამამულო ომის პერიოდში ჩვენში ქიმიურმა საწარმოებმა ნაწილობრივ ძირითადი ნედლეულის, ხოლო უფრო მეტად ქიმიური და სხვა წარმოების ნარჩენების საფუძველზე ფართოდ გაშალეს ფრონტისათვის საჭირო ბევრი ისეთი ქიმიკატის დამზადება (ცეცხლგამძლე საღებავები, ცეცხლსაქრობი მასალები, გოგირდისა და ძმრის მჟავა, ლაქვარდის საღებავი და სხვა), რომლებიც ჩვენ მანამდე არა მხოლოდ სსრ კავშირის სხვა რაიონებიდან შემოგვქონდა, არამედ უკანასკნელ დრომდე იმპორტის საგანიც კი იყო (სამონტანო სანთელი და სხვ.).

ცემენტის წარმოება. სამშენებლო მასალათა მრეწველობის სფეროში საქართველოს მშრომელთა უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს **ცემენტის** წარმოება. 1931 წელს ამუშავდა სტალინის სახელობის ცემენტის მძლავრი მექანიზებული ქარხანა კასპში. ქარხანა უშვებს მაღალხარისხოვან პორტლანდცემენტს. ქარხანა სატამპონაჟო ცემენტით ამარაგებს აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობასაც.

მრეწველობა დიდი სამამულო ომის პირობებში. საქართველოს მრეწველობას მძიმე პირობებში მოუხდა თავისი მოვალეობის შესრულება ფრონტისა და ომუერგის წინაშე. 1942 წლის მეორე ნახევარში უშუალოდ საქართველოს საზღვრებთან სწარმოებდა საომარი ოპერაციები. ომმა ნაწილობრივ შესწყვიტა და მნიშვნელოვნად შეამცირა საჭირო მოწყობილობისა და ზოგიერთი ნედლეულის შემოტანა საბჭოთა კავშირის ცენტრალური რაიონებიდან. ამავე დროს საქართველო გადაიქცა ჭვანახშირის ერთადერთ ბაზად მთელი ამიერკავკასიისა და შავი ზღვის ფლოტის სათანადო ნაწილებისათვის.

დიდი ბელადის მითითებათა საფუძველზე ომის პირველ ხანებშივე გატარდა მრეწველობის მუშაობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა. მოხდა ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის, ფულადი სახსრებისა და სხვა რესურსების მობილიზაცია და გადანაწილება სამხედრო პროდუქციის გადიდების უზრუნველსაყოფად. გაფართოვდა გეოლოგიურ-ძიებითი მუშაობა მრეწველობისათვის ადგილობრივი ნედლეულის ბაზის გაძლიერების მიზნით. განხორციელებულ იქნა სათანადო ღონისძიებანი ადგილობრივი რესურსების გამოვლინებისა და მათი უფრო ეფექტური გამოყენებისათვის.

საქართველოს მუშათა კლასმა ახალი ენერგიით გაშალა ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. გაიზარდა პროფესიების შენაცვლება და მრავალდაზგრსანთა მოძრაობა. წარმოიშვა ორასოვანთა, მრავალასოვანთა მოძრაობა და ახალგაზრდობის ფრონტული ბრიგადები.

ფართოდ დაინერგა ქალთა შრომა მრეწველობის ისეთ დარგებშიაც კი, როგორიცაა ქვანახშირის მოპოვება, მანქანათმშენებლობა და სხვა. სამამულო ომის დღეებში წარმოებაში მოსული ქალები და ახალგაზრდობა ენტუზიაზმით შეუდგნენ წარმოების ორგანიზაციისა და ახალი ტექნიკის შესწავლას. თუ 1939 წ. მრეწველობის მუშათა შორის ქალთა რაოდენობა 39,5 პროცენტს უდრიდა, 1942 წლისათვის ისინი უკვე 49 პროცენტს შეადგენდნენ.

1942 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის მრისხანე დღეებში, როდესაც დიდი სტალინის სუკეთესო თანამებრძოლის ამხანაგ ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით გაფთრებული ბრძოლები სწარმოებდა საქართველოს საზღვრებზე მომდგარი ჰიტლერული ურდოების წინააღმდეგ, ქართველი ხალხი, საქართველოს მუშათა კლასი სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობით აწოდებდა ფრონტს საჭირო პროდუქციას და თან იარაღით ხელში მონაწილეობდა თავისი სამშობლოს დაცვის საქმეში. გმირული შრომისა და ბრძოლისათვის მრეწველობის ათასობით მუშა დაჯილდოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

ომმა არსებითად შესცვალა მრეწველობის ცალკე დარგების განვითარება საქართველოში, დარგებს შორის თანაფარდობა და ახალი მშენებლობის მოცულობა და მიმართულება. მოხდა სამხედრო მრეწველობისა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული ინდუსტრიული დარგების გრანდიოზული გაფართოება, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად შეიკვეცა მრეწველობის ზოგიერთი დარგის მუშაობა და მათი ხაზით ახალი მშენებლობა. მიუხედავად ომის ძნელი პირობებისა, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მრეწველობაში მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებები განახორციელა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1941-1943 წლებში მრეწველობაში საშუალო წლიური კაპიტალდაბანდებანი თითქმის სამჯერ აღემატებოდა პირველ ხუთწლედის ასეთსავე

მაჩვენებელს. ეს მონაცემი ერთ-ერთი თვალსაჩინო ილუსტრაციაა საბჭოთა წყობილების, სოციალისტური ინდუსტრიის დაუშრეტელი ენერგიისა და ძლიერისა.

შემდგომი განვითარების გზები. საქართველო თავისი ბუნებრივი პირობებით, წიაღისეულითა და ჰიდრორესურსებით უმდიდრესი ქვეყანათაგანია საბჭოთა კავშირსა და მთელს მსოფლიოში. აქ არსებობს მრეწველობისათვის ძვირფასი ნედლეულის მომცემი მრავალმხრივი სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობა. ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე არა მხოლოდ უცხოურ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიცვა სამშობლო, არამედ შექმნა მნიშვნელოვანი სულიერი კულტურა და, მაშასადამე, წარმოებითი გამოცდილებაც.

უკანასკნელ საუკუნეებში მოწინავე ქვეყნებისაგან ჩამორჩენილი საქართველო მხოლოდ საბჭოთა წყობილების მეოხებით გადავიდა სწრაფი კულტურულ-ეკონომიური განვითარების რელსებზე და ისტორიულად სულ მცირე დროის—25 წლის მანძილზე შესძლო მოეპოვებინა უდიდესი მიღწევები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ნახევრად კოლონიურ, სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან ის გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად.

საბჭოთა საქართველოს სწრაფი ეკონომიური განვითარების საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ მსხვილი მრეწველობის ძირითადი წარმოებითი საშუალებანი მხოლოდ 1927-28—1943 წლებში გაიზარდა 31,3-ჯერ. თითქმის ასეთივე ტემპით იზრდებოდა ელსადგურების სიმძლავრეც. საქართველოს მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებიდან მოსახლეობის ერთ სულზე 1913 წელს მოდიოდა 19 მანეთი, ხოლო 1939 წელს—321,1 მანეთი, ე. ი. 15,8-ჯერ მეტი.

მრეწველობის გაშლილი და განუხრელი აღმავლობის შედეგად 1927-28—1943 წლებში გადიდდა: აბრეშუმჭსოვილის წარმოება—109,4-ჯერ, შალეულისა—16,8-ჯერ, კონსერვებისა—23,6-ჯერ. ზრდის ანალოგიურ ტემპებს გვიჩვენებენ მრეწველობის სხვა დარგებიც, მაგალითად, შავი ბაიხის ჩაის პროდუქციამ 1943 წელს 99,7-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმი არა მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ ნაციონალურ რესპუბლიკებში საერთო მაღალი ტემპით ვითარდებოდა და ვითარდება მრეწველობა, არამედ იმითაც, რომ იგი უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება ოქტომბრის რევოლუციამდე ინდუსტრიულად ჩამორჩენილ ქვეყნებში.

სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვება და მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლა ახალ მაღალ ამოცანებს აყენებს ჩვენს წინაშე. აქამდე შექმნილი და დაგროვილი უდიდესი წარმოებითი გამოცდილება და ძლიერი მატერიალური ბაზა ურყევი საწინდარია იმით მოყენებული ზარალის არა მხოლოდ აღდგენა-გამოსწორებისა, არამედ სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობითი განვითარებისაც, რაც განუხრელად უნდა განხორციელდეს ახალ, მეოთხე ხუთწლედში.

საქართველოს მრეწველობა კიდევ უფრო გიგანტურ ნაბიჯს გადადგამს წინ კომუნისტური საზოგადოების შესაბამისი ინდუსტრიის შექმნისათვის.

გრანდიოზული პერსპექტივებია გადაშლილი კერძოდ **ენერგეტიკული მეურნეობის** დარგში. მეოთხე ხუთწლედის დასასრულს ელექტროენერგიის

სასარგებლო გადაცემა 2,5-3-ჯერ იქნება გადიდებული, რისთვისაც, გარდა მშენებლობაში მყოფი ელსადგურების ამუშავებისა, აიგება ახალი მსხვილი ელექტროსადგურები. ამასთანავე მეტალურგიული მრეწველობის ზრდადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ძალიან უნდა გადიდდეს ქვანახშირის მოპოვება, რაც ჯერ კიდევ 1947 წლის ბოლოს 3-4-ჯერ გადააჭარბებს ახლანდელ დონეს.

მაგრამ მეოთხე ხუთწლედში მწყობრში ჩამდგარ საწარმოთა შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ობიექტი იქნება ამიერკავკასიის **მეტალურგიული ქარხანა.** მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის უშუალო ინიციატორია თვით ამხანაგი **ი. სტალინი.** მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა დაიწყო ჯერ კიდევ 1940 წელს და ახალ ადგილას გაჩაღდა 1944 წლის გაზაფხულზე. ქარხნის დანიშნულებაა სავსებით უზრუნველჰყოს შავი ლითონით, მაღალხარისხოვანი თუჯით და ფოლადებით ამიერკავკასიის რესპუბლიკების მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა; იგი მოგვცემს გაცილებით მეტ ლითონს, ვიდრე ამიერკავკასიას სჭირდება. ეს ზედმეტი ლითონი მოხმარდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობას და უზრუნველჰყოფს ლითონის გატანას ამიერკავკასიის საზღვრებს გარეთაც.

ქარხანა შენდება სრული მეტალურგიული ციკლით, ე. ი. მოიცავს თუჯისა და ფოლადის გამოდნობას და სხვადასხვა სახის ნაგლინისა და მილნაგლინის წარმოებას. ამჟამად ის ლითონი და ლითონის ნაწარმი, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების მრეწველობას და განსაკუთრებით მანქანათმშენებელ ქარხნებსა და ნავთის მრეწველობას დიდი რაოდენობით სჭირდებათ, დონბასიდან და სსრ კავშირის სხვა რაიონებიდან შემოაქვთ.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ეკონომიური წანამძღვრებია ნედლეულისა და საწვავის ადგილობრივი მდიდარი რესურსები და ლითონზე მოთხოვნილების სულ უფრო და უფრო მეტი ზრდა.

მეტალურგიული ქარხანა უზრუნველყოფილია რკინის მადნით, საწვავით და სხვა საჭირო არამადნეული ნედლეულით: რკინის გაუხვებული მადნის მომწოდებელია აზერბაიჯანისა (დაშჭესაწის) და საქართველოს საბადოები, გაუხვებული ქვანახშირისა—ტყიბული და ტყვარჩელი, შამოტისა — შროშა, დინასისა—აჯამეთი, დოლომიტისა—აბანო, ბეტონიტური თიხისა — ასკანა, ტალკისა—სამხრეთ ოსეთი.

რომ წარმოდგენა ვიქონიოთ მეტალურგიული ქარხნის მნიშვნელობაზე საკმარისია გავიხსენოთ ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სიტყვები, რომ ამ ქარხანას ექნება „ორი საბრძმედე ღუმელი 430 ათასი ტონა თუჯის მწარმოებლური სიმძლავრით წელიწადში, 500 ათასი ტონა კოქსის სიმძლავრის ორი საკოქსო ბატარეა, 500 ათასი ტონა ფოლადის საერთო სიმძლავრის 6 მარტენის ღუმელი, 384 ათასი ტონა მზა რთული სხვადასხვაგვარი ნაგლინის სიმძლავრის ექვსი საგლინავი დაზგა".[1]

[1] „კომუნისტი", 1946 წ. № 27.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის გარშემო შენდება ახალი სოციალისტური ქალაქი. ქალაქის მოსახლეობის 50% მოთავსდება ინდივიდუალური ტიპის საცხოვრებელ სახლებში. ქალაქის მშენებლობა ითვალისწინებს მოსახლეობის სრულ კომუნალურ მომსახურებას.

ქალაქს ექნება სინათლე, ჰაერი, წყალი და მწვანეულობა. აქ შეხამებული იქნება ქალაქის მეურნეობის მაღალი მატერიალურ-ტექნიკური ორგანიზაცია და სოფლის ყველა დადებითი მხარე. ახალი სოციალისტური ქალაქი, გენერალური გეგმის თანახმად, თავისი ეკონომიური საფუძვლით იქნება საწარმოო ქალაქი, აგებული ძველი ქართული საქალაქო არქიტექტურის საუკეთესო სტილის ძიებით. ასეთი ქალაქი გაშენდება იმ ადგილას, სადაც შორეულ წარსულში ფეოდალური ციხე იყო, უახლოეს წარსულში კი—საძოვარი და საბოსტნე მინდვრები. ქალაქი გაშენდება მტკვრის ორივე ნაპირზე, რომლებსაც შეაერთებს ხუროთმოძღვრულად გაფორმებული ხიდი, ხოლო ქარხანასთან და სხვა დასახლებულ ადგილებთან მას დააკავშირებს 5 კილომეტრიანი, ძირითადი სწორხაზოვანი მაგისტრალი.

ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი იქნება კოქსის დიდი მომხმარებელი, ხოლო ნახშირის დაკოქსების ბაზაზე უნდა წარმოიქმნას საქართველოს კოქს-ქიმიის (ძირითადი ქიმიის) მრეწველობა.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის გამსხვილებამ გამოიწვია მოთხოვნილების ზრდა **ქიმიური მრეწველობის** პროდუქციაზე. სამთო მინერალური და მცენარეული ნედლეულის ბაზის გაფართოება, ენერგეტიკული მშენებლობის გაშლა უზრუნველჰყოფს დიდი ქიმიის შექმნას და, ამგვარად, ჩვენი ქიმიური მრეწველობის პროდუქციით არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც. საქართველოში ქიმიური მრეწველობის ასეთი განვითარების საფუძველია: კოქსვადი თვისების ნახშირი, რომლის ბაზაზე შეიქმნება კოქს-ქიმიური მრეწველობა; ალუმინის დიდი ოდენობით შემცველი ტყიბულის ნახშირის ფიქალები, რომლებიც სცელიან ბოქსიტებს და რომელთა ბაზაზე შეიქმნება თიხამიწის მნიშვნელოვანი წარმოება; მარგანეცი, რომლის საფუძველზე შეიქმნება მარგანეცის ქიმია—პერმანგანატისა და მარგანეცის ორგანგ-ის. აგრეთვე მარგანეცის საღებავებისა და მარგანეცის სასუქის წარმოება; დარიშხანი; თაბაშირი; მოწამეთისა და კვახჭირის შესანიშნავი ღირსების კირქვები, რომლიდანაც მიიღება კარბიდ-კალციუმი; კაოლინი; გლაუბერის მარილი; ტალკი; მიწის საღებავები; ნავთობი, რომლის ბაზაზე გაიშლება ნავთობის ქიმია; სამკურნალო მცენარეები; მთრიმლავები; ეთერ-ზეთოვანი კულტურები, ხე-ტყე და, დასასრულ, წყლის ენერგიის უმდიდრესი რესურსები, რომლის ბაზაზე შეიქმნება ჩვენი ელექტროქიმია.

ინდუსტრიულ საქართველოს ახლო ხანში შეემატება კიდევ ახალი დარგი—**საავტომობილო მრეწველობა.** ამჟამად უკვე მიმდინარეობს ავტომობილის დიდი ქარხნის მშენებლობა ქუთაისის მახლობლად. სულ მალე ამ ქარხნის კონვეიერიდან ყოველდღიურად ჩამოვა ავტომანქანები. თავისი „სრული სიმძლავრისას ქარხანა წელიწადში გამოუშვებს 30 ათას სამნახევარტონიან ზატვირთო მანქანას" (ლ. ბერია).

საბჭოთა წყობილების საფუძველზე, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით და ამხანაგ ლ. პ. ბერიას მეთაურობით, ქართველმა ხალხმა საქართველო გადააქცია მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად. საბჭოთა კავშირის დიად ოჯახში, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინება. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქართველი ხალხი გამარჯვებული, კიდევ უფრო გამოწრთობილი და დიდი სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული გამოვიდა დიდი სამამულო ომიდან.

ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცდახუთი წლის მანძილზე ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა. იგი საბჭოთა ხალხების დიად სტალინურ ოჯახში დიდი სტალინის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მძლავრად განავითარებს თავის სოციალისტურ სახალხო მეურნეობას და მტკიცე ნაბიჯებით წავა წინ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

ლ. გოგრგილაძე

ლენინი და სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის წარმოშობა ამიერკავკასიაში

ამიერკავკასიისა და საქართველოს რევოლუციური, სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა დღიდან მისი ჩასახვისა მჭიდროდ არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან. ამიერკავკასიის ბოლშევიკებს, რომლებსაც ამხანაგი სტალინი მეთაურობდა, ყოველთვის მხურვალედ უჭერდა მხარს, ეხმარებოდა და ხელმძღვანელობდა ლენინი.

დიდი ლენინის ყველაზე უახლოესი და უერთგულესი თანამებრძოლი, ლენინთან ერთად ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი—ი. ბ. სტალინი მაშინ, რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, როცა ახალი ტიპის პარტია იქმნებოდა, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ლენინური იდეების დანერგვა და ლენინური ორგანიზაციების შექმნა ამიერკავკასიაში განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის სახელთან. ამხანაგმა სტალინმა აღმართა ლენინის დიადი დროშა და საფუძველი ჩაუყარა ლენინურ-ისკრულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ჯერ კიდევ 900-იან წლებში ამხანაგმა სტალინმა და მისმა თანამებრძოლებმა ხელი მოჰკიდეს მუშათა კლასის პარტიის აშენების დიად საქმეს. მათ გააჩაღეს მუშაობა პარტიის აგების ლენინური გეგმისათვის, მათ ამხილეს და იდეურად გაანადგურეს ლეგალური მარქსისტები (ნ. ჟორდანიას ჯგუფი) და ამით შეჰქმნეს აუცილებელი პირობები პროლეტარიატის ერთიანი პოლიტიკური პარტიის შექმნისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ქართველი ლეგალური მარქსისტები იმავე შეხედულებებს ქადაგებდნენ, რასაც რუსი „ეკონომისტები“ და ბერნშტეინელები. ამიტომ ამხანაგ სტალინის ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ქართველი ლეგალური მარქსისტების წინააღმდეგ იყო ამავე დროს ბრძოლა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას საერთო-სარუსეთო და საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა.

თუ რუსეთში „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის შეცდომათა გასწორება და მუშათა მოძრაობასთან მარქსიზმის შეერთების ამოცანის გადაჭრა მოუხდა ვ. ი. ლენინს, საქართველოში რევოლუციური მარქსიზმის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ნაგავისაგან,—რაც იქ შეტანილ იქნა „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობის მიერ, — გაწმენდა და მუშათა მოძრაობასთან მარქსიზმის შეერთების პრაქტიკული განხორციელება მოუხდა ი. ბ. სტალინს.

„მესამე დასის“ უმცირესობამ ამხანაგ სტალინის მეთაურობით საქართველოში პირველმა დაიწყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერ-

თების პრაქტიკული განხორციელება. „მესამე დასის“ უმცირესობის — სტალინის, ქეცხოველისა და წულუკიძის დაუღალავი მუშაობის წყალობით საქართველოს მუშათა მოძრაობა, რომელიც 1898 წლამდე სტიქიურ და არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა, 1899-1900 წლებში შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს იღებს.

როცა ამხანაგი სტალინი ამ ისტორიულ მობრუნებას—პროპაგანდისტულ წრეებში თავმოყრილი მოწინავე მუშების მცირე რაოდენობას შორის მარქსიზმის პროპაგანდიდან მუშათა კლასის ფართო მასებს შორის საბრძოლო პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლას—ახდენდა, იგი ხელმძღვანელობდა ლენინის გენიალური იდეებითა და პრაქტიკული საქმიანობით.

ლენინმა უკვე გასული საუკუნის 90-იან წლებში თავის ადრინდელ შრომებში („რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ. სტრუვეს წიგნში“ და სხვ.) რუსეთის მარქსისტების წინაშე დასახა ძირითადი საბრძოლო ამოცანები. ლენინი პირველ რიგში მოითხოვდა დაჭაქანებული მარქსისტული წრეებიდან ერთიანი კომუნისტური პარტიის შექმნას. ლენინი მიუთითებდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური კავშირის აუცილებლობაზე, როგორც ცარიზმის დამხობის მთავარ საშუალებაზე. ლენინმა წამოაყენა აგრეთვე ამოცანა მუშათა წრეებში მარქსიზმის პროპაგანდიდან ფართო პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლისა. მაგრამ ლენინმა არა მარტო წამოაყენა ეს ამოცანა, არამედ ამავე დროს მის მიერ შექმნილი პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ (1895 წ.) საშუალებით თვით მოახდინა ეს მობრუნება. ლენინმა განახორციელა მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთება.

ლენინის ამ სახელმძღვანელო იდეებმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს ამხანაგ სტალინზე და განსაზღვრეს მისი ბრძოლისა და მოღვაწეობის გზა. **„ლენინის ნაწარმოებთა შესწავლამ,** — ამბობს ამხ. ლ. ბერია,—**განსაზღვრა ის გზა, რომელსაც დაადგა ამხანაგი სტალინი თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე.** ეს იყო გზა პროლეტარიატის ნამდვილი რევოლუციური პარტიის შექმნისა და განმტკიცებისა, მუშათა კლასის აშკარა პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციისა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად“.

ამხანაგი სტალინი ლენინის ნაწარმოებებს გაეცნო ჯერ კიდევ ჰაბუკობის წლებში, თბილისის სასულიერო სემინარიაში ყოფნის დროს. ამხანაგმა სტალინმა უკვე მაშინ წაიკითხა ლენინის შრომები: „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ. სტრუვეს წიგნში“. ამხანაგი სტალინი იმთავითვე, ლენინის ნაწარმოებთა შესწავლისთანავე გახდა ლენინელი.

თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ამხანაგი სტალინი ლენინის იდეით გაიმსჭვალა და ლენინის გზით წავიდა. ამხანაგმა სტალინმა უკვე მაშინ ლენინში დაინახა ბელადი და მასწავლებელი, პარტიის შემქმნელი, უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელი, მთის არწივი, „ბრძოლაში უშიშარი და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის უვალ გზებზე პარტიის გაბედულად წინ წამყვანი“ (იხ. ი. სტალინი, „ლენინის შესახებ“, გვ. 36).

ამხანაგ სტალინსა და მის თანამებრძოლებს, მსგავსად ლენინის „მუშა-

თა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირისა", მუშათა კლასში გარედან შეაქვთ სოციალისტური შეგნება და 1899-1900 წლებში საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატის ბრძოლა გადააქვთ აშკარა პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე. 1899 წელს თბილისში ქალაქგარეთ პირველად შეწყობა მაისობა. ამ მაისობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მით იწყება, როგორც გაზეთი „ბრძოლა" მიუთითებს, შეგნებული და ორგანიზებული მუშათა მოძრაობა საქართველოში. 1900 წელს აგვისტოში ეწყობა თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა გრანდიოზული ვაფიცება, რომელშიც მონაწილეობდა 4 ათასი მუშა. ამ გაფიცვით „მუშათა მოძრაობა ჩვენში მტკიცედ ადგება პოლიტიკური ბრძოლის გზას" („ბრძოლა"). 1901 წელს თბილისის მუშები ქალაქის ცენტრში აწყობენ საპირველმაისო დემონსტრაციას. ეს იყო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა.

აი როგორი შეფასება მისცა მას, თბილისის მუშების ამ პირველ საპირველმაისო დემონსტრაციას, ლენინურმა „ისკრამ":

„ის ამბავი, რომელიც კვირას, 22 აპრილს (ძველი სტილით), მოხდა თბილისში, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა" („ისკრა" № 6, 1901 წ. ივლისი).

1902 წელს ბათუმში ხდება გრანდიოზული გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლებმაც დიდი გამარევოლუციურებელი გაელენა მოახდინეს მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაზე და ნიადაგი მოუმზადეს პირველი რევოლუციის გრანდიოზულ გაჭანებას ჩვენში.

ასე წარმართა „მესამე დასის" უმცირესობამ სტალინის მეთაურობით საქართველოს მუშათა მოძრაობა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, აშკარა პოლიტიკური ბრძოლის გზით.

ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატების მუშაობა თავიდანვე მხურვალე გამოხმაურებასა და მხარდაჭერას ხახულობდა ლენინისა და ლენინური „ისკრის" მხრივ. ლენინს თავიდანვე ჰქონდა გაცხარებული მიმოწერა ამიერკავკასიის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებთან, აძლევდა მათ დირექტივებსა და მითითებებს, განაზოგადებდა მათ გამოცდილებას. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობას და მაღალ შეფასებას აძლევდა მათ ბრძოლას ბოლშევიზმის პრინციპებისათვის. ლენინური „ისკრა" უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალს ამიერკავკასიის რევოლუციონერთა მუშაობას, სისტემატურად ათავსებდა მათი მუშაობის შესახებ კორესპონდენციებს, აწვდიდა „ისკრის" მკითხველებს ცნობებს პარტიული მუშაობისა და რევოლუციური ბრძოლის შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ლენინური „ისკრა" ფართოდ აშუქებდა ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატების მარქსისტული პარტიის აგების ლენინური გეგმისათვის ბრძოლის მდიდარ და მრავალფეროვან გამოცდილებას.

ლენინური „ისკრა" 1902 წელს თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ სწერდა: „პარტიის ადგილობრივმა კომიტეტმა, დარწმუნებულმა ხელსაყრელი ვითარების არსებობაში, უდიდესი ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობა გაიჩაღა. რამდენიმე თვის განმავლობაში გაჩნდა ქართულ ენაზე გაზეთი („ბრძოლა") და რამდენიმე თარგმნილი ბროშურა. ჩი-

ნებულად დაწერილი პროკლამაციები გამოდიოდა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე და ეფინებოდა თბილისის ყველა უბანს. ყოველთვის გამოდიოდა მუშათა სალაროს ანგარიშები. კომიტეტის პროპაგანდის გავლენა საზოგადოების სხვა ელემენტებსაც დაეტყო“ („ისკრა“ № 25, 1902 წ. 15.IX).

ლენინური „ისკრა“ აქ ლაპარაკობს 1901 წლის ნოემბერში სტალინის მეთაურობით შექმნილი რსდმპ-ს ლენინურ-ისკრული მიმართულების თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ. ახლად არჩეულმა თბილისის კომიტეტმა დიდი პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა გააჩაღა, განამტკიცა ორგანიზაცია, გააძლიერა არალეგალური მუშაობა, მოაწყო არალეგალური ლიტერატურის (ბროშურების, პროკლამაციების, ფურცლების) გამოცემა და გავრცელება, დაამყარა კავშირი ლენინურ „ისკრასთან“ და შეუდგა საქართველოში ლენინურ-ისკრული პრინციპების დანერგვას.

ლენინი მარქსისტული პარტიის შექმნისა და ჩამოყალიბების საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მებრძოლ პოლიტიკურ გაზეთს. პარტიის შექმნის პერიოდში არალეგალური რევოლუციური გაზეთი გადამწყვეტი როლი იყო იმ ამოცანათა ჯაჭვში, რომლებიც მაშინ ჩვენი პარტიის წინაშე იდგა.

არალეგალური პრესის ორგანიზაციის საკითხი მთელი სიმწვავით იდგა ამ პერიოდში არა მარტო რუსეთში, არამედ ჩვენშიც, საქართველოში. სწორედ ამ საკითხის გარშემო იჩინა თავი ჯერ კიდევ 1898 წელს პირველმა მწვავე უთანხმოებამ „მესამე დასის“ ოპორტუნისტულ უმრავლესობასა და რევოლუციურ უმცირესობას შორის. უკვე მაშინ, 1898 წელს, უმცირესობამ —სტალინმა, კეცხოველმა და წულუკიძემ — გადაჭრით წამოაყენა არალეგალური რევოლუციური გაზეთის შექმნის გადაუდებელი ამოცანა. უმცირესობა მებრძოლ რევოლუციურ არალეგალურ გაზეთს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რევოლუციური მასების დარაზმვისა და პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიის შექმნის საქმეში. მებრძოლი პოლიტიკური გაზეთი უნდა გამხდარიყო პარტიის როგორც იდეური დარაზმვის, ისე ორგანიზაციული გაერთიანების მძლავრი საშუალება.

რევოლუციური უმცირესობა არალეგალური რევოლუციური გაზეთის შექმნით მიზნად ისახავდა გაეწია რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდა, დაერაზმა მასები ცარიზმის წინააღმდეგ აშკარა პოლიტიკური ბრძოლისათვის და ჩამოეყალიბებინა მუშათა კლასის პოლიტიკური პარტია, ავრეთვე ემხილებინა „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობა და მისი ლეგალური ორგანოს—გაზეთ „კვალის“ ლეგალურ-მარქსისტული, ოპორტუნისტული ბუნება.

ამხანაგ სტალინისა და ლადო კეცხოველის დიდი მოსამზადებელი მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა 1901 წლის დამდეგს ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უდიდესი სტამბის მოწყობა, ხოლო ამავე წლის სექტემბერში თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის არალეგალური ორგანოს გაზეთ „ბრძოლის“ გამოცემა.

ლ. კეცხოველმა კავშირი დაამყარა ლენინთან და მისი დავალებით ბაქოს არალეგალურ სტამბაში ლენინურ გაზეთ „ისკრის“ გადაბეჭდვის საქმის ორგანიზაციას შეუდგა. ასტრახანში გადასახლებულ ისკრელ კნიპოვიჩს, რომელსაც კავშირი ჰქონდა ბაქოს სტამბასთან, კრუპსკაია ლენინის დავა-

ლებით 1901 წლის 28 მაისს სწერდა, რომ რუსეთში „ისკრის" გადაბეჭდვის პოწყობა „ჩინებული იქნებოდა, და ჩვენ ვოცნებობთ საქმის ასე დაყენების შესახებ". კრუპსკაიას წერილს ლენინის მიერ მიწერილი აქვს: „ჩვენ მზადა ვართ ორივე ხელი ჩავუდოთ ამ გეგმას" (ლენინის კრებული, VIII, 145-146). კეცხოველის სტამბაში გადაიბეჭდა ლენინური „ისკრის" №№ 7, 8, 9, 10, 11, 12. ბაქოს სტამბაში კეცხოველის მიერ გამრავლებული „ისკრა" ფართოდ ვრცელდებოდა კავკასიის და სამხრეთ რუსეთის ქალაქებში.

„ბრძოლა" იყო ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთი. საუკეთესო მარქსისტული გაზეთი რუსეთში „ისკრის" შემდეგ. იგი ეწეოდა ლენინურ-ისკრული იდეების დაუღალავ პროპაგანდას ამიერკავკასიაში. „ბრძოლა" გაჟღენთილია რევოლუციური აზრით და გრძნობით, სულისკვეთებით და მოქმედებით, ლენინის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულებით. „ბრძოლის" სახელმძღვანელო სტატიები შემოქმედებითი, რევოლუციური მარქსიზმის ბრწყინვალე ნაწარმოებებია, რომლებშიც მოცემულია ლენინის გენიალური იდეების დაცვა, დასაბუთება და განვითარება.

სტალინური „ბრძოლა" ყოველგვარი სახის ოპორტუნისტების, ბერნშტეინელების, ეკონომისტების, ქართველი ლეგალური მარქსისტების წინააღმდეგ ბრძოლაში იცავს და ასაბუთებს ლენინურ თვალსაზრისს არალეგალური პოლიტიკური გაზეთის შექმნის, პროპაგანდიდან აგიტაციაზე გადასვლის, პროლეტარიატის ჰეგემონიისა და პროლეტარული პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ.

სტალინური „ბრძოლა" გაღაჭრით იცავს და ქადაგებს ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციაში მუშათა კლასის ჰეგემონიის ლენინურ იდეას. ლენინი „ისკრის" საპროგრამო სტატიაში—„ჩვენი საარსებო ამოცანები" მიუთითებდა, რომ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად დარაზმული პროლეტარიატი, თანამედროვე რუსეთის ეს ყველაზე რევოლუციური კლასი, შესძლებს შეასრულოს მასზე დაკისრებული ისტორიული ამოცანა—„გაერთიანოს თავისი დროშის ქვეშ ქვეყნის ყველა დემოკრატიული ელემენტი და დაამთავროს მთელ რიგ დალუპულ თაობათა მეფგარი ბრძოლა საბოლოო გამარჯვებით საძაგელ რეჟიმზე".

ლენინის ამ აზრს იცავდა და ასაბუთებდა სტალინური „ბრძოლა". იგი სწერდა:

„მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატი არის ისტორიიდან ამორჩეული, როგორც გამანთავისუფლებელი მთელი კაცობრიობისა და ქვეყნად ბედნიერების დამამყარებელი".

შემდეგ:

„სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდა გამოიყენოს ახლად დაწყებული ქარხნის მოძრაობა, თავის ხელში უნდა აიღოს დროშა რუსეთის დემოკრატიისა და გაუძღვეს ყველასათვის სანატრელ გამარჯვებისაკენ".

ბოლოს:

„... სანამ პოლიტიკური ძალა არ გადავა პროლეტარიატის ხელში (დიქტატურა პროლეტარიატისა), შეუძლებელია შეიცვალოს არსებული წყობილება".

„ბრძოლა" საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წინაშე სახავს ძირითად საბრძოლო ამოცანებს. „ბრძოლა" პირველ რიგში აყენებს, ანალოგიურად ლენინური „ისკრისა", რევოლუციური მუშათა პარტიის

ორგანიზაციის ამოცანას. „ბრძოლა“ „ისკრის“ კვალდაკვალ ხთვლის, რომ პარტია უნდა იყოს მუშათა კლასის მოწინავე რაზმი, მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელი ძალა, რომელიც გააერთიანებს და წარმართავს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას.

„ბრძოლა“ სწერდა: „სოციალ-დემოკრატიას სჭირიან ძლიერი და მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაცია, სჭირიან ორგანიზაცია პარტიისა, რომელიც შეკავშირებული იქნება მარტო სახელით კი არა, თვით ძირითად აზრით და შეხედულებებით ტაქტიკურ კითხვებზე. ჩვენი მოვალეობაა ვიმუშაოთ იმ ძლიერი პარტიის შესაქმნელად, რომელიც იქნება აღჭურვილი მტკიცე პრინციპებით და გაუტეხელი კონსპირაციით... ხელმძღვანელობის როლისათვის მუშათა კლასი უნდა მოეწყოს თვითმოქმედ პოლიტიკურ პარტიად“.

„ბრძოლა“ ლენინურ-ისკრული პოზიციებიდან ააშკარავებს ქართველ ლეგალურ მარქსისტებს, რუს ეკონომისტებს და ბერნშტეინელებს, რომლებიც ქედს იხრიდნენ სტიქიურობის წინაშე და უარჰყოფდნენ შეგნებულობის როლს მუშათა მოძრაობაში, უარჰყოფდნენ რევოლუციური თეორიისა და პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობას.

„ბრძოლამ“ ბრწყინვალედ დაასაბუთა ლენინის გენიალური დებულება მუშათა მოძრაობაში სოციალისტური ცნობიერების გარედან შეტანის შესახებ. მან ცხადჰყო, რომ ჩვენი ქვეყნის სტიქიური მუშათა მოძრაობა ვერ ამაღლდებოდა შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის სიმაღლემდე, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნება რომ არ შეეტანათ.

სტალინურმა „ბრძოლამ“ დაასაბუთა და მაღლა აიყვანა შეგნებულობის (თეორიის. პარტიის) როლი, როგორც მუშათა მოძრაობის გამარევოლუციურებელი და ხელმძღვანელი ძალისა. „ბრძოლა“ ამტკიცებს, რომ მხოლოდ თეორიის საშუალებით შესძლებს მუშათა კლასი შეიცნოს აწმყო და განჭვრიტოს მომავალი. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მოვალეობაა „მისცეს გარკვეული პასუხი მუშების მოძრაობიდან გამოწვეულ ყოველ კითხვაზედ, გაურკვიოს პრინციპიალური კითხვები, აუხსნას თეორიულად მუშათა კლასის როლი ბრძოლაში და მეცნიერული სოციალიზმის შუქით გააანათოს ყველა მოვლენა, რასაც კი ხედავს მუშა“.

საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატების წინაშე იდგა არა მარტო ქართველი თავად-აზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის აშკარა შოვინისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა, არამედ ამავე დროს, რაც მთავარია. მარქსიზმის სამოსელში გახვეული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანაც. აუცილებელი იყო ნაციონალისტურ პოზიციებზე მდგომი „მესამე დასის“ უმრავლესობის მხილება და განადგურება. ამ ამოცანის შეუსრულებლად შეუძლებელი იყო ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე აგებული მარქსისტული მუშათა პარტიის შექმნა და ცარიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაცია. ამიტომ იყო, რომ გაზეთი „ბრძოლა“ ასე დიდ ყურადღებას აქცევდა „მესამე დასის“ უმრავლესობის და მისი ორგანოს გაზეთ „კვალის“ ოპორტუნისტული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოზიციის მხილებისა და მასების ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს.

„ბრძოლა“ ნათელჰყოფს, რომ მხოლოდ პროლეტარიატის ხელმძღვანელობით შეიძლება მიღწეულ იქნას ნაციონალური კითხვის დადებითად გადაწყვეტა, მხოლოდ პროლეტარიატის ხელმძღვანელობით შეიძლება მიღწეულ იქნას დემოკრატიული წყობილების შექმნა, ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა და ერის თვითგამორკვევის პრინციპის ნამდვილი განხორციელება.

სტალინური „ბრძოლა“ სწერდა:

„პროლეტარიატის დემოკრატიული პროგრამა სავსებით შეიცავს დაჩაგრულ ერების ინტერესებს, ეროვნულ თავისუფლებას და ამ ერებს სრული ნდობით შეუძლიათ გაჰყვნენ პროლეტარიატს დემოკრატიისათვის ბრძოლაში“.

„ბრძოლა“ ნათელჰყოფს ნაციონალური საკითხის განუყოფელ კავშირს საერთო დემოკრატიულ მოძრაობასთან, ხაზს უსვამს ნაციონალური საკითხის პროლეტარიატის გამარჯვების ინტერესებისადმი დამორჩილების აუცილებლობას. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიულ-ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს კი არ უნდა ექვემდებარებოდეს, როგორც ამას „მესამე დასის“ უმრავლესობა ამტკიცებდა, არამედ, როგორც საერთო-დემოკრატიული მოძრაობის ნაწილი, მთელს უნდა ექვემდებარებოდეს და მთელის თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული. „ბრძოლა“ ოსტატურად იყენებს მარქსისტულ დიალექტიკურ მეთოდს და მოითხოვს ნაციონალური საკითხისადმი კონკრეტულ მიდგომას, ნაციონალური მოძრაობის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით განხილვას.

„მესამე დასის“ უმცირესობა დიდ თეორიულ მუშაობასთან ერთად დიდ პრაქტიკულ-ორგანიზაციულ მუშაობასაც ეწეოდა. ი. სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების ლ. კეცხოველისა და ა. წულუკიძის მუშაობასთან და სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული არა მარტო რევოლუციური მარქსიზმის, ლენინის იდეების დამკვიდრება საქართველოში, არამედ აგრეთვე პირველი ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნაც.

პარტიის II ყრილობის შემდეგ, უმთავრესად 1904 წლის დამლევს და 1905 წლის დამდეგს, „მესამე დასში“ არსებული უთანხმოება უმრავლესობასა და უმცირესობას შორის გადაიზარდა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის არსებულ საერთო უთანხმოებაში. „მესამე დასის“ უმრავლესობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით მთლიანად დადგა მენშევიზმის პოზიციებზე, ხოლო უმცირესობა სტალინის მეთაურობით ბოლშევიზმის პოზიციებზე.

ლენინი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას, მზრუნველობით ეკიდებოდა საქართველოს ბოლშევიკების რევოლუციურ მოღვაწეობას და მხურვალედ უჭერდა მხარს ქართველი მენშევიკების წინააღმდეგ მათ ცხარე ბრძოლას, რომელსაც საერთო-სარუსეთო მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ კიდევ 1903 წლის ოქტომბერში ლენინი კავკასიის კავშირის კომიტეტს სწერდა: „დაე კავკასიელმა ამხანაგებმა მტკიცედ იარონ იმ გზით, რომელსაც ისინი დაადგნენ. დაე ყურს ნუ უგდებენ ჰორებს ბოლშევიკების წინააღმდეგ... ვუგზავნით სალამს კავკასიელ ამხანაგებს და მხურვალე სურვილებს მუშაობაში“ (ტ. XXVIII. გვ. 353-354).

II ყრილობის შემდეგ, როცა, მენშევიკების ლიდერების გამთიშველი

დეზორგანიზატორული მოქმედების შედეგად, პარტიის შიგნით ბრძოლა გამწვავდა. ამიერკავკასიის ბოლშევიკები მჭიდროდ ირაზმებიან ლენინისა და მისი ერთგული მიმდევრის, ამხანაგ სტალინის გარშემო.

პარტიისათვის ამ მძიმე დღეებში მყარდება წერილობითი კავშირურთიერთობა ლენინსა და სტალინს შორის. ლენინზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა სტალინის წერილმა. ამხანაგი სტალინი თავის წერილში მხურვალედ უჭერდა მხარს ლენინს პარტიულობისათვის ბრძოლაში. ლენინი თავის პასუხში, რომელიც ამხანაგმა სტალინმა მიიღო 1903 წლის დამლევს დასავლეთ ციმბირში გადასახლებაში, სტალინს სწერდა იმ ამოცანების შესახებ, რომელნიც მაშინ ჩვენი პარტიის წინაშე იდგა.

„ლენინის წერილი, — მოგვითხრობს თავის მოგონებაში ამხანაგი სტალინი, — შედარებით პატარა იყო, მაგრამ ის იძლეოდა ჩვენი პარტიის პრაქტიკის გაბედულს, ტაშიშარ კრიტიკას და მასში შესანიშნავი სიცხადით და შეკუმშულობით იყო მოცემული პარტიის მუშაობის მთელი გეგმა უახლოესი პერიოდისათვის. მხოლოდ ლენინს შეეძლო უაღრესად დახლართულ საგნებზე ასე უბრალოდ, გარკვევით, შეკუმშულად და გაბედულად წერა, როდესაც თვითეული ფრაზა კი არ ლაპარაკობს, არამედ ტყვიასავით ვარდება. ამ უბრალო და გაბედულმა პატარა წერილმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩემში ის აზრი, რომ ლენინის სახით ჩვენ გვყავს ჩვენი პარტიის მთის არწივი“ (ი. სტალინი. „ლენინის შესახებ“. გვ. 36).

როგორც ცნობილია, III ყრილობისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ამხანაგმა სტალინმა, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა. ამიერკავკასიის ბოლშევიკები ლენინის უერთგულესი თანამემწენი იყვნენ პარტიის ახალი III ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლაში. ლენინი 1904 წლის 10 ნოემბერს ჟენევიდან ბაქოში სტეპანს სწერდა პარტიის III ყრილობის მოწვევის აუცილებლობაზე. ლენინს საჭიროდ მიაჩნდა დაუყოვნებლივ გატარებული ყოფილიყო შემდეგი ღონისძიებანი: პირველი, ბოლშევიკების ყველა კომიტეტის გაერთიანება და ბოლშევიკების კომიტეტების ბიუროს შექმნა. მეორე, ბოლშევიკურ გამოცემათა ორგანიზაცია და მისი გაფართოება. „აუცილებლად შეეცადეთ,—სწერდა ლენინი, — თბილისში რაც შეიძლება მალე ჩასვლას. ერთისა და მეორის გადაცემას. დაე შემოგვიერთდნენ რაც შეიძლება მალე, დაუყოვნებლივ გამოგვეხმაურონ კავკასიის“ ყველა კომიტეტები ბიუროს შესახებ, ე. ი. მოგვწერონ... შეეცადეთ ღვთის გულისათვის, რათა ეს პირველი მნიშვნელობის საქმე გაკეთებული იქნას აკურატულად, გონიერულად და სწრაფად“ (ტ. XXVIII, გვ. 383).

ამხანაგმა სტალინმა ეს დიდი საქმე გააკეთა ისე, როგორც მოითხოვდა ლენინი, „აკურატულად, გონიერულად და სწრაფად“. კავკასიის კავშირის კომიტეტი სტალინის ხელმძღვანელობით კავშირს სწყვეტს მენშევიკურ ცენტრალურ კომიტეტთან და შლის ბრძოლას პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის. 1904 წლის ნოემბერში თბილისში მოწვეულ იქნა კავკასიის კომიტეტების ბოლშევიკური კონფერენცია. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო:

„პარტიული კრიზისი, რომელიც II ყრილობის დამთავრებისთანავე წარმოიშვა იმის გამო, რომ ეგრეთწოდებულ „უმცირესობას“ არ სურდა დამორჩილებოდა პარტიულ დისციპლინას, ყრილობის მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში პარტიას საშუალებას არ აძლევდა რამდენადმე მაინც

დაშაკმაყოფილებელი მომსახურება გაეწია რუსეთის პროლეტარიატის ინტერესებისათვის...

შინაპარტიული მშვიდობიანობის ინტერესებისათვის აუცილებელი, სასწრაფოდ მოწვეული საგანგებო ყრილობა ფრიად საჭიროა ახლანდელი ისტორიული მომენტის პირობათა გამოც, რომელიც მოითხოვს პარტიის ცალკეულ ნაწილთა მოქმედების **განსაკუთრებულ** შეთანხმებას და ერთიანობას შეფის თვითმპყრობელობაზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად" (ლ. ბერია, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 45-46).

თბილისის მენშევიკურმა კომიტეტმა 1905 წლის 17 იანვარს უარჰყო კავშირის კომიტეტის დირექტივების გატარება და კავშირიდან გავიდა. ამის საპასუხოდ კავშირის კომიტეტმა დაშალა თბილისის მენშევიკური კომიტეტი. ამ ამბებთან დაკავშირებით კავშირის კომიტეტის მიერ გამოცემულ სპეციალურ ფურცელში: **„თბილისის შეერთებულ მუშებს"**, რომელიც ამხანაგი სტალინის მიერ არის დაწერილი, ნათქვამია:

„იმ დროს, როცა ჩვენ ერთმანეთს ხელს უნდა ეუწოდებდეთ და ძმათ ეფიცებოდეთ, თბილისის კომიტეტი კავშირს გვაწყვეტინებს სხვა კავკასიელ ამხანაგებთან და მთელ პარტიასთან. ჩვენი ვალია ჩამოვშორდეთ ასეთ საქმის ამრევ პირებს და თავი მოვიყაროთ კავშირის კომიტეტისაგან დაარსებულ თბილისის **ახალი კომიტეტის** გარშემო: მაშ მივცეთ ხელი ერთმანეთს და ვიბრძოლოთ ახალი კომიტეტის ხელმძღვანელობით!" (კრებ. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904-1906 წ. წ.". გვ. 96).

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით 1904 წლის ივნისში დაშლილ იქნა ბაქოს მენშევიკური კომიტეტი და მის ნაცვლად შექმნილ იქნა ბოლშევიკური კომიტეტი. ახალმა კომიტეტმა კავშირის კომიტეტის სანქციით დაშალა შჩენდრიკოვის ორგანიზაცია, ეგრეთწოდებული „ბალახანის და ბიბიეიბათის მუშათა ორგანიზაცია", რომელიც მოწყობილი იყო ძმების შჩენდრიკოვების მიერ. ეს ორგანიზაცია გამოდიოდა უპარტიობის ღროშით, მაგრამ აშკარა მენშევიკურ პროპაგანდას ეწეოდა და არსებითად ზუბატოვ-გაპონის ორგანიზაციის ტიპისა იყო.

ბაქოს დაშლილი მენშევიკური კომიტეტის წევრებმა საკითხი კომიტეტისა და შჩენდრიკოვის ორგანიზაციის დაშლის შესახებ გადაიტანეს რსდმპ-ს მენშევიკური პარტიის საბჭოში.

1904 წლის 3 სექტემბერს მოწვეულ იქნა პარტიის საბჭოს სხდომა, რომელზეც დაისვა საკითხი „პარტიის ბაქოს კომიტეტსა და კავკასიის კავშირს შორის არსებული კონფლიქტის შესახებ". საბჭომ მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ბაქოს წინანდელი კომიტეტი ცნობილ იქნას კანონიერად, ხოლო ახალი კომიტეტი არ იქნას ცნობილი. „ვიდრე საბოლოოდ არ მოგვარდება კონფლიქტი წინანდელ კომიტეტსა და კავკასიის კავშირის კომიტეტს შორის" (იხ. „ისკრა", № 73-74-ს დამატება). ამრიგად, როგორც პარტიის მენშევიკურმა საბჭომ, ისე მენშევიკურმა „ისკრის" რედაქციამ ოფიციალურად აღიარეს შჩენდრიკოველთა ორგანიზაცია პარტიულ ორგანიზაციად.

კავკასიის კავშირის კომიტეტი პარტიის საბჭოს ამ დადგენილების საპასუხოდ გამოცემულ ფურცელში სწერდა:

„პარტიის საბჭოს გადაწყვეტილება ბაქოს კომიტეტის წინანდელი შემადგენლობის კანონიერების შესახებ დამყარებულია საქმის ცალმხრივად და არასრულად გაცნობასთან... „ისკრის“ რედაქციამ ძლიერ იჩქარა თავისი ქება-დიდებით იმ „ჯგუფის“ მისამართით, რომელიც თავის თავს უწოდებს „ბალახანის რაიონის შეგნებული მუშები“—რადგან მისი შეხედულებებისა და დაბეჭდილი ნაწარმოებების და საერთოდ მთელი მისი საქმიანობის ახლოს გაცნობა უეჭველად აიძულებდა „ისკრის“ რედაქციას დათანხმებოდა ბ. კ-სა და კ. კ-ს, რომელნიც აღნიშნულ „ჯგუფს“ სამართლიანად აღიარებენ არაპარტიულად, ხოლო მის მოქმედებას უწოდებენ დეზორგანიზატორულს, მავნეს“. (მ. ე. ლ. ინსტ. თბილისის ფილიალის არქივი, ფ. 31).

კავშირის კომიტეტმა დაჰგმო პარტიის საბჭოს ფრაქციული და დეზორგანიზატორული მოქმედება და ხაზგასმით ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ „ბაქოს კომიტეტი ახლანდელი შემადგენლობით რსდმპ ერთადერთი წარმომადგენელია ქ. ბაქოში“.

ლენინი გულდასმით ადევნებდა თვალყურს საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლას III ყრილობისათვის და მაღალ შეფასებას აძლევდა მას. 1904 წლის დეკემბერში ლენინი კავკასიის კავშირის კომიტეტს ჟენევიდან სწერდა:

„ძვირფასო ამხანაგებო! აი ახლა მივიღე თქვენი კონფერენციის რეზოლუციები. უეჭველად გამოგზავნეთ კიდევ უფრო გულდასმით გადაღებული ასლი, ბევრი რამ გაურკვეველია. უეჭველად განახორციელეთ აგრეთვე თქვენი ჩინებული გეგმა — თქვენი სპეციალური დელეგატის გამოგზავნისა...

თქვენ კიდევ არ იცნობთ საბჭოს და ცენტრალური კომიტეტის ყველა დოკუმენტს და ყველა სისაძაგლეს. იოტის ოდენა ეჭვიც კი არ არსებობს, რომ მათ უკვე ჩაშალეს III ყრილობა და ახლა გასთიშავენ ყველა კომიტეტს. დაუყოვნებლივ საჭიროა: 1) უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს შექმნა, 2) ყრილობის ყველა საქმისა და კომიტეტების მთელი ხელმძღვანელობის მისთვის გადაცემა, 3) დახმარების გაწევა ჩვენი ორგანო „ვპერიოდისათვის“, 4) თქვენი რეზოლუციების გამოქვეყნება (გვაძლევთ თუ არა ჩვენ ამის რწმუნებას?) და განცხადება ბიუროს შესახებ. გვიპასუხეთ, გეთაყვა, ჩქარა“. (XXVIII, გვ. 395).

ამიერკავკასიის ბოლშევიკები მხურვალედ გამოეხმაურნენ ლენინს. როგორც ცნობილია, ბოლშევიკური კომიტეტების სამ საოლქო კონფერენციაზე (ერთ-ერთი კავკასიისა იყო) არჩეულ იქნა, როგორც ლენინი მოითხოვდა, ბოლშევიკური კომიტეტების ბიურო, რომელიც შეუდგა პრაქტიკულ მზადებას პარტიის III ყრილობისათვის.

როგორც კი ცნობილი გახდა, რომ ლენინის მიერ გამოცემული იქნება გაზეთი „ვპერიოდი“, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა შეჰქმნეს სპეციალური ლიტერატურული ჯგუფი „ვპერიოდის“ დასახმარებლად. ამავე დროს სთხოვეს ლენინს ეთანამშრომლნა მათ ორგანო „პროლეტარიატის ბრძოლაში“. 1904 წლის 20 დეკემბერს ლენინი თავის პასუხში კავკასიის კავშირის კომიტეტს სწერდა:

„ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე თქვენი წერილი „პროლეტარიატის ბრძოლის“ შესახებ. შევეცდები დავწერო და გადავცემ ამხანაგ რედაქტორებს. ახლა ძლიერ გართული ვარ მუშაობით ახალი ორგანოსათვის. ამის შესახებ თქვენ

უკვე გამოგიგზავნეთ ერცელი წერილი. ჩქარა გვიპასუხეთ და გამოგვიგზავნეთ, გუთაყვა, რაც შეიძლება ბევრი, ბევრი და ბევრი მუშათა კორესპონდენციები. ახლა განსაკუთრებით თქვენზეა დამოკიდებული ორგანოს წარმატება, ვინაიდან დასაწყისი განსაკუთრებით ძნელია“ (ლენინის კრებული, XV, გვ. 267).

თუ როგორ მხურვალედ გამოეხმაურნენ ლენინის მოწოდებას ამიერკავკასიის ბოლშევიკები, ცხადჰყოფს ის მრავალი კორესპონდენციები და სტატიები ამიერკავკასიაში პარტიული მუშაობისა და რევოლუციური მოძრაობის შესახებ, რომლებიც იბეჭდებოდა ლენინურ გაზეთებში — ჯერ „ეპერიოდში“, ხოლო შემდეგ „პროლეტარში“.

დიდი დაუღალავი მუშაობის შედეგად, რომელშიც საგრძნობი ადგილი უკავია კავკასიის ბოლშევიკების ბრძოლას II ყრილობისათვის, შესაძლებელი გახდა 1905 წლის აპრილში ყრილობის გახსნა.

პარტიის III ყრილობამ ლენინის წინადადებით სპეციალურად განიხილა საკითხი რევოლუციის შესახებ კავკასიაში. ყრილობამ განსაკუთრებით აღნიშნა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის, როგორც „ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლი ორგანიზაციის“ მუშაობა, აგრეთვე რევოლუციის მძლავრი გაქანება საქართველოსა და ამიერკავკასიაში და მიუთითა ამიერკავკასიის მასების რევოლუციური აღზრდისა და დარაზმვის საქმეში ბოლშევიკური ორგანიზაციების მიერ გაწეულ დიდ მუშაობაზე. ყრილობა ლენინის წინადადებით მიესალმა ამიერკავკასიის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას და მოუწოდა რუსეთის ყველა პარტიულ ორგანიზაციას ყველა საშუალებით მხარი დაეჭირათ კავკასიის აჯანყებული მუშებისა და გლეხებისათვის, რევოლუციისათვის კავკასიაში.

პარტიის III ყრილობის რეზოლუციაში, რომელიც ლენინის მიერ იყო დაწერილი, ნათქვამია: „რსდმპ III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უძღვნის კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას და ავალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს მიიღონ უაღრესად ენერგიული ზომები კავკასიაში არსებული საქმის ვითარების შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო საუბრებისა და სხვა გზით, აგრეთვე კავკასიისათვის დროზე დასახმარებლად მათს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით“. (საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმის რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“. ნაწ. I, გვ. 50).

III ყრილობის ტაქტიკური დადგენილებებით შეიარაღებულმა ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გააჩაღეს ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ საერთო-სახალხო შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციისათვის. ლენინი სტატიაში **„რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის ტაქტიკა“**, ლაპარაკობდა რა კავკასიაში შეიარაღებული აჯანყების შესახებ, მიუთითებდა, რომ ამ მხრივ გაგვასწრო კავკასიამ, „სადაც აჯანყება ყველაზე უკეთესად არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე ძლიერ და მკაფიოდ არის გამოხატული“ (ტ. IX, გვ. 27).

რევოლუციური მასების დარაზმვისა და ბოლშევიზმის დანერგვის საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა კავკასიის კავშირის ორგანომ — „პროლეტარიატის ბრძოლამ“, რომელსაც ამხანაგი სტალინი რედაქტორობდა. ცენტრალური ორგანოს — ლენინური „პროლეტარის“ შემდეგ

სტალინური „პროლეტარიატის ბრძოლა“ ყველაზე უკეთესი ბოლშევიკური გაზეთი იყო.

ლენინი აღტაცებით მიესალმა სტალინურ გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ გამოსვლას. „ჩვენ,—სწერდა ც. ო. „პროლეტარი“,—კიდევ მოგვიხდება დაეუბრუნდეთ ამ საინტერესო გაზეთის შინაარსს. მხურვალე სალამს ეუძღვნით კავკასიის კავშირის საგამომცემლო მუშაობის გაფართოებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს კავკასიაში პარტიულობის აღდგენის საქმეში“ (იხ. „პროლეტარი“ № 12, 1905 წ.).

თავიდანვე მჭიდრო კავშირი დამყარდა „პროლეტარსა“ და „პროლეტარიატის ბრძოლას“ შორის. „პროლეტარში“ იბეჭდებოდა რეცენზიები, აგრეთვე ხდებოდა გადაბეჭდვა „პროლეტარიატის ბრძოლიდან“ სტატიებისა და კორესპონდენციებისა. „პროლეტარიატის ბრძოლის“ თითქმის ყველა ნომერში გადმობეჭდილია როგორც ლენინის სადირექტივო სტატიები, აგრეთვე მასალები ჯერ ლენინურ „ისკრიდან“, ხოლო შემდეგ ბოლშევიკური გაზეთებიდან — „ვპერიოდიდან“ და „პროლეტარიდან“.

აი „პროლეტარსა“ და „პროლეტარიატის ბრძოლას“ შორის არსებული მჭიდრო კავშირის მაჩვენებელი ერთ-ერთი დამახასიათებელი ფაქტი.

„პროლეტარიატის ბრძოლის“ № 9-ში გადმობეჭდილია „პროლეტარის“ № 1-დან ლენინის ცნობილი სტატია: „მესამე კრება“. ამავე ნომერში მოთავსებულია მეტად საყურადღებო სტატია: „მესამე კრება კავკასიელ „მეუღლიერესეთა“ სამსჯავროს წინაშე“. სტატიაში მხილებულია ქართველი მენშევიკები, რომლებმაც უსაბუთო ლანძღვით გაილაშქრეს III ყრილობის წინააღმდეგ და ცდილობდნენ სადაეო გაეხადნათ ყრილობის კანონიერება.

ეს სტატია გადაბეჭდა „პროლეტარმა“ სარედაქციო შენიშვნით, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ებეჭდავთ რა ამ სტატიას რსდმპ-ს კავკასიის კავშირის ორგანოს „პროლეტარიატის ბრძოლის“ № 1-დან, ჩვენი მხრით აღვნიშნავთ, რომ კავკასიელმა მენშევიკებმა თითქმის პირველებმა გაჰბედეს პრესაში გამოსვლა არა მარტო უსაბუთო ლანძღვით ყრილობის წინააღმდეგ („ახალი ისკრის“ მიხედვით), არამედ იმის ცდითაც, რომ სადაეო გაეხადნათ პარტიის ზუსტად განსაზღვრულ კომიტეტთა წარმომადგენლობა. კავკასიის კავშირმა თავის ორგანოში, მშვიდად და საფუძვლიანად დაარღვია რა მენშევიკების მოსაზრებები, ჩინებულად დაამტკიცა რსდმპ-ს III ყრილობის სრული კანონიერება იმ პირობებშიც კი, მენშევიკების მიერ სადაოდ ქცეული ხუთი მანდატი ნამდვილად რომ არ ყოფილიყო ცნობილი“ (ლენინის კრებული, XVI, 131-132).

„პროლეტარიატის ბრძოლა“ ნერგავდა და ქადაგებდა ლენინურ იდეებს, იცავდა და ასაბუთებდა პარტიის ლენინურ იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ პრინციპებს.

„პროლეტარიატის ბრძოლაში“ მოთავსებული საბელმძღვანელო სტატიები არა მარტო თემატიკისა და შინაარსის მიხედვით ემთხვევიან ლენინის სტატიებს, არამედ დაწერის უშუალო საბაბითაც. ასე, მაგალითად, ლიბერალების მიერ შემუშავებული „რუსეთის კონსტიტუციის პროექტის“ გამოსვლასთან დაკავშირებით ლენინი სწერს სტატიას: „პოლიტიკური სოფიზმები“ („ვპერიოდი“ № 18.18 (5) მაისი 1905 წ.). ხოლო „პროლეტარიატის ბრძოლა“ ათავსებს სტატიას: „პირბადე აიხადეს“ (№ 8.1 (14) იანვარი

1905 წ.); ერობის ყრილობასთან დაკავშირებით ლენინი სწერს სტატიას: „ერობის ყრილობა“ („პროლეტარი“ № 19,3.X (20.IX) 1905 წ.), ხოლო „პროლეტარიატის ბრძოლა“ ათაესებს სტატიას: „ბურჟუაზია მახეს აგებს“ (№ 12, 15 (28)X. 1905 წ.). ეს ერთდროული გამოსვლა ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ შემთხვევითი არ არის. რევოლუციის გამარჯვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა—შესძლებდა თუ არა მუშათა კლასი მოეხდინა ლიბერალური ბურჟუაზიის იზოლაცია.

„პროლეტარიატის ბრძოლის“ № 10-ში მოთავსებულია საყურადღებო სტატია „უპრინციპობის ნაყოფები“, რომელშიც მოცემულია გამანადგურებელი კრიტიკა ნ. ჟორდანიას სტატიისა „საერო კრება და ჩვენი ტაქტიკა“, სტატიისა, რომლის გამანადგურებელი კრიტიკა მოცემული აქვს აგრეთვე ლენინს „ორ ტაქტიკაში“. ეს ერთდროული გამოსვლაც არ არის შემთხვევითი, ვინაიდან ქართული მენშევიზმის წინააღმდეგ ამ ბრძოლას ჰქონდა საერთო-სარუსეთო მნიშვნელობა. სტატიაში „უპრინციპობის ნაყოფები“ განადგურებულია სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის მენშევიკური თეორია და დასაბუთებულია ლენინური თვალსაზრისი შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ.

საყოველთაო-სახალხო აჯანყების შედეგად შექმნილი დროებითი რევოლუციური მთავრობისადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების საკითხის ლენინურ დასაბუთებას „პროლეტარიატის ბრძოლამ“ რამდენიმე საყურადღებო სტატია მიუძღვნა. № 11-ში მოთავსებულია სტატია: „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია“. ეს სტატია წარმოადგენს ლენინის სტატიებში: „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა“ და „დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ“ გამოთქმულ დებულებათა ბრწყინვალე დაცვას, დასაბუთებასა და განვითარებას.

„პროლეტარიატის ბრძოლის“ თითქმის ყველა სახელმძღვანელო სტატია ამხანაგ სტალინის კალამს ეკუთვნის. ისინი შემოქმედებითი, რევოლუციური მარქსიზმის ბრწყინვალე დოკუმენტებია.

ი. ბ. სტალინის შესანიშნავი შრომები, სტატიები, ბროშურები, პროკლამაციები და ფურცლები ლენინის მოძღვრების ოსტატური დაცვისა და ბრწყინვალე განვითარების კლასიკურ ნიმუშებს წარმოადგენენ.

ლენინის შრომასთან „რა ვაკეთოთ?“ მჭიდროდ არის დაკავშირებული ამხანაგ სტალინის შრომა „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“. მასში ამხანაგმა სტალინმა იდეურად გაანადგურა ყოველგვარი ოპორტუნიზმის ლოგიკური საფუძველი — სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორია და ბრწყინვალედ დაასაბუთა ლენინური დებულება მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების როლის შესახებ.

„საჭირო იყო დამტკიცებულიყო, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — რომ სოციალისტურ შეგნებას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა მოძრაობისათვის, რომ უამისოდ მოძრაობა ტრედიუნიონისტული ხეტიალია, რომელსაც ოდეს-ღე თუ დააღწევს თავს პროლეტარიატი და სოციალურ რევოლუციას მიადგება.

და აი გამოიცა „ისკრა“, რომელმაც შესანიშნავად შეასრულა ეს როლი, დაიბეჭდა „Что делать“, სადაც ლენინი ხაზს უსვამს სოციალისტური

შეგნების დიად მნიშვნელობას. შედგა პარტიული „უმრავლესობა“, რომელიც მტკიცედ დაადგა ამ გზას.

გამოსულან პაწაწა ბერწმტეინელები და გაიძახიან ეს „ძირიანათ ეწინააღმდეგება მარქსიზმსო“?! მერე იცით რა არის მარქსიზმი, პაწია „ეკონომისტებო?“ (ი. სტალინი, „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტგამომცემლობა. 1936 წ. გვ. 38).

ნ. კ. კრუპსკაია 1905 წლის ივლისში კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი გამოგზავნილ წერილში სთხოვდა კომიტეტს გაეგზავნა მათთვის „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, რომელმაც, როგორც კრუპსკაია სწერდა, „სენსაცია მოახდინა“. ლენინი ბრწყინვალე შეფასებას აძლევდა აგრეთვე ამხანაგ სტალინის სტატიას „პასუხი „სოციალ-დემოკრატს“, რომელიც აღნიშნული შრომის ორგანიულ გაგრძელებას წარმოადგენს. ლენინი „პროლეტარის“ № 22-ში სწერდა, რომ სტატიაში „პასუხი „სოციალ-დემოკრატს“ ჩვენ აღვნიშნავთ „შეგნების გარედან შეტანის ცნობილი საკითხის მშვენიერ დასმას“.

1904 წელს ამხანაგმა სტალინმა დასწერა ისტორიული შრომა: „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“, რომელიც დაიბეჭდა „პროლეტარიატის ბრძოლის“ მე-7 ნომერში. მასში ამხანაგმა სტალინმა გამანადგურებელი პასუხი გასცა მენშევიკებს, ამხილა მათი ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხში და დაასაბუთა ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები.

„პრძოლის მოედანზე,—სწერდა ამხანაგი სტალინი, — პროლეტართა არმია გამოვიდა. თუ ყველა არმიას სჭირდება თავისი მოწინავე რაზმი, უეჭველია ამ არმიასაც უნდა დასჭირებოდა ესეთი რაზმი. აქედან წინამძღოლთა ჯგუფი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, როგორც მოწინავე რაზმი განსაზღვრულ არმიისა, ეს პარტია ჯერ ერთი თავისი საკუთარი პროგრამით, ტაქტიკით და ორგანიზაციული პრინციპებით უნდა იყვეს შეიარაღებული და, მეორეთ, მჭიდრო ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს. თუ ვიკითხავთ ვის უნდა ეუწოდოთ წევრი რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიისაო, ამ პარტიას შეუძლიან მხოლოდ ერთი პასუხი მოგვცეს: ვინც პარტიულ პროგრამას მიიღებს, მატერიალურათ ეხმარება პარტიას და ერთერთ პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობსო.

სწორეთ ეს აშკარა სიმართლე გამოხატა ამხ. ლენინმა თავის შესანიშნავ განმარტებაში“. (ი. სტალინი, „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“. სახელგამი, 1940 წ. გვ. 18).

როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მენშევიკებმა თავის ძველ უთანხმოებას ბოლშევიკებთან ორგანიზაციულ საკითხებზე დაუმატეს ახალი უთანხმოება, უთანხმოება ტაქტიკურ საკითხებზე და დაიწყეს ანტიმარქსისტული, წვრილბურჟუაზიული ტაქტიკური დებულებების ქადაგება. ამხანაგმა სტალინმა მკაცრად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და მოგვცა მენშევიკების წვრილბურჟუაზიული ტაქტიკის კლასიკური კრიტიკა და ბოლშევიკების ლენინური ტაქტიკის გენიალური დასაბუთება.

ამხანაგი სტალინი კაუცკის ბროშურის „რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალების“ ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში სწერდა:

„პროლეტარიატის მეთაურობა ოცნება არ არი,—ის ცოცხალი ფაქტია, პროლეტარიატი ფაქტიურათ იკრებს თავის გარშემო უკმაყოფილო ელემენ-

ტებს. და ვინც მას „ბურჟუაზიული ოპოზიციის უკან გაყოლას“ ურჩევს, ია ზელს უშლის პროლეტარიატის დამოუკიდებლობას, ის ბურჟუაზიის იარაღათ ხდის რუსეთის პროლეტარიატს (იხ. **ლენინის «Две тактики»**).

...თუ მუშები და გლეხები ერთურთს მხარს დაუჭერენ, მაშინ რევოლიუციის გამარჯვებაც უზრუნველყოფილი იქნება. უამისოთ რევოლიუციის გამარჯვება შეუძლებელია... ამიტომ არის, რომ ბოლშევიკები მხოლოთ გლეხების რევოლიუციონურ წარმომადგენლებს უჭერენ მხარს როგორც არჩევნებში, ისე სათათბიროში წინააღმდეგ რეაქციისა და კადეტებისა... (იხ. ლენინის «Две тактики» და «Победа кадетов»).

ბალშევიკები ამბობენ, რომ რადგანაც დღევანდელი რევოლიუციის მთავარი ძალები პროლეტარიატი და გლეხკაცობაა, რადგანაც მათი გამარჯვება უერთმანეთოთ პირდაპირ შეუძლებელია, — ამიტომ ძალა-უფლებასაც სწორეთ ესენი დაიპყრობენ, ამიტომ რევოლიუციის გამარჯვება **პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დიქტატურა იქნება** (იხ. **ლენინის «Две тактики»** და «Победа кадетов»)“ (ლ. ბერია, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 104-105).

პირველი რევოლუციის მეორე პერიოდში, როდესაც რევოლუციის აღმავლობას სცვლის რევოლუციური დალმავლობა, ამხანაგი სტალინი სწერს ისტორიულ შრომაში: „ანარხიზმი თუ სოციალიზმი?“.

თუ რუსეთში მარქსიზმის თეორიული საფუძვლების—დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას მახისტები აწარმოებენ, საქართველოში ამ ბრძოლას ეწევიან ანარხისტ-კროპოტკინელები. როგორც რუსი მახისტების, ისე ქართველი ანარქისტების ბრძოლა მარქსიზმის თეორიული საფუძვლების წინააღმდეგ მჭიდროდ უკავშირდებოდა რეაქციის საერთო ლაშქრობას რევოლუციის წინააღმდეგ, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

საჭირო იყო მათთვის გამანადგურებელი პასუხის გაცემა. მათი გამომჟღავნება და განადგურება და ამგვარად მარქსისტულ-ლენინური პარტიის თეორიული საფუძვლების დაცვა. ეს ამოცანა შეასრულეს ბოლშევიკების დიდმა ბელადებმა—ლენინმა და სტალინმა. ლენინმა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმით“, ხოლო სტალინმა „ანარხიზმი თუ სოციალიზმით“ გაანადგურეს რევიზიონიზმი ფილოსოფიის ფრონტზე და დაამუშავეს ახალი ტიპის პარტიის, ბოლშევიკების პარტიის თეორიული საფუძვლები.

ასეთია ზოგიერთი მასალები და დოკუმენტები, ფაქტები და მოვლენები ამიერკავკასიისა და საქართველოს რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიიდან, რომლებიც ნათელს ჰფენენ ლენინისა და სტალინის, ლენინისა და ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის მჭიდრო, განუყოფელ კავშირს. ამ დიადი შეგობრობისა და განუყოფელი კავშირის საფუძველზე ამხანაგ სტალინის მეთაურობით წარმოიშვა და განმტკიცდა ჩვენი პარტიის უმტკიცესი და უდიდესი ორგანიზაცია—ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია და ჩაისახა და განვითარდა რევოლუციური, სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემის შესახებ

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გამოდის ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი გამოცემა.

ეს გამოცემა შეიცავს ი. ბ. სტალინის მიერ 1901 წლიდან 1946 წლამდე დაწერილ ნაწარმოებებს. მთელი გამოცემა 16 ტომისაგან შესდგება და გამოცემული იქნება 1946—1948 წლების განმავლობაში პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ.

თხზულებათა პირველი სამი ტომი გამოვა მიმდინარე, 1946 წელს.

პირველ ტომში შედის 1901 წლიდან 1907 წლის აპრილამდე დაწერილი ნაწარმოებები.

მეორე ტომი შეიცავს 1907-დან 1913 წლამდე ჩათვლით დაწერილ ნაწარმოებებს.

მესამე ტომს შეადგენენ ნაწარმოებები, რომლებიც ეხებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მზადების პერიოდს (1917 წლის მარტი—ოქტომბერი).

მეოთხე ტომში (1917 წლის ნოემბერი—1920 წელი) დაიბეჭდება საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ თვეებში და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში დაწერილი ნაწარმოებები.

შემდეგი სამი ტომი—მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე—შეიცავს ნაწარმოებებს, რომლებიც ეხებიან სახალხო მეურნეობის აღსადგენად საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდს (1921-25 წლები). მეხუთე ტომი შეიცავს 1921 წლიდან ვ. ი. ლენინის გარდაცვალებამდე (1924 წლის იანვარი) დაწერილ ნაწარმოებებს. მეექვსე ტომში შედის ნაწარმოებები, რომლებიც ეხებიან 1924 წელს. მეშვიდე ტომი შეიცავს 1925 წელს დაწერილ ნაწარმოებებს.

ი. ბ. სტალინის შრომები, დაწერილი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლის პერიოდში (1926—1929 წლები), შეადგენენ მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე ტომებს. მერვე და მეცხრე ტომები შეიცავენ სტატიებსა და სიტყვებს, მოხსენებებსა და გამოსვლებს 1926 წლის განმავლობაში, მეათე და მეთერთმეტე ტომები — 1927 წლის განმავლობაში, მეთორმეტე ტომი—1928-1929 წლების განმავლობაში.

მეცამეტე ტომი შეიცავს 1930 — 1933 წლების ნაწარმოებებს, რომლებიც უმთავრესად მიძღვნილია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განვითარების საკითხებისადმი.

მეთოთხმეტე ტომი შეიცავს 1934—1940 წლების ნაწარმოებებს, რომლებიც მიძღვნილია სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების დამთავრებისათვის ბრძოლისადმი, საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის შექმნისადმი, მეორე

მსოფლიო ომის დაწყების ვითარებაში მშვიდობიანობისათვის ბრძოლისადმი.

მეთხუთმეტე ტომს შეადგენს ი. ბ. სტალინის ნაშრომიჳ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი", რომელიც ცალკე გამოიცა 1938 წელს.

მეთექვსმეტე ტომი შეიცავს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდის ნაწარმოებებს: ი. ბ. სტალინის მოხსენებებს, გამოსვლებსა და ბრძანებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავების დღეებში, ხალხისადმი მიმართვას გერმანიისა და იაპონიის განადგურებასა და კაპიტულაციასთან დაკავშირებით და სხვა დოკუმენტებს.

ყველა ნაწარმოები ტომებში განლაგებული იქნება ქრონოლოგიური წესით მათი დაწერისა ან გამოქვეყნების დროის მიხედვით. თვითეულ ტომს ექნება წინასიტყვაობა, საცნობარო ხასიათის მოკლე შენიშვნები და ბიოგრაფიული ქრონიკა.

ი. ბ. სტალინის თხზულებები იბეჭდება 500 ათასი ეგზემპლარის ტირაჟით.

გამოცემის ტირაჟი გავრცელდება ინდივიდუალური ხელისმოწერით. სახელმწიფო გამომცემლობათა წიგნით მოვაჭრე გაერთიანება ხელისმოწერის მიღებას ი. ბ. სტალინის თხზულებებზე დაიწყებს 1946 წლის 1 თებერვლიდან.

ხელისმოწერის პირობები: თვითეული ტომის ფასი—6 მანეთი. ხელისმოწერას მიიღებენ სახელმწიფო გამომცემლობათა წიგნის მაღაზიები.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა ცალკე ტომების გამოსვლის მიხედვით ტირაჟის ნაწილი გადაეცემა წიგნის მაღაზიებს საცალოდ გასაყიდად.

* * *

ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი, რომელიც უახლოეს დროში გამოვა, შეიცავს 1901 წლიდან 1907 წლის აპრილამდე დაწერილ ნაწარმოებებს.

ამ პერიოდში ამხანაგი სტალინი სხვადასხვა ანტიმარქსისტულ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში ჰქმნის ლენინურ-ისკრულ, ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ამიერკავკასიაში და ხელმძღვანელობს მათს საქმიანობას. თავის ნაწარმოებებში იგი ასაბუთებს და იცავს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძირითად პრინციპებს.

ტომი იწყება 1901 წელს დაწერილი ორი სტატიით. მოწინავე სტატიაში „რედაქციისაგან", რომელიც მიძღვნილია ქართველ რევოლუციონერ მარქსისტთა ჯგუფის მიერ პირველი არალეგალური ქართული გაზეთის „ბრძოლის" გამოსვლისადმი, მოცემულია არალეგალური პრესის, როგორც პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის იარაღის, მნიშვნელობა.

სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები" ნაჩვენებია უტოპიური სოციალიზმის უსუსურობა, გაკრიტიკებულია დასაწყისში ევროპის რეფორმისტები — ბერნშტეინიანელები და მათი მიმდევრები რუსეთში „ეკონომისტები" და დასაბუთებულია ძლიერი და მჭიდროდ დარაზმული რევოლუციური მარქსისტული პარტიის საჭიროება. სტატიაში დასახულია პარტიის უახლოესი ამოცანები მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობის დარგში.

სტატიაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური კითხვა?" (1904 წელი) მოცემულია ნაციონალურ საკითხში მარქსისტული პარტიის

პროგრამის თეორიული დასაბუთება და განმარტება, მხილებულია ქართველი ფედერალისტების, სოციალ-დემოკრატების და ამიერკავკასიის სხვა ნაციონალისტური ჯგუფების ბურჟუაზიული ნაციონალიზმი.

სტატია „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“ (1905 წელი) მიძღვნილია პარტიის შესახებ ლენინური მოძღვრების და განსაკუთრებით პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულირების დაცვისადმი.

ბროშურაში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ (1905 წელი), სტატიაში „პასუხი სოციალ-დემოკრატს“ და „წერილებში ქუთაისიდან“ დაცული და განვითარებულია ვ. ი. ლენინის წიგნის „რა ვაკეთოთ?“ ძირითადი იდეები — სოციალისტური იდეოლოგიის როლი და მნიშვნელობა მუშათა მოძრაობაში. ამ ნაწარმოებებში მოცემულია მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების ყოველმხრივი გაშუქება.

ტომში შედის მთელი რიგი ნაშრომები, რომლებშიც განვითარებულია პარტიის ტაქტიკის საკითხები 1905 წლის რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. ეს ნაშრომებია: სტატიები „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“, „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია“, ბროშურა „ორი შეჯახება“ და სხვა.

ტომში შედის სტატიები „აგრარული საკითხი“ და „აგრარული საკითხისათვის“ (1906 წელი) და სიტყვა რსდმპ მეოთხე გამაერთიანებელ ყრილობაზე „აგრარული პროგრამის გადასინჯვის შესახებ“.

რსდმპ მეოთხე გამაერთიანებელი ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილია ბროშურა „თანამედროვე მომენტი და მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა“ (1906 წელი).

მთელ რიგ სტატიებში: „კლასობრივი ბრძოლა“, „საფაბრიკო კანონმდებლობა და პროლეტარული ბრძოლა“ (1906 წელი) და სხვებში გაშუქებულია პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში პარტიისა და პროფკავშირების როლის საკითხი.

ტომში არის აგრეთვე ი. ბ. სტალინის მიერ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სახელით დაწერილი პროკლამაციები.

ეს პროკლამაციები შეიცავენ მოწოდებებს თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ, შეიარაღებული აჯანყების გზით რევოლუციური ბრძოლისაკენ.

პირველი ტომი მთავრდება ნაშრომით „ანარხიზმი თუ სოციალიზმი?“ (1906-1907 წლები), რომელშიც გაშუქებულია მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლები — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხები, მარქსისტული პარტიის, როგორც მუშათა კლასის პოლიტიკური ხელმძღვანელის, მნიშვნელობა.

პირველ ტომში შესული ნაწარმოებების მეტი ნაწილი გამოქვეყნებული იყო ქართულ არალეგალურ და ლეგალურ რევოლუციურ პრესაში. რუსულ ენაზე ამ ნაწარმოებთა უმეტესობა პირველად გამოდის.

თხზულებათა პირველ ტომს დართული აქვს ავტორის წინასიტყვაობა. ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იქნება ჩვენი პარტიის იდეურ ცხოვრებაში.

ამხანაგ სტალინის ნაწარმოებებში განზოგადებულია ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის ბოლშევიკური პარტიის ბრძოლის უდიდესი ისტორიული გამოცდილება. ამხანაგ სტალინის ნაშრომებში განვითარებული და ახალი გამოცდილებით გამდიდრებულია მარქსისტულ-ლენინური თეორია.

ამხანაგ სტალინის თხზულებანი სერიოზულ დახმარებას აღმოუჩენენ პარტიულ კადრებს და საბჭოთა ინტელიგენციას ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლაში, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონებისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების დაუფლებაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი.

სარედაქციო კოლეგია.
გ. ალავიძე
კ. ბარიგიანი
ვ. კუპრაძე
ა. ძუთელია
პ. შარია (პ/მგ. რედაქტორი)
ს. ჯელიძე
ს. ჯანაშია

რედაქციის მისამართი: ჟორესის ქ. № 5. ტელ. № 3-73-05.

ტირაჟი 8.000. უე 00759. ანაწყ. ზომა 7×12=56.000.
სასტ. ფორმ. რაოდ. 4. საავტ. ფორმა 5,5. გამომც. № 19. შეკვ. № 373.

ფ. პ. ბერიძის სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის, 28.

ფასი 3 მან.

ბ 838
1946

ЖУРНАЛ
„БОЛЬШЕВИКИ“
(на грузинском языке)
Орган ЦК КП (б) Грузии
№ 1 январь 1946 г.